ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი
Quarterly Refereed and Reviewed International Scientific Journal

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

2025/3

ჟურნალი გამოდის 2024 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ
The magazine has been published four times a year since 2024

საქართველო, თბილისი 2025
GEORGIA, TBILISI 2025

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

მთავარი რედაქტორი: ვალერი მოსიაშვილი
სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: ნინო სამჭკუაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: მედეა ჭელიძე
ტექნიკური რედაქტორი: დიმიტრი მასხარაშვილი
ლუკა კიკვიძე

სარედაქციო კოლეგია:

აბრალავა ა. (საქართველო), ალადაშვილი მ. (საქართველო), ანთაძე ლ. (საქართველო), ბერიძე თ. (საქართველო), ბიელსკა ტ. (უკრაინა), ბიენ ტანგ (აშშ), ბურდიაშვილი რ. (საქართველო), გრიგოლაია ნ. (საქართველო), დუდაური თ. (საქართველო), ვჯენჩექ ი. (პოლონეთი), კარვალიო დე მონტე ა. პ. (პორტუგალია), მასხარაშვილი დ. (საქართველო), მიდელსკი ს.ლ. (ყაზახეთი), მოსიაშვილი ვ. (საქართველო), რიაშჩენკო ვ. (ლატვია), რუსაძე ნ. (საქართველო), სამჭკუაშვილი ნ. (საქართველო), სიმანავიჩიენე ჟ. (ლიეტუვა), სუჰაილი მ. (ლიეტუვა), ფარეშიშვილი გ. (საქართველო), ქოქიაური ლ. (საქართველო), ქუთათელაძე რ. (საქართველო), ყურაშვილი გ. (საქართველო), ცაავა გ. (საქართველო), ციმინტია კ. (საქართველო), ყურგაზოვ ზ. (უზბეკეთი), ჭელიძე მ. (საქართველო), ხოხობაშვილი დ. (აშშ).

Editor-in-Chief: Valeri Mosiashvili
Head of the editorial board: Nino Samchkuashvili
Deputy Editor-in-Chief: Medea Chelidze
Technical Editor: Dimitri Maskharashvili
Luka Kikvidze

Editorial Board:

Abralava A. (Georgia), Aladashvili M. (Georgia), Antadze L. (Georgia), Bielska T. (Ukraine), Biyan Tang (USA), Beridze T. (Georgia), Burdiashvili R. (Georgia), Grigolaia N. (Georgia), Dudauri T. (Georgia), Wdzięczak J. (Poland), Carvalho do Monte A. P. (Portugal), Maskharashvili D. (Georgia), Midelski Sergey L. (Kazakhstan), Mosiashvili V. (Georgia), Riashchenko V. (Latvia), Rusadze N. (Georgia), Samchkuashvili N. (Georgia), Simanaviciene Z. (Lietuva), Sohail M. (Lietuva), Pareshishvili G. (Georgia), Qoqiauri L. (Georgia), (Kutateladze R. (Georgia), Kurashvili G. (Georgia), Kuryazov Z. (Uzbekistan), Chelidze M. (Georgia), Tsimintia K. (Georgia), Tsaava G. (Georgia), Khokhobashvili D. (USA).

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.
The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article.

https://doi.org/10.52340/scai
https://doi.org/10.52340/sai
E - ISSN –2449-2779 (Online)
UDC (უაკ) 001+001.895
მ-621

© მეცნიერება და ინოვაცია

www.saijournal.ge
გამომცემლობა: „ეკგი“
metsnierebainovacia@gmail.com

სარჩევი

ლამარა ქოქიაური - კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის და ინვესტირების პროცესის დამახასითებელი ტენდენციები 5

Nino Samchkuashvili, Nikoloz Darchiashvili - AI and the Future of Finance in Georgia: Opportunities, Challenges, and Market Transformation 16

Givi Duchidze - Educational leadership and its impact on the learning process 19

ელიკო მიქაია - ქართული ფინტექ კომპანიების ინოვაციური შესაძლებლობები ღია ბანკინგის პირობებში 24

ანა ალფაიძე - კლიმატური ცვლილებები და მწვანე საბანკო პოლიტიკა: გლობალური ტენდენციები და საქართველოს პრაქტიკა 29

ნაირა ღვედაშვილი - ადამიანური რესურსების განვითარება და სტიმულირება 37

გიორგი კირვალიძე - ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში 42

გურამი ფუტკარაძე - მცირე მეწარმეობის როლი მდგრად განვითარებაში 52

თეონა ალექსიძე, ნინო სიბაშვილი - მარტივი და რთული პროცენტების დარცხვის თანამედროვე მეთოდების ანალიზი 57

Lia Antadze - The role of the parent and its influence on the development of the infant 65

ნოდარ მატარაძე - რესოციალიზაციის პროცესი მსჯავრდებულთა კორექციის ფონისა და მისი ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის“ 68

ნათია ქუთათლაძე - პროფესიული უსაფრთხოების მართვა საოფისე სექტორში: ქრონიკული დაავადებების პრევენციის კონტექსტში 72

ლადო ლეჟავა - 1978 წლის ენის პოლიტიკის გამოძახილი აფხაზეთში: ლოკალური რეაქციები და კრემლის პასუხი 86

ზურაბ კოპალეიშვილი, გიორგი ფუტკარაძე - ირანის სწრაფვა ბირთვული სახელმწიფოსაკენ და ირან ისრაელის კონფლიქტი 94

ზურაბ კოპალეიშვილი, თორნიკე მეტრეველი - გაყინული კომფლიქტი თუ სამომავლო ომი? ინდოეთი პაკისტანი კაშმირში 99

იოსებ ფოჩხუა - ევკლიდური სივრცეები 103

იოსებ ფოჩხუა - ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორი 105

CONTENTS

Lamara Qoqiauri - Trends characterizing the international movement of capital and the investment process 5

Nino Samchkuashvili, Nikoloz Darchiashvili - AI and the Future of Finance in Georgia: Opportunities, Challenges, and Market Transformation 16

Givi Duchidze - Educational leadership and its impact on the learning process 19

Eliko Mikaia - Innovative capabilities of Georgian fintech companies in the context of open banking ... 24

Ana Alpaidze - Climate Change and Green Banking Policy: Global Trends and the Georgian Experience …….. 29

Naira Ghvedashvili - Human Resource Development and Stimulation ……..…… 37

Giorgi Kirvalidze - Digital Transformation and the Impact of Artificial Intelligence on the Development of Small and Medium-sized Enterprises in Georgia ……... 42

Gurami Futkaradze - The Role of Small Entrepreneurship in Sustainable Development 52

Teona Aleksidze, Nino SibaSvili - Analysis of modern methods for calculating simple and compound interest ……. 57

Lia Antadze - The role of the parent and its influence on the development of the infant ……..….. 65

Nodar Mataradze - The Process of Resocialization Against the Background of Offender Correction and Ensuring Its Effectiveness ……..……..68

Natia Kutateladze - Occupational Safety Management in the Office Sector: The Context of NCDs Prevention 72

Lado Lezhava - The Echo of the 1978 Language Policy in Abkhazia: Local Reactions and the Kremlin's Response ……..…… 86

Zurab Kopaleishvili, Giorgi Futkaradze - Iran's Pursuit of Nuclear Statehood and the Iran–Israel Conflict ……..…… 94

Zurab Kopaleishvili, Tornike Metreveli - Frozen Conflict or Future War? India and Pakistan in Kashmir 99

Ioseb Pochkhua - Euclidean spaces ……..…… 103

Ioseb Pochkhua - Generalized Laplace operator ……..…… 105

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის და ინვესტირების პროცესის დამახასიათებელი ტენდენციები

Trends characterizing the international movement of capital and the investment process

ლამარა ქოქიაური
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ეროვნული ინოვაციური საკვლევი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი
https://orcid.org/0000-0002-8190-1016

Lamara Qoqiauri
Doctor of Economics, Professor
Leading Researcher at the National Innovative Research Institute
https://orcid.org/0000-0002-8190-1016

აბსტრაქტი. შრომა ეძღვნება მსოფლიო გლობალიზაციის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, კერძოდ, გლობალიზაციის თანამედროვე, პოზიტიური და ნეგატიური მხარეების განხილვას და ამ ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობას ეკონომიკაში.

სტატიაში განხილულია აგრეთვე კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესის არსი და მისი ძირითადი ფორმები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი კაპიტალის ეფექტიან განთავსებაზე მოქმედ შინაგან და გარეგან ფაქტორებს.

შრომაში გამოკვეთილია საერთშორისო ინვესტირების დამახასიათებელი ტენდენციები, როგორიცაა: საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმისა და მიერთების მასშტაბების ზრდა; ინსტიტუციონალური ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ფინანსური ინსტიტუტების ინტეგრაციით; განვითარებული ქვეყნების როლის გაძლიერება ინვესტიციების მსოფლიო ბაზრის განვითარების პროცესში; საპორტფელო ინვესტიციების ობიექტური ზრდა; გლობალური სტატუსის საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და სხვა.

საერთოდ ინვესტიციების მსოფლიო ბაზრის ძირითდი ცვლილებები, მის სტრუქტურაში მიმდინარე ძვრები განპირობებულია ფინანსური გლობალიზაციის პროცესის და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ტემპების დაჩქარებით.

ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გლობალიზაციის ფაქტორები გათვალისწინებულ იქნას ქვეყნიდან როგორც კაპიტალის გადინების, ისე უცხოური ინვესტიციების შემოდინების პროცესებში. განსკუთრებული ყურდღება უნდა მიექცეს განვითარებული ქვეყნების მიერ უცხოეთში ინვესტირების განხორციელების ძირითად ფორმებს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, უცხოური ინვესტიციები, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, კაპიტალის გატანა, კაპიტალის შემოდინება, პორტფელური ინვესტიციები.

Abstract. The presented work discusses the modern aspects of globalization and establishes its main features. The authors' opinion on the process of international capital movement and the internal and external factors affecting the effective development of capital are briefly presented.

The article explains what circumstances determined the demand for private capital and broadly presents the current and investment trends and features of the international capital movement. In particular, it reviews

- The impact of the main macroeconomic indicators of the national economy on the level of long-term investment rates;
- Objective reasons for the growth of foreign direct investment and portfolio investment.

The work clearly outlines the objective reasons for the leading position of portfolio investment in the movement of entrepreneurial capital:

- Improvement of the investment situation in the world;
- Liberalization of the economic policy of states in relation to the international movement of capital;
- Strong integration of the markets of developing and transitional economies into the world capital market.

The authors also briefly discuss the formation of global international institutions, the main changes in the world investment market, which, in our opinion, are related to the ongoing shifts in its structure. It is associated with the acceleration of financial globalization and scientific and technological development.

Key words: globalization, foreign investment, international capital movement, capital outflow, capital inflow, portfolio investment.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის დამახასიათებელი თავისებურება არა მარტო საქონლითა და მომსახურებით თავისუფალი ვაჭრობა, არამედ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებაა. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აქციების კოტირება, საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს; მსოფლიო ინვესტიციური ბაზრები და კაპიტალთა ბაზრები მნიშვნელოვანწილად ზემოქმედებენ ფინანსურ-ეკონომიკურ პირობებზე; უფრო მეტიც, საერთაშორისო ინვესტიციური კაპიტალი განსაკუთრებულ როლს ასრულებს როგორც ცალკეული ქვეყნებისა, ასევე მთლიანად მსოფლიო ფინანსური რეგიონების განვითარებაში. ზემოთ აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ინვესტიციური კაპიტალის მაღალი მოგების მქონე ქვეყნებში "გადადინებას"; შედეგი: იზრდება მსოფლიო ფინანსური და ინვესტიციის ბაზრები.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფინანსური სისტემის განვითარებისათვის აუცილებელია წარმოების ფაქტორების მაქსიმალური ურთიერთშემცვლელობა, რასაც თავის მხრივ ინვესტიციური კაპიტალის მსოფლიო მობილურობა განაპირობებს. მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ფინანსურმა კაპიტალმა ფიზიკურ ინვესტიციებთან შედარებით თავისი მობილობის მეშვეობით წამყვანი ადგილი დაიკავა, რადგანაც მას მკაცრი სავალუტო და საგადასახადო რეგულირების ქვეყნებისათვის თავის არიდების მეტი საშუალება აქვს. უმეტესი ქვეყნები ესწრაფვის მოიზიდოს და შეინარჩუნოს კაპიტალი. ამასთან ინვესტიციური კაპიტალისათვის მიმზიდველი ეკონომიკური პირობების შექმნის ამოცანა სულ უფრო აქტუალური ხდება.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაცია და კაპიტალის გატანა, გლობალიზაციის თანამედროვე ნიშნები

გადასახედი გვაქვს გლობალიზაციის თანამედროვე ასპექტები, რომლებიც უდაოდ მნიშვნელოვანია. მოძველებული, სინქრონული ტიპის ანალიზი არ გვაძლევს საშუალებას ბოლომდე ჩავწვდეთ თანამედროვე გლობალიზაციის კომპლექსურობას. კვლავ გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, გლობალიზაცია ავტომატურად აღიქმება, როგორც დასავლეთიდან წამოსული პროცესი. მეტიც, ჩვენთან იგი პროდასავლურობის საზომიცაა, რასაც ხშირად ქართველი ანალიტიკოსებისგანაც ვისმენთ და ვკითხულობთ. თუმცა, ცხადი ხდება, რომ გლობალიზაცია და განსაკუთრებით _ ეკონომიკური გლობალიზაცია, დღითი დღე უფრო და უფრო კომპლექსურ და დინამიკურ პროცესად გვევლინება, სადაც გლობალიზაციამ და ე.წ. "ანტიდასავლურმა" პოლიტიკურმა შეხედულებებმაც შეიძლება თავისუფლად მოახერხონ "ჰარმონიულად" თანაარსებობა.

გლობალიზაციის მოვლენაში არის როგორც პოზიტიური, ისევე ნეგატიური მხარეები. გლობალიზაციის არსებითი ნიშნებია:

1) ყოველ ქვეყანაში წარმოებული მშპ-ს სულ უფრო დიდი ნაწილი ექცევა საგარეო სავაჭრო გაცვლის სფეროში, რაც ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებას და საშუალებას იძლევა, სულ უფრო მეტად იქნას გამოყენებული ამ დაყოფის უპირატესობები. ბუნებრივია, ამ პროცესის შედეგები შეიძლება დადებითად შეფასდეს.

2) საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სულ უფრო მეტი ინტენსივობით ერთვება არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული საქონელი და მომსახურება, ასევე

ინვესტიციების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები, კაპიტალები. ეს სხვადასხვა ქვეყანას საშუალებას აძლევს, განახორციელოს თავისი საინვესტიციო პროგრამები სხვა ქვეყნების მოწინავე გამოცდილებისა და ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით. ამასთანავე იქმნება წინაპირობები ცალკეული ქვეყნის ეკონომიკათა მოდერნიზაციისთვის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის. ამ მოვლენასაც შეიძლება მიეცეს დადებითი შეფასება.

3) ძლიერდება ტრანსეროვნული კორპორაციების აქტიურობა და იზრდება მათი საქმიანობის მასშტაბები. ამ კორპორაციების აქტივები, რიგ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აღემატება ზოგიერთი პატარა ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბებს. ეს მოვლენა უკვე აღარ შეიძლება შეფასდეს ერთმნიშვნელოვნად დადებითად. ტრანსეროვნული კორპორაციების ეკონომიკური ძლიერების მაღალი კონცენტრაცია მათ საშუალებას აძლევთ ხშირ შემთხვევებში ცალკეულ ქვეყნებს თავს მოახვიონ თავიანთი ეკონომიკური გადაწყვეტილებები ამ უკანასკნელთა ინტერესების იგნორირებით.

4) უპრეცენდენტო მასშტაბები მიიღო ცალკეული საწარმოებისა და ზოგჯერ კი მთელი დარგების გადატანის პროცესმა მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. როცა ასეთი გადაადგილება ეხება თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ წარმოებას: მაგალითად, იაპონური და ევროპული ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ტელევიზორების, მონაცემების დამუშავების საშუალებების, კავშირის საშუალებების წარმოებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და განსაკუთრებით კი ჩინეთში. ეს, ცხადია, დადებითი მოვლენაა, მაგრამ როცა საუბარია იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნებში და ასევე აფრიკის ქვეყნებში გადაიტანება ეკოლოგიურად ჭუჭყიანი მეტალურგიული, ქიმიური და მსგავსი სხვა საწარმოები, გარემოსა და მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანით, არ შეიძლება ეს ჩაითვალოს ერთმნიშვნელოვან დადებით მოვლენად. ხოლო მაშინ, როცა რეციფიენტ ქვეყნებს თავს ახვევენ ამ საწარმოების განთავსებას დამამძიმებელი პირობებით _ ეს ხშირად ხდება ანტიგლობალისტების საპროტესტო ქმედებების მიზეზი.

5) ამის შედეგად, გლობალიზაციის განვითარება იწვევს უთანასწორობის გაღრმავებას, ერთი მხრივ, ჩამორჩენილი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებსა და მაღალგანვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყნებს შორის.

ყველა ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გათვალისწინდეს უცხოური ინვესტიციების სფეროში საქართველოს ეკონომიკაში.

რაში მდგომარეობს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესი

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესი წარმოადგენს ინვესტიციების ქვეყანათაშორისო მიგრაციის პროცესს მათი უცხოეთში უფრო ეფექტიანად დაბანდების მიზნით (ექსპორტიორი ქვეყნებისათვის), ასევე უცხოეთიდან აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსების მოზიდვას ეროვნულ ეკონომიკაში მათი რაოდენობრივი და სტრუქტურული უკმარისობის პირობებში (იმპორტიორი ქვეყნებისათვის). [9, გვ.64]

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები მსოფლიო კაპიტალის ბაზრებიდან მნიშვნელოვანი ნაკადების იმპორტიორები 1982-1989 წლების მსოფლიო სავალო კრიზისის დასრულების შემდეგ გახდნენ. ინვესტიციური ნაკადების განსხვავებული სტრუქტურის და მასშტაბების პირობებში კაპიტალის მოდინება ყველა შემთხვევაში ობიექტურად განპირობებულია როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ფაქტორებით. **პირველ** მათგანს მიეკუთვნება გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური სიტუაცია, ასევე გატარებული სტრუქტურული რეფორმები ინვესტიციების იმპორტიორ ქვეყნებში. **მეორე** მოიცავს

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთის ციკლურ ცვლილებებს, აგრეთვე საბანკო ინსტიტუტების გაზრდილ ინტერესებს განვითარებადი ბაზრების მიმართ. მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო ორგანიზაციების შესაბამისი წილი ინვესტიციურ დაბანდებებში.

ინვესტორების, კერძოდ, საბანკო ინსტიტუტების გაზრდილი ინტერესი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისადმი განაპირობებდა ფინანსური ინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებას, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ცალკეული ქვეყნების და გლობალურ ეკონომიკაზე მთლიანად.

კაპიტალი შეიძლება ინვესტირებული იქნას უცხოეთში და მოზიდული იქნას უცხოეთიდან შემდეგი ფორმით:

- სამეწარმეო და სასესხო;
- კაპიტალი კერძო, სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან;
- ფულადი და სასაქონლო;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი ინვესტიციები;
- ლეგალური და არალეგარული.

ამა თუ იმ ფორმის შერჩევას განსაზღვრავს ანალიზის კონკრეტული მიზანი. საერთაშორისო ანალიზის პრაქტიკაში განიხილება ყველა ზემოთჩამოთვლილი ფორმა. იმისათვის, რომ გლობალურად შეფასდეს რამდენად ახდენს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ფენომენის გავლენა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ექსპორტიორების და იმპორტიორების განვითარებაზე, ანალიზს ჩვეულებრივ აწარმოებენ კაპიტალის დაყოფით სამეწარმეო და სასესხო კაპიტალად. ჩვეულებრივ სამეწარმეო კაპიტალს მიეკუთვნება პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები, თუმცა ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი ნაწილი ეს არის ფაქტიურად სასესხო ინვესტიციები (ობლიგაციები, დერივატივები და სხვა), სასესხო კაპიტალი აყალიბებს ქვეჯგუფს _ "სხვა ინვესტიციები".

კაპიტალის ეფექტიან განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარეგანი ფაქტორები

განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე ინვესტორის მოსვლის ძირითადი მოტივები და შესაბამისად ამ უკანასკნელთა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებში ინვესტორთა მზარდი ხარისხი, - ეს არის კაპიტალის ეკონომიკურად ეფექტიანი განთავსების ძიება და ფინანსური ბაზრების დივერსიფიკაცია, ოღონდ განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობები _ განათავსონ ფინანსურ ბაზრებზე ინვესტიციები, გაძლიერდა 1990-იანი წლების დასაწყისიდან. აქ ამოქმედდა რიგი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები.

შინაგანი ფაქტორები: კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის კვლევის შესახებ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ კაპიტალის იმპორტიორმა ქვეყნებმა გააუმჯობესეს დაბანდებული ინვესტიციების უკანდაბრუნებადობის რისკის მახასიათებლები უცხოური ინვესტიციებისათვის და ამისათვის გამოიყენეს ორი ძირითადი მეთოდი. [8]. **ჯერ ერთი**, ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის ამაღლება, რაც მიიღწევა საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციით მთელ რიგ ქვეყნებში. მაგ.: რუმინეთში –80-იანი წლების შუახანებში, ბულგარეთსა და პოლონეთში – 1990-იან წლებში მოხდა საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია. უფრო მეტიც, სავალო ვალდებულებებით გადატვირთულ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა არგენტინა, მექსიკა, ვენესუელა, ასევე ნიგერია და ფილიპინები, შიდა ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში მათი ოფიციალური მონაწილეობის მეშვეობით.

მეორეც: ოპტიმალური პირობების შექმნა ახალი წარმოების განთავსებისათვის, როგორც სტრუქტურული რეფორმების შედეგი, ეროვნული მაკროეკონომიკური პოლიტიკისადმი

ნდობის განმტკიცება, რომლის შემდეგაც წარმატებით განხორციელდა სტაბილიზაციის პროგრამები აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყანათა ასოციაციასა და ლათინურ ამერიკაში.

ასე რომ, საგარეო ვაჭრობისათვის ეროვნული ეკონომიკის გახსნილობამ და ფინანსური სისტემის რეფორმირებამ ბევრ ქვეყანაში სტაბილურობის ღონისძიების როლი შეასრულა შიდა ინვესტიციური ბაზრის განვითარებისათვის.

ლათინურ ამერიკაში 1980-იანი წლების ბოლოს ბოლივიამ, ჩილემ, მექსიკამ შეიმუშავეს ინფლაციასთან ბრძოლის ეკონომიკური პროგრამა. არგენტინა, ბრაზილია, ეკვადორი და პერუ მსგავსი რეფორმების განხორციელებას შეუდგნენ მხოლოდ 1990-იანი წლების დასაწყისში. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ასოციაციის ქვეყნებში მსგავსი ეკონომიკური პოლიტიკა შეივსო პროგრამებით, რომლებიც ორიენტირებული იყო საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე, ასევე გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის ბაზრებზე. [10]

გარე ფაქტორები: ზოგიერთი ავტორი ეჭქვეშ აყენებს ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში კერძო კაპიტალის ნაკადების მოზიდვის გადამწყვეტ როლს. საჭიროა აღინიშნოს, რომ მთავარი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში მსოფლიო კაპიტალთა ბაზრებიდან ინვესტიციური ნაკადების მიმართულებაზე, არის განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის ციკლურობა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე მკვეთრად გაიზარდა ინვესტორთა დაინტერესება განვითარებადი ქვეყნების ბაზრებისადმი ორი მიმართულებით; ეს დაკავშირებულია მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის შემცირებასთან. **ჯერ ერთი**, მსოფლიო კაპიტალთა ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება დაემთხვა აშშ-ში, იაპონიასა და ბევრ ევროპულ ქვეყანაში ეკონომიკურ დაცემას. ამან განაპირობა ის ფაქტი რომ შესაძლებელი გახდა განვითარებადი ქვეყნების ბაზრებიდან დამატებითი მოგების მიღება. **მეორეც**, ამ ფაქტორმა გამოიწვია კრედიტუნარიანობის ამაღლება. შემცირდა მოვალე ქვეყნებში დეფოლტის აღმოცენებასთან დაკავშირებული რისკები. მნიშვნელოვანია ასევე გაირკვეს, რატომ იქმნება კაპიტალის მსოფლიო ბაზრებიდან ინვესტიციების ძირითადი ნაკადები. არ არის გამორიცხული, რომ გარე ფაქტორების გავლენით აღნიშნულმა ინვესტიციურმა ნაკადებმა მიმართულება შეიცვალოს საპირისპირო მიმართულებით, - რაც კიდევ უფრო გაზრდის განვითარებადი ქვეყნების ბაზრების მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას.

რა გარემოებამ განაპირობა კერძო კაპიტალზე მოთხოვნა? ჯერ ერთი, ძლიერი კონკურენცია და მზარდი დანახარჯები, რაც ასე დამახასიათებელია ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკებისათვის, აიძულებენ კომპანიებს განათავსონ თავიანთი საწარმოები საზღვარგარეთ, რითაც ზრდიან მოგებას და ეკონომიკური ზრდის ტემპებს. ამ ფაქტორის ზემოქმედების შედეგი არის არა მარტო კაპიტალის ექსპორტის აქტივიზაცია პირდაპირი ინვესტიციების სახით, არამედ თვითონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბუნებისა და არსის ცვლილება 1970-იან წლებთან შედარებით. ამ პერიოდის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი იყო ის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარიმართებოდა ძირითადად სანედლეულო და მომპოვებელ მრეწველობაში, ასევე იმპორტის ჩამნაცვლებელ დარგებში. თუმცა ფინანსური ბაზრების გლობალიზაციამ გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაში იმ კაპიტალის წილის ზრდა, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაედინებოდა უფრო ეფექტიანად გამოყენების მიმართულებების ძიების მოტივით.

მეორეც, ინდუსტრიული ქვეყნების ფინანსური სტრუქტურის ცვლილებამ განაპირობა მსოფლიო ფინანსური ბაზრებიდან ინვესტიციური კაპიტალის მოძრაობის გადიდება

განვითარებადი ქვეყნების ბაზრებისაკენ, შედეგად გაიზარდა ინსტიტუციონალური ინვესტორების მნიშვნელობა. გრძელვადიან ინვესტიციებზე შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი და რისკის დივერსიფიკაციის ფართო შესაძლებლობები გახდა ინსტიტუციონალური ინსტიტუტების მოზიდვის ფაქტორი, რაც განაპირობებს განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკაში კაპიტალის ინტენსიურ დაბანდებას. საჭიროა დაზუსტდეს, რომ გრძელვადიანი ინვესტიციების მიხედვით განაკვეთის ზრდა არის იმ ქვეყნების კრედიტუნარიანობის დონის ამაღლების შედეგი, რომელთაც 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში განახორციელეს თავიანთ ეროვნულ ეკონომიკებში ფინანსური სექტორის და მთლიანად ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამები.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მოქმედი და ინვესტირების დამახასიათებელი ტენდენციები

საერთაშორისო ინვესტირების დამახასიათებელ ტენდენციებს მიეკუთვნება საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმისა და მიერთების მასშტაბების ზრდა, რომელიც ფინანსური გლობალიზაციის პირობებში შესაძლებელს ხდის კაპიტალების მოძრაობის ლიბერალიზაციას. საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმა და შეერთება (სახელმწიფო ბანკების ჩაყლაპვა უცხოური ინვესტიციების მიერ), უნდა განხილული იქნას როგორც ინვესტიციური ოპერაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობა. XX ს. უკანასკნელ ათწლეულში სწორედ ფინანსური ორგანიზაციების შერწყმა და შეერთება, და არა ინვესტიციები ახალი ბანკების შესაქმნელად, გახდა ინვესტიციური საბანკო კაპიტალის ზრდის საფუძველი. შედარებით "ახალგაზრდა", ფორმირების პროცესში მყოფი ფინანსური ბაზარი, ჩამოყალიბებული საბანკო ინსტიტუტების შერწყმისა და მიერთების შედეგად, არსებითად მოიცავს განვითარებულ ქვეყნებს, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებს და გაცილებით მცირე ფორმით – განვითარებად ქვეყნებს. თავის მხრივ ეს პროცესი შეიძლება განხილული იქნას, როგორც დივერსიფიცირებული საფინანსო საბანკო ჯგუფების ფორმირების პროცესი, რომლებისთვისაც დამახასიათებელია რიგი ფუნქციები (კორპორაციული დაკრედიტება, ინვესტიციური საქმიანობა, საცალო საბანკო მომსახურება, დაზღვევა), რომლებითაც მომავალში შეივსება ინვესტიციების მსოფლიო ბაზარი.

ინსტიტუციონალური ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ფინანსური ინსტიტუტების ინტეგრაციით, არის მნიშვნელოვან ფაქტორი, რომელსაც შეუძლია შექმნას ინვესტიციური სივრცე და რომელიც ფუნქციონირებს უნიფიცირებული წესებით. ყალიბდება ინვესტირების ინტეგრირებული მოდელი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ინვესტიციურ რესურსებზე მოთხოვნის ზრდას დივერსიფიცირებული ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის ხარჯზე. იგი ერთმანეთთან ათანხმებს ინვესტიციური და კომერციული ბანკების ფუნქციებს, ფასიანი ქაღალდების საბირჟო და ბირჟის გარეშე ბაზრების აქტივიზაციას, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელებას. [3, გვ.124-129]

განვითარებული ქვეყნების როლის გაძლიერება, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების როლის შემცირება არის ინვესტიციების მსოფლიო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენცია. განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზრისათვის. ასე მაგ.: ინვესტიციების იმპორტის სფეროში დაახლოებით 73% მოდის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე, 24%-ზე მეტი განვითარებად ქვეყნებზე და 3%-ზე ნაკლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე (რუსეთის ჩათვლით). ინვესტიციების ექსპორტის სფეროში განვითარებად ქვეყნებზე მოდის 90%; განვითარებად ქვეყნებზე დაახლოებით 8%; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე (რუსეთის ჩათვლით) 1%-ზე ნაკლები. [3, გვ.130-131]

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო კაპიტალის ბაზარზე პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის ზრდა მიიღწევა მსოფლიო უმსხვილესი ინვესტორების – აშშ-ს, ევროკავშირის, ჩინეთისა და იაპონიის ხარჯზე. ამ ქვეყნების მიერ კონცენტრირდება განთავსებული ინვესტიციების 92% და მოზიდული ინვესტიციების 80%.

ინვესტიციების საერთაშორისო ბაზრის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი თავისებურებაა ევროკავშირის, როგორც მსოფლიო ინვესტიციური ცენტრის მნიშვნელობის არსებითი გაზრდა. ევროკავშირის ქვეყნები გახდნენ ინვესტიციების მსოფლიო ბაზარზე უმსხვილესი დონორები, უცხოური ინვესტიციების მთელი ნეტო-ექსპორტის 80% მოდის ხუთ ევროპულ სახელმწიფოზე, დიდ ბრიტანეთზე, გერმანიაზე, საფრანგეთსა, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაზე. ამავდროულად მოხდა ევროპის ქვეყნების პოზიციების გაძლიერება მსოფლიო კაპიტალების ბაზრიდან ინვესტიციების მოზიდვის სფეროში. ამასთან ერთად, რეციფიენტი – ქვეყნების ჯგუფში ლიდერის პოზიცია კვლავ აშშ-ს უკავია. ასე რომ საერთაშორისო ინვესტიციების ზრდის ტემპები XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისში მეტია სამრეწველო წარმოების, მსოფლიო მეპ-ისა და საქონლითა და მომსახურების მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპებთან შედარებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ უცხოური ინვესტიციების მოძრაობა ძირითადად პოზიტიურ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობაზე. [13]

საერთაშორისო ბანკის სპეციალისტები გამოყოფენ რიგ საერთო ტენდენციებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე. [4, გვ.91-92] მათგან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) ეროვნული ეკონომიკის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გავლენას ახდენენ გრძელვადიანი ინვესტიციების განაკვეთების დონეზე. ქვეყნებმა რომელთაც უკეთესი მაკროეკონომიკური მონაცემები აქვთ (ე.ი. მშპ-ში ინვესტიციების მაღალი კოეფიციენტი, ინფლაციის დაბალი დონე. ეროვნული ვალუტის რეალური კურსის სტაბილურობა) მიიზიდეს უცხოური ინვესტიციების მეტი ოდენობა მშპ-სთან პროცენტული მიმართებით. მაშინ როცა ნეგატიური მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყნები პრაქტიკულად ვერ ახერხებენ უცხოელი ინვესტორების მოზიდვას.

ბ) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის განვითარებადი ქვეყნების ბაზრების ინვესტიციების ძირითადი შემადგენელი კომპონენტი. ეს გარემოება გარკვეულწილად კი არის დამოკიდებული მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან, მაგრამ არ აიხსნება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის სიდიდით გლობალური მასშტაბით.

გ) პორტფელური ინვესტიციები უფრო მგრძნობიარენი არიან საპროცენტო განაკვეთის დონესთან. თუმცა ამ ინვესტიციების მოცულობა უკანასკნელ წლებში გაიზარდა მიუხედავად საპროცენტო განაკვეთის ზრდისა გლობალური მასშტაბით.

ვაანალიზებთ რა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის დინამიკას და სტრუქტურას, უნდა ავღნიშნოთ, რომ ინვესტიციების ძირითადი ექსპორტიორები და იმპორტიორები 2000-2020 წლებში ისევ არიან განვითარებული ქვეყნები: 2015 წელს მათ წილად მოდიოდა კაპიტალის მთლიანი გატანის 79%. 2020 წელს ამ მაჩვენებელმა 81% შეადგინა. მსოფლიოში უცხოური კაპიტალის უმსხვილეს დონორად, ინვესტიციური კაპიტალის რეციფიენტად კვლავ აშშ რჩება. შემდეგ მოდის დიდი ბრიტანეთი და გერმანია, კანადა, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი და შვეიცარია. განვითარებად ქვეყნებს შორის ამ მაჩვენებლის მიხედვით გამოირჩევიან სპარსეთის ყურის ქვეყნები, თურქეთი, ინდოეთი, არგენტინა, ტაილანდი. [6]

უცხოური კაპიტალის იმპორტიორებს შორის პირველ ადგილზეა ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა, ინდოეთი, თურქეთი. უცხოური ინვესტიციების შედარებით მსხვილ რეციფიენტებს მიეკუთვნება ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები: პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი.

საპორტფელო ინვესტიციების ზრდის ობიექტური მიზეზები

სამეწარმეო კაპიტალის მოძრაობაში ლიდერის პოზიციას იკავებენ პორტფელური ინვესტიციები. ამ მოვლენის ობიექტური მიზეზებია შემდეგი:

- მსოფლიოში ინვესტიციური სიტუაციების გაუმჯობესება.
- კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან მიმართებაში პოლიტიკის ლიბერალიზაცია.
- კაპიტალის მსოფლიო ბაზარში განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზრების ძლიერი ინტეგრაცია.

განვითარებული ქვეყნების ბანკი – ინვესტორების ინვესტიციური შესაძლებლობების გაძლიერება ამ ქვეყნებში დაფიქსირებული უნიკალური მოვლენის, სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი პერიოდის დაფიქსირებაა. თუმცა 1997-1998 წლების მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პორტფელური ინვესტიციების მოცულობისა და გეოგრაფიული განთავსების დამოკიდებულებას მიმღებ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე, გადამწყვეტი ფაქტორი – ეს არის სავალო ვალდებულებების მოკლევადიანი ხასიათი. ისინი პორტფელური ინვესტიციების ძირითად ნაწილს შეადგენენ, საბანკო დეპოზიტებთან ერთად მტკიცედ გადაადგილდებიან ქვეყნებს შორის მოგების შენარჩუნების მიზნით ჯერ ერთი, და ზემოგების მიღების მიზნით მეორეც.

პორტფელური ინვესტიციების საერთაშორისო ბაზრის ძირითადი მონაწილენი არიან მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები, პირველ რიგში აშშ, გერმანია, იაპონია, ბელგია. მათზე, როგორც ექსპორტიორებზე, მოდის 2000 წელს მთელი პორტფელური ინვესტიციების 95%, 1990 წელს ეს მაჩვენებელი 90%-ს უდრიდა. გარდამავალი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე მოდიოდა გატანილი პორტფელური ინვესტიციების 5% და შემოტანილი ინვესტიციების 10%. [7]

უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ პირდაპირი ინვესტიციები – ეს არის მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ისინი უდიდეს გავლენას ახდენენ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე როგორც ინვესტიციების ექსპორტიორ, ასევე იმპორტიორ ქვეყნებში. სსფ-ის მონაცემებით პირდაპირი ინვესტიციების გატანა მსოფლიო მასშტაბით 1981-2020 წლებში გაიზარდა 23-ჯერ, ხოლო შემოტანა – 20-ჯერ. [5]

მსოფლიო ბანკის მონაცემებით პირდაპირ ინვესტიციებს შედარებით მეტი მაკროეკონომიკური მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპაში (პირველ რიგში პატარა ქვეყნებში), ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში და ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გეოგრაფიული განაწილებისათვის დამახასიათებელია იგივე კანონზომიერება, რაც კაპიტალის მიგრაციის სხვა სახეობებისათვის. ამ ინვესტიციების როგორც ექსპორტიორები, ასევე იმპორტიორები არიან განვითარებული ქვეყნები. მსოფლიო ინვესტიციური ბაზრის გაფართოებისა და განმტკიცების ძირითადი ძალა არის ტრანსნაციონალური ბანკები და მათი უცხოური ფილიალები. საერთაშორისო ინვესტიციური ბაზრის ლიბერალიზაცია, ინვესტიციური თანამშრომლობის უნივერსალური ნორმების შემუშავება ეს არის იმ პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები, რომელთაც ატარებენ ნაციონალური მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო ინვესტიციური ბაზრის განვითარებასთან მიმართებაში.

გლობალური სტატუსის საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. საერთაშორისო ინვესტიციებთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციის განუყოფელი ნაწილია გლობალური სტატუსის საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. მათი საქმიანობის მიზანია ინვესტიციურ სფეროში მონაწილე ქვეყნების პოზიციების კოორდინაცია, ინვესტიციების მსოფლიო ბაზარზე მუშაობის უნიფიცირებული სტანდარტების დანერგვა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვაზე კონტროლი, ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაცია. [12] ახალი საერთაშორისო ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და სამართლებრივი სტრუქტურების შექმნა, ფუნქციონირებადი საერთაშორისო და რეგიონალური ინსტიტუტების აქტივიზაცია და მათი როლის გაძლიერება ინვესტიციების საერთაშორისო ბაზრის რეგულირებაში არის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები XX ს. ბოლო ათწლეულებისათვის. საერთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანებების ჩარჩოებში (ევროკავშირი, ნაფტა, ასეანი და სხვები), ვითარდება ინვესტიციური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები. ასე მაგალითად, საერთაშორისო ინვესტირების სფეროში ევროკავშირი ქმნის ინტიტუციონალურ საფუძვლებს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის, ასევე მან შექმნა ეკონომიკის რეგულირების ზენაციონალური ინსტიტუტები.

ინვესტიციების მსოფლიო ბაზრის ძირითადი ცვლილებები, რაც პირველ რიგში მის სტრუქტურაში მიმდინარე ძვრებთანაა დაკავშირებული, განპირობებულია ფინანსური გლობალიზაციით და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ტემპების დაჩქარებით. საერთაშორისო ინვესტირების დომინირებად ფორმად XX ს. 70-იანი წლებში განიხილება პირდაპირი ინვეტიციები, ხოლო XXI ს-ში წინმსწრები განვითარება ჰპოვეს პორტფელურმა ინვესტიციებმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობის გაძლიერება ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ინვესტიციების მსოფლიო ბაზრიდან, ახალი ტექნოლოგიებს, საბანკო კაპიტალის ზრდას და რისკების ხარისხობრივ მართვას. ფინანსური ინსტრუმენტების საერთაშორისო მოძრაობა სულ უფრო მეტად დამოუკიდებელ ხასიათს იძენს. ყალიბდება ე.წ. ინვესტიციების სახელშეკრულებო ფორმები: ხელშეკრულებები დაკავშირებული მომსახურებასთან და მართვასთან. მიზნობრივი სავალო სესხის ხელშეკრულებები, დაკავშირებული კაპიტალურ დაბანდებებთან, შეთანხმება ფრანჩაიზინგის შესახებ (ფრანშიზის შესახებ), შეთანხმებები ლიზინგის შესახებ, შეთანხმებები პროდუქციის დაყოფაზე. მოცემული ოპერაციების არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ ითვალისწინებენ არარეზიდენტებისათვის საკუთრების უფლების გადაცემას – ეს დამახასიათებელი ნიშანია ტრადიციულად განხილულ პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებთან მიმართებაში. ოღონდ ინვესტიციების ხელშეკრულებითი ფორმა იძლევა შემოსავლის მიღების უფლებას.

ცვლილებები ინვესტიციების ფორმების წყაროებში. კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე პირდაპირი ინვესტიციების ფორმირების წყაროების სტრუქტურაში ადგილი აქვს არსებით ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია ძვრებთან ინვესტირების სხვადასხვა ვარიანტების პრიორიტეტულობისა და ეფექტიანობის სფეროში, ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და კრედიტების ბაზრის ურთიერთდაკავშირებულების გაძლიერებასთან. ინვესტიციური მოთხოვნილებების დაფინანსებისათვის კორპორაციული ინვესტირების პარალელურად გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც ერწყმის საბანკო დაკრედიტების ტრადიციული მექანიზმები. ამასთან ერთად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კრედიტების ხვედრითი წილი სტაბილურად მცირდება დაკრედიტების წესების გამკაცრების გამო. მზარდი ფინანსური გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს კორპორაციული ფასიანი

ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის სტრუქტურის ტრანსფორმაციას ძირითადი საფონდო აქტივების ჭრილში: ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტად გამოყოფენ კომპანიების აქციებს, რომელთა ხვედრითი წილი თითქმის 3-ჯერ აჭარბებს სავალო ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილს. [14] თანდათან კარგავს მნიშვნელობას სახელმწიფო ობლიგაციების საერთაშორისო ბაზარი. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ განვითარებული ქვეყნები ატარებენ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც თანდათანობით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება შესაბამისად ახალი დავალიანებების შემცირების ფონზე, მეორე მიზეზია ის, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის შემცირების ფონზე იცვლება ინვესტორთა უპირატესობის მინიჭების პრინციპი, ამის გარდა იზრდება აქციების ბაზარზე ტრანსაქტიური ოპერაციები.

დასკვნა

გლობალიზაციის ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთ მოვლენასთან დაკავშირებით, როგორიცაა საქართველოდან კაპიტალის გადინება. ყოველწლიური ინვესტიციებისა და მათი დაგროვილი თანხის შედარებითი დინამიკა აჩვენებს, რომ დაგროვილი თანხა გაცილებით ნელი ტემპით იზრდება, ვიდრე ყოველწლიური დაბანდებები. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოური კაპიტალის მოდინებასთან ერთად, საქართველოდან გადინდება კაპიტალიც. ნაწილობრივ ამ გადინებას კანონზომიერი და ჯანსაღი ხასიათი აქვს. უცხოური კაპიტალის გამომყენებელ კომპანიებს კანონით უფლება ენიჭებათ, მოახდინონ იმ შემოსავლების ნაწილისა და წმინდა მოგების რეპატრიაცია, რომელიც უცხოური კაპიტალის წილად მოდის, მსხვილი ქართული საწარმოები თანდათან ახდენენ წილების შეძენის პრაქტიკის გადმოღებას ანუ იძენენ პორტფელურ ინვესტიციებს, საკონტროლო პაკეტს საწესდებო კაპიტალში, იძენენ ასევე მთელ საწარმოებს. ე.ი. ახდენენ პირდაპირ ინვესტირებას საზღვარგარეთ. ახორციელებენ ინვესტირებას უცხოეთსა და თვით რუსეთის ფედერაციაში. ცხადია, ეს პროცესი ნაწილობრივ შეიძლება შეფასდეს დადებითად. კაპიტალის გადინებაში გარკვეულ ადგილს იჭერს უცხოელი მუშების საქმიანობაც. რომლებიც ახდენენ ქართული ვალუტით აღებული შრომითი შემოსავლების კონვერტირებას საქართველოში და გააქვთ იგი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

არასასურველია კაპიტალის გადინება, რომელიც გამოწვეულია უცხოელი ინვესტორების დაუინტერესებლობით _ დააბანდონ კაპიტალი ქართულ ეკონომიკაში. აქ საჭიროა ღონისძიებების გატარება ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, რაც უზრუნველყოფს ინვესტორების ნდობის ზრდას და ეს კი პირდაპირ აისახება ქვეყნიდან ინვესტიციების გადინების პროცესზე. მკაცრი სახელმწიფო ღონისძიებები აუცილებელია ქვეყნიდან ვალუტის უკანონოდ გატანის აღსაკვეთად, რომელიც ხორციელდება საექსპორტო კონტრაქტების მიხედვით სავალუტო ამონაგების დაუბრუნებლობისა და ფაქტიური საიმპორტო კონტრაქტების შემთხვევაში ავანსური გადახდების დაუბრუნებლობის სახით.

მაგრამ მთლიანობაში კაპიტალის როგორც მოდინება, ასევე გადინება, პერსპექტივაში რაოდენობრივად გაიზრდება. მთავარია, რომ აქ შენარჩუნდეს საჭირო ბალანსი და კაპიტალის გადინებამ კრიტიკულად არ გადააჭარბოს კაპიტალის შემოდინებას.

აქვე დავასკვნით, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განვითარებული ქვეყნების მიერ უცხოეთში ინვესტიციების განხორციელების ძირითად ფორმებს. კერძოდ:

პირველ რიგში, ეს არის ახალი საწარმოების შექმნა ან მოქმედი საწარმოების შეძენა. კაპიტალის დაბანდების კიდევ ერთი ფორმაა საწარმოების შეძენა ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებით, ისე, რომ საგარეო ბაზარს მიეწოდოს ამ ნედლეულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია.

მესამე ფორმა _ იმ ქვეყნებში, სადაც ხდება საერთოდ ტექნიკის ექსპორტი (სამხედრო და სამოქალაქო), ამ ტექნიკისთვის ლოჯისტიკური და სერვისული სისტემების შექმნა, რაც აუცილებელი პირობაა ამ მდგრადი ბაზრის შესანარჩუნებლად.

მეოთხე ფორმა _ აქტივების ნაწილის ან მთლიანად ამ აქტივების შესყიდვა გაზგამანაწილებელ და ნავთობპროდუქტების გამანაწილებელ სისტემებში ქართული ენერგორესურსების იმპორტიორ ქვეყნებში. ქართული კაპიტალის ასეთი დაბანდება საზღვარგარეთ ამარტივებს, ასუსტებს ენერგომატარებელთა ტრანზიტორ ქვეყნებზე დამოკიდებულებას და ამაღლებს ენერგორესურსების მიწოდების საიმედოობას უცხოელი პარტნიორებისთვის.

მეხუთე ფორმა _ ეს არის ზოგიერთ ქვეყანაში სამრეწველო ობიექტების მშენებლობა კომერციულ საწყისებზე. მაგალითად გამოდგება ირანში ბუშერის ატომური ელექტროსადგურის აშენება.

დაბოლოს, **მეექვსე ფორმა** _ ეს არის კაპიტალის მონაწილეობა სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაში უცხოეთში უცხოელ პარტნიორებთან ერთად, რაც დამახასიათებელია საერთაშორისო პროექტებისათვის და სხვა დარგებისთვის. ბოლო წლებში აქტიურად ვითარდება ასევე სამშენებლო კომპანიების დეველოპერული საქმიანობა, რომლებიც საზღვარგარეთ აგებენ ტურისტულ კომპლექსებს, სამკურნალო ცენტრებს, საცხოვრებელ ბინებს და ა.შ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ქვეყნების ერთობლივი მონაწილეობის ფორმები მსოფლიო საინვესტიციო პროცესში. მაგრამ ზემოთ ნათქვამი იმაზე მეტყველებს, რომ კაპიტალი თანდათან იძენს ტრანსეროვნულ თვისებებს და მყარ პოზიციებს იმკვიდრებს მსოფლიო ეკონომიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Blank I. V.** (2018), Investments: Theory and Practice, Moscow, Publisher: Yurait, 360 p. (in Russian)
2. **Chaisse J.** (2019), China's International Investment Strategy—Bilateral, Regional, and Global Law and Policy. Oxford University Press 600 p. ISBN: 9780198827450
3. **Chaisse Julien, Leïla Choukroune, Sufian Jusoh** (2021), Handbook of International Investment Law and Policy, Springer, 2000 p. ISBN: 978-981-13-3615-7
4. **Chaisse Julien, Sufian Jusoh (eds.)** (2020), Sixty Years of European Integration and Global Power Shifts: Perceptions, Interactions and Lessons, Hart Publishing, 520 p. ISBN 9781509933723
5. **Charaia V.** (2015), The Role and Importance of Foreign Direct Investments for the Country's Economic Growth (Dissertation). TSU. (in Georgian)
6. **Chubarev A.** (2019), Global investment processes: Analysis and forecasting, Moscow, Publisher: Nauchnaya kniga, 360 p. (in Russian)
7. **Igonina L.** (2005), Investments. Moscow: Economist. p. 478. (in Russian) ISNB 5-98118-135-4
8. **Luchko M.** (2003), Direct foreign investments: movement and significance // Economist. №. 3. – pp. 22-32. (in Russian)
9. **Mekvabishvili E.** (2009), Globalization of the Economy: Directions, Challenges, Prospects. *Innovation*, Tbilisi, (in Georgian)
10. **Mekvabishvili E.** (2018), The Financial Crisis of the Globalization Era and the Economy of Georgia. Tbilisi. (In Georgian).

11. **Qoqiauri L.** (2017), Foreign Investments. Tbilisi: Financial Investment Policy and Strategy Foundation. 887 p. ISBN 987-9941-9541-2-2. (in Georgian)

12. **Qoqiauri L. (**2025), Investment Activities Vol. 1 Theoretical Foundations of Investment. Kalmosani Publishing House 707 p. (in Georgian)

13. **Sedov C.** (2003), International capital movement: global impact of regional crises. // Society and Economy. № 2. – pp. 63-76. (in Russian)

14. **World Investment Report.** 1990, 2000, 2010, 2015, 2020. Foreign Direct Investment and Challenge of Development. UN. New York and Geneva

15. **Fu, X. and Ghauri, P.** (2020), Trade in Intangibles and the Global Trade Imbalance. *The World Economy.* https://doi.org/10.1111/twec.13038|

16. **Fu, Xiaolan & Buckley, Peter J. & Fu, Xiaoqing Maggie,** (2020). "The Growth Impact of Chinese Direct Investment on Host Developing Countries," International Business Review, Elsevier, vol. 29(2). DOI: 10.1016/j.ibusrev.2019.101658

17. **Zubchenko L.** (2001), International capital movement in modern conditions // Economist. №. 6. – pp. 82-90. (in Russian)

AI and the Future of Finance in Georgia: Opportunities, Challenges, and Market Transformation

Nino Samchkuashvili
Georgian National University SEU,
Doctor of Economics, Associate Professor
Nikoloz Darchiashvili
Georgian National University SEU,
Doctor of Business Administration, Assistant Professor

Abstract. Artificial Intelligence (AI) is reshaping financial systems worldwide, offering unprecedented capabilities in data analysis, automation, and predictive modeling. In Georgia, the financial sector is beginning to embrace AI-powered solutions in areas such as banking, capital markets, risk management, and financial inclusion. This article examines the transformative potential of AI in Georgia's finance industry, focusing on applications in credit scoring, fraud detection, personalized financial services, and algorithmic trading. It also explores the role of AI in expanding access to finance for underserved populations, particularly small and medium-sized enterprises (SMEs) and rural communities. The paper discusses regulatory considerations, including data privacy, ethical standards, and compliance with the National Bank of Georgia's framework. Drawing on international best practices and local case studies, it outlines opportunities for sustainable innovation and highlights challenges that must be addressed to ensure transparency, trust, and equitable growth in the era of AI-driven finance.

Key words: Artificial Intelligence, Finance, Georgia, Fintech, Banking Innovation, Credit Scoring, Algorithmic Trading

Artificial Intelligence (AI) is redefining global finance by enabling advanced analytics, automation, and personalization. In Georgia—a rapidly evolving, small-scale financial market—AI is emerging as a potent force as well. Institutions such as TBC Bank and Bank of Georgia are pioneering AI integration, powering enhancements in customer experience, operational efficiency, and governance. This article

explores the strategies, applications, and implications of AI in Georgia's finance sector, while highlighting obstacles and future potential.

Leading the Charge: AI in Georgian Banking

TBC Bank, established in 1992 and now a FTSE 250–listed institution with robust 2024 figures (net income of GEL 1.27 billion, assets of GEL 37.75 billion), has deepened its focus on AI and digital transformation . They have implemented AI-driven chatbots and virtual assistants using NLP to streamline customer service, predict needs, and reduce operational costs.

AI-powered fraud detection and credit risk models now monitor transactions in real time and assess borrower risk using complex data points.

Operational efficiencies are gained through Robotic Process Automation (RPA), reducing manual tasks and empowering staff to focus on strategic priorities.

In 2024, TBC introduced personalized FX exchange rates in its digital channels. Over 130,000 FX transactions have been automated, used by over 500 corporate clients . TBC also champions data science—hosting events like "Women in Data Science," offering tools such as AutoML and Power BI to train practitioners.

Described its AI agenda as a "key enabler," with machine learning systems delivering personalized financial services across touchpoints and improving decision-making and efficiency.

Achievements include omni-channel integration: AI synchronizes interactions across digital banking, branches, and call centers to deliver consistent, personalized service. The bank invests in AI research through collaborations, talent development, and ethical governance—focusing on data privacy, transparency, and regulatory alignment.

Forward-looking initiatives include explainable AI (XAI), quantum computing, and AI-powered blockchain systems for enhanced transparency and risk mitigation. They apply AI in sustainable finance—assessing carbon impact, green investments, blockchain in trade, and real estate credit analysis. Digital inclusion efforts include lightweight mobile banking requiring no data, virtual finance managers for retail and SME clients, and Soft POS for micro-merchants

Regulatory Environment & Institutional Support

The National Bank of Georgia (NBG) is actively shaping AI integration strategy. In November 2024, they launched a fintech strategy (with the World Bank), mapping out open banking, CBDC pilots, sandboxes, instant payments, and regional fintech hub aspirations . In June 2025, the NBG inaugurated an AI Sandbox—a regulatory sandbox allowing AI-driven financial innovations to be tested safely, with applications accepted through September 5, 2025.

The NBG is also aligning its future AI regulations with European Union standards to manage risk prudently and support innovation harmoniously.

Keywords: Climate change, green banking policy, ESG criteria, green bonds, financial sector, National Bank, sustainable development, financial regulations, Paris Agreement, Georgia, green finance, energy efficiency, financial risks.

შესავალი. 21-ე საუკუნეში კლიმატური ცვლილებები ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ გლობალურ გამოწვევად იქცა, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის მსოფლიო ეკონომიკურ და სოციალურ წესრიგს. ამ ცვლილებებს უკვე აქვს ხილული შედეგები — იზრდება გვალვების, წყალდიდობებისა და ექსტრემალური ამინდის სიხშირე, ზიანდება სასოფლო-სამეურნეო სექტორი, ენერგეტიკული რესურსები, ინფრასტრუქტურა და საფრთხე ექმნება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემებს. ეკონომიკური დანაკარგები და საინვესტიციო რისკები, რაც კლიმატური ცვლილებებით არის გამოწვეული, საჭიროებს სისტემურ და ფართომასშტაბიან რეაგირებას — არა მხოლოდ გარემოსდაცვითი, არამედ ფინანსური ინსტიტუტების მხრიდანაც. ამ კონტექსტში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვანე საბანკო პოლიტიკას, რაც გულისხმობს საბანკო სექტორის ჩართულობას გარემოსდაცვითად პასუხისმგებელი და მდგრადი განვითარების მხარდაჭერაში. ბანკები, როგორც ფინანსური სისტემის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, შეძლებენ კლიმატური რისკების შერბილებას გარემოსდაცვითი სტანდარტების ინტეგრირებით კრედიტის გაცემასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებებში. გლობალურად უკვე დაწყებულია მწვანე ბანკინგის სტრატეგიული დანერგვა — ისეთი ქვეყნებისა და რეგიონების მიერ, როგორებიც არიან ევროკავშირი, ჩინეთი, აშშ და სხვა ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები. ამასთანავე, იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების წილი მწვანე ფინანსების სტიმულირებაში, რაც ქმნის ახალ სტანდარტებს და მოთხოვნებს ბანკების, ინვესტორების და მომხმარებლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კვლავ განვითარების პროცესშია ამ მიმართულებით, ქვეყანაში უკვე შეინიშნება პროგრესი: ეროვნული ბანკის ჩართულობა მდგრადი ფინანსების ჩარჩოს შემუშავებაში, ზოგიერთი ბანკის მიერ შემუშავებული მწვანე პროდუქტები და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა მიუთითებს იმაზე, რომ მწვანე საბანკო პოლიტიკა ეტაპობრივად იკრებს ძალას. წინამდებარე მოხსენება მიზნად ისახავს კლიმატური ცვლილებების ეკონომიკური ზეგავლენის ანალიზს, მწვანე საბანკო პოლიტიკის არსისა და გლობალური პრაქტიკის განხილვას, ასევე საქართველოს მაგალითზე არსებული გამოწვევებისა და განვითარების პერსპექტივების შესწავლას.

კლიმატური ცვლილებების ეკონომიკური გავლენა

კლიმატური ცვლილებები აღარ განიხილება მხოლოდ ეკოლოგიურ ან მეცნიერულ პრობლემად — ეს გლობალური საფრთხეა ეკონომიკის სტაბილურობისთვის. ბუნებრივი კატასტროფები, გვალვები, წყალდიდობები და მოსავლიანობის კლება პირდაპირ მოქმედებს საბანკო სექტორზე:

- იზრდება კრედიტების გადაუხდელობა სოფლის მეურნეობაში;
- მაღალია აქტივების გაუფასურების რისკი უძრავი ქონების სექტორში;
- ფინანსურ ინსტიტუტებს ემუქრებათ რეპუტაციული ზიანი, თუ ისინი აფინანსებენ ეკოლოგიურად საზიანო პროექტებს.

მწვანე საბანკო პოლიტიკის არსი და პრინციპები

მწვანე საბანკო პოლიტიკა გულისხმობს ფინანსური სექტორის გარდაქმნას ისე, რომ ის მხარს უჭერდეს მდგრად განვითარებას და ამცირებდეს გარემოზე ზიანს.

ძირითადი პრინციპები:

- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების ინტეგრირება;
- გარემოსთვის უსაფრთხო და დაბალი ემისიის მქონე პროექტების დაფინანსება;
- კლიმატური რისკების ანალიზი და გამოვლენა;
- ტრანსპარენტული რეპორტინგი და ანგარიშგება მწვანე ფინანსებზე.

მწვანე ფინანსები — არსი, ფორმები და როლი

მწვანე ფინანსები მოიცავს ყველა იმ ფინანსურ პროდუქტსა და მომსახურებას, რომელიც ემსახურება გარემოსდაცვით მიზნებს, როგორიცაა ნახშირბადის ემისიების შემცირება, ენერგოეფექტურობა, წყლის რესურსების დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური ზარალი (მლრდ დოლარი)

დიაგრამა 1



წყარო:Munich Re, 2023

მწვანე საბანკო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

ცხრილი 1

მიმართულება	შინაარსი
ფინანსური რესურსების მობილიზაცია	ინვესტიციების მიმართვა ეკოლოგიური პროექტებისკენ
რისკების მენეჯმენტი	ფიზიკური და ტრანზიციული რისკების გათვალისწინება საკრედიტო პოლიტიკაში
ESG ინტეგრაცია	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების შეფასება
გამჭვირვალობა და ანგარიშგება	ანგარიშგება კლიმატურ რისკებზე, ციფრული ESG ინდიკატორების ჩაშვება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ანგარიშგება კლიმატურ რისკებზე, ციფრული ESG ინდიკატორების ჩაშვება

ცხრილი 2

ქვეყანა/რეგიონი	ინიციატივა	შედეგი
ევროკავშირი	Sustainable Finance Disclosure Regulation	ბანკებისთვის სავალდებულო ESG რეპორტინგი და

		ანგარიშგება
ჩინეთი	Green Credit Policy	სახელმწიფო ბანკებს უწესებს მწვანე სესხების გაცემის პრიორიტეტს
აშშ	Inflation Reduction Act (2022)	მწვანე ინვესტიციებზე საგადასახადო შეღავათები და საბანკო წახალისება
ბრაზილია	გარემოსდაცვითი რისკების რეგულაციები	ბანკების დაკრედიტების პროცესში კლიმატური რისკების შეფასების მოთხოვნა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

მწვანე ფინანსების ძირითადი ინსტრუმენტები:

ცხრილი 3

ინსტრუმენტი	აღწერა
მწვანე კრედიტი	სესხები გარემოსდაცვით პროექტებზე (ენერგოეფექტური სახლები, ეკო-ტექნოლოგიები)
მწვანე ობლიგაციები	ფასიანი ქაღალდები ეკოლოგიური მიზნებისთვის მოზიდული სახსრებით
ESG ინვესტიციები	საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვით და სოციალურ ფაქტორებს
კლიმატური დაზღვევა	ფინანსური დაცვა კლიმატური ზიანისგან (გვალვა, წყალდიდობა)
კარბონის ბაზრები	ემისიების ვაჭრობა ან კომპენსაცია — „carbon offset“

გლობალური ტენდენციები მწვანე ბანკინგში

ტენდენციები:

- ევროკავშირი: ევროკომისიის მწვანე შეთანხმება (Green Deal), EU Taxonomy რეგულაცია და SFDR ანგარიშგების მოთხოვნები.
- აშშ: SEC იწყებს კომპანიების კლიმატური რისკების გაშუქების რეგულირებას.
- ჩინეთი: ჩამოყალიბდა მწვანე კრედიტის სისტემა და სპეციალური ფინანსური სტიმულები.
- საერთაშორისო ბანკები: ბანკები სავალდებულოდ აფასებენ პორტფელის კლიმატურ გავლენას.

დიაგრამა 2



ტენდენცია მიუთითებს მწვანე ინვესტიციების ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში.

კომერციული ბანკების აქტივობები

კომერციული ბანკები იწყებენ მწვანე პროდუქტების შეთავაზებას, განსაკუთრებით ენერგოეფექტურობისა და ეკო-მეგობრული პროექტების მიმართულებით.

მწვანე პროდუქტების პორტფელი (მლნ ლარი)

ცხრილი 4

ბანკი	2020	2021	2022	2023
თბს	25	52	95	130
საქ.ბანკი	18	41	80	115
ჯამურად	53	110	195	280

წყარო: ბანკების ESG ანგარიშგება, 2023

გამოწვევები

საქართველოს საბანკო სისტემა სტრუქტურულად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია რეგიონში, თუმცა მწვანე საბანკო პოლიტიკის მიმართულებით ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება წამყვან საერთაშორისო პრაქტიკებს. მიუხედავად ეროვნული ბანკის მცდელობისა, მწვანე ფინანსები საქართველოში დიდწილად ფრაგმენტულ, არასისტემურ ხასიათს ატარებს.

1. რეგულაციური და სამართლებრივი ჩარჩოს სისუსტე

- მწვანე ფინანსების მიმართულებით არ არსებობს სპეციფიკური კანონმდებლობა, რომელიც დაავალდებულებს ბანკებს გარემოსდაცვითი რისკების გამოვლენასა და ანგარიშგებას.
- ESG სტანდარტების გამოყენება სავალდებულო არ არის, მხოლოდ რეკომენდაციის დონეზეა დაშვებული.
- „მწვანე ტაქსონომია“ — ანუ კრიტერიუმების სისტემა, თუ რა ჩაითვლება მწვანე პროექტად — ჯერ არ არის შემუშავებული, რაც საინვესტიციო გადაწყვეტილებებს ართულებს.

2. ინსტიტუციური სისუსტე და კოორდინაციის ნაკლებობა

- მწვანე პოლიტიკის განხორციელება ბანკებსა და სახელმწიფოს შორის კოორდინაციის გარეშე მიმდინარეობს.

- არ არსებობს ცენტრალიზებული მწვანე პროექტების პლატფორმა, რომელიც ფინანსურ სექტორს მიაწვდიდა დაკვალიფიცირებულ ინფორმაციას პოტენციური ინვესტიციების შესახებ.
- გარემოსდაცვით უწყებებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის კავშირი სუსტი და არასისტემურია.

3. გრძელვადიანი ფინანსური რესურსების დეფიციტი

- მწვანე პროექტების დიდი ნაწილი მოითხოვს დაბალპროცენტიან, გრძელვადიან ფინანსურ რესურსებს.
- ადგილობრივ ბანკებს ამ რესურსებზე წვდომა არ აქვთ, ხოლო საერთაშორისო დონორებისგან მიღებული რესურსი ხშირად არასაკმარისია სისტემური ცვლილებებისთვის.
- მწვანე კრედიტების თვითღირებულება მაღალია, რაც განაპირობებს ბანკების მხრიდან დაბალ მოტივაციას მათი მასშტაბური გაცემისთვის.

4. ცნობიერებისა და კომპეტენციის ნაკლებობა

- ბანკების დიდი ნაწილი არ ფლობს გარემოსდაცვითი რისკების ანალიზის მეთოდოლოგიას.
- კერძო სექტორი — მცირე და საშუალო კომპანიები — ხშირად ვერ აცნობიერებენ ESG მოთხოვნების მნიშვნელობას და ხედავენ მათ როგორც ზედმეტ ბიუროკრატიას.
- გარემოსდაცვითი მიზნების ინტეგრაცია ბიზნეს-გეგმებში იშვიათად ხდება პრიორიტეტი.

5. დამოკიდებულება დონორებზე და გარე ჩნეხზე

- მწვანე ინიციატივები ხშირ შემთხვევაში ხორციელდება დონორების გრანტების ან ტექნიკური დახმარების მეშვეობით, რაც ართულებს მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას.
- ბენჩმარკინგის არარსებობის პირობებში ბანკები ხშირად დამოკიდებულნი არიან უცხოურ მოდელებზე, რომლებიც ყოველთვის ადაპტირებული არ არის ქართულ რეალობასთან.

შესაძლებლობები

მიუხედავად ზემოაღნიშნული ბარიერებისა, საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსები მწვანე საბანკო პოლიტიკის განვითარების კუთხით — როგორც გეოპოლიტიკური პოზიციის, ისე რეგიონის ფინანსური ლიდერობის გათვალისწინებით.

1. მზარდი საერთაშორისო მხარდაჭერა

- საქართველოს აქტიურად ეხმარებიან ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა:
- EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი)
- IFC (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია)
- GCF (Green Climate Fund)
- UNEP FI (გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ფინანსური ინიციატივა)

ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ როგორც ტექნიკურ ექსპერტიზას, ისე დაბალპროცენტიან მწვანე დაფინანსებას.

2. ეროვნული ბანკის პროგრესული მიდგომა

- მდგრადობის კოდექსის მიღება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც საერთაშორისო პრინციპებზე დაყრდნობით ითვალისწინებს ESG ფაქტორების ინტეგრირებას.
- ეროვნული ბანკი უკვე მუშაობს კლიმატური რისკების გაშუქების მეთოდოლოგიის დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს ფინანსური სექტორის გრძელვადიან მდგრადობას.

3. მზარდი ინტერესი კომერციულ ბანკებში

რამდენიმე წამყვანმა ბანკმა უკვე დანერგა მწვანე პროდუქტები:

- „მწვანე იპოთეკები“

- ენერგოეფექტური აღჭურვილობის დაფინანსება
- ელექტრომობილების სესხები

ბანკები მზაობას აცხადებენ მწვანე ობლიგაციების გამოშვების ან ESG რეპორტინგის გაუმჯობესებისთვის, თუ უზრუნველყოფილი იქნება სტიმულები და მხარდაჭერა.

4. სტრატეგიული პროექტების დაფინანსების პოტენციალი

- საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწვანე დაფინანსებას შემდეგ სექტორებში:
- ენერგეტიკა (ჰიდროელექტროსადგურები, მზის პანელები);
- სოფლის მეურნეობა (კლიმატურად მდგრადი მეურნეობა);
- ტრანსპორტი (ელექტრომობილების ინფრასტრუქტურა);
- სამშენებლო სექტორი (ენერგოეფექტური საცხოვრებელი პროექტები).

5. მწვანე განათლება და ცოდნის გაზრდა

ბოლო წლებში აქტიურდება ESG-ისა და მწვანე ფინანსების სწავლება როგორც აკადემიურ, ისე კორპორაციულ დონეზე. ეროვნულ ბანკს, ბიზნეს-ასოციაციებსა და ბანკების ასოციაციას შეუძლიათ განავითარონ ტრენინგები, სერტიფიკატები და მოდულები, რომლებიც დაეხმარება ფინანსურ სექტორს შესაბამისი კომპეტენციის გაღრმავებაში.

დასკვნა

კლიმატური ცვლილებები დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და გლობალურ გამოწვევად რჩება. ეს პროცესები არა მხოლოდ ბუნებრივ გარემოზე ახდენს მტკივნეულ ზემოქმედებას, არამედ მრავალმხრივ საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ სტაბილურობას, ბიზნესსექტორს, მოსახლეობის კეთილდღეობასა და ფინანსურ სისტემებს. ტემპერატურის ზრდა, წყალმცირობა, სტიქიური მოვლენების გახშირება, ენერგეტიკული კრიზისები და სასურსათო უსაფრთხოების შემცირება — ეს ყველაფერი ქმნის იმ ფონს, რომელზეც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ფუნქციონირებს. ამ მოცემულობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მწვანე საბანკო პოლიტიკა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ბერკეტი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის. მწვანე საბანკო პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) პრინციპების ინტეგრაციას ფინანსურ გადაწყვეტილებებში, წარმოადგენს ფინანსური სექტორის პასუხს გლობალურ კლიმატურ კრიზისზე. მასში ასახულია ახალი ეკონომიკური ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც ფული არ უნდა იყოს მხოლოდ მოგების წყარო, არამედ უნდა ემსახურებოდეს მდგრად განვითარებას, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვასა და მომავალი თაობებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

მწვანე ფინანსები, როგორც ამ პოლიტიკის საკვანძო კომპონენტი, მოიცავს სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტს — მწვანე ობლიგაციებს, ეკო-სესხებს, ESG ფონდებს, კარბონის ბაზრებს და სხვა, რომლებიც ორიენტირებულია დაბალი ნახშირბადის ეკონომიკის განვითარებაზე. მსოფლიოს წამყვანი ბანკები უკვე ახორციელებენ პოლიტიკებს, რომლებითაც არაინვესტირებადად მიიჩნევენ ნახშირისა და ნავთობის მაღალი ემისიის მქონე კომპანიებს და უპირატესობას ანიჭებენ განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის პროექტებს. საქართველოს შემთხვევაში, მწვანე საბანკო პოლიტიკის ფორმირება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, თუმცა პოზიტიური ნიშნები თვალსაჩინოა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მწვანე ფინანსების ჩარჩოს განვითარებაში, მათ შორის მდგრადობის კოდექსის შემოღება, კლიმატური რისკების შეფასების მექანიზმებზე მუშაობა და კომერციული ბანკების მოტივირება ESG ანგარიშგების დასანერგად. ასევე,

სავალუტო ფონდისა და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით აქტიურდება მწვანე პროდუქტების პორტფელი ბანკებში, განსაკუთრებით ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის მიმართულებით. თუმცა ეს მიღწევები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მწვანე ბანკინგი საქართველოში რეალურ სისტემურ პოლიტიკად ჩამოყალიბდეს. ჯერ კიდევ აშკარაა საკანონმდებლო რეგულაციების სისუსტე, ESG მონაცემთა არათანმიმდევრული გამოყენება, ფინანსური ინსტრუმენტების სიმცირე და საინვესტიციო ცნობიერების დაბალი დონე, როგორც ბანკებსა და კომპანიებში, ისე ფართო საზოგადოებაში. კომერციული ბანკების გამოცდილება მწვანე სესხებზე მეტწილად არის ინდივიდუალური ინიციატივების სახით და არა სისტემური პოლიტიკის ნაწილი. კლიმატური რისკების გაზრდის ფონზე, აუცილებელია არა მხოლოდ გარემოსდაცვითი პროექტების დაფინანსება, არამედ მთლიანი საბანკო სისტემის კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფა. ეს ნიშნავს, რომ ბანკებმა უნდა შეძლონ წვდომა გრძელვადიან, იაფ რესურსებზე მწვანე ინიციატივებისთვის, ხოლო სახელმწიფომ და ეროვნულმა ბანკმა — შექმნან შესაბამისი სტიმულების და მონიტორინგის მექანიზმები. მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს საბანკო სექტორის სტაბილურობას, ინოვაციების მხარდაჭერას და ეკოლოგიური გამოწვევების პრევენციას. საქართველო, როგორც კლიმატურად მოწყვლადი ქვეყანა, ვერ შეძლებს გრძელვადიანი ეკონომიკური წინსვლის მიღწევას, თუ მწვანე ფინანსები არ იქნება განვითარების ერთ-ერთი ცენტრალური ღერძი. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის უბრალოდ იდეალისტური მიდგომა — ეს არის პრაქტიკული და მომგებიანი გადაწყვეტილება. შესაბამისად, მწვანე საბანკო პოლიტიკა საქართველოში საჭიროებს ინსტიტუციურ გაძლიერებას, პოლიტიკურ ნებაზე დაფუძნებულ ხედვას და კერძო სექტორის გაბედულ ნაბიჯებს. დასასრულად, უნდა ითქვას, რომ მწვანე ბანკინგი არ წარმოადგენს მხოლოდ საფინანსო ინსტრუმენტს — ის არის ახალი ეკონომიკური პარადიგმა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ამჟამინდელი ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესებას, არამედ გარემოსა და ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებას მომავალისთვის. საქართველოს შეუძლია გახდეს რეგიონის ერთ-ერთი ლიდერი მწვანე საბანკო პოლიტიკის კუთხით, თუ დღესვე გააკეთებს შესაბამის ინვესტიციებს ცოდნაში, სტრატეგიაში და ფინანსურ ინფრასტრუქტურაში. სწორედ ეს გახდება ის გზავნილი, რომ მდგრადი განვითარება მხოლოდ გლობალური იდეა კი არა, საქართველოს მომავლის საფუძველიცაა.

ბიბლიოგრაფია

1) ბახტურიძე, მ. (2021). კლიმატური ცვლილებების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. თსუ, ეკონომიკის ფაკულტეტი.

2) ქობალია, თ. (2020). მწვანე ეკონომიკის პრინციპები საქართველოში. ჟურნალი „საერთაშორისო ეკონომიკა“, #4.

3) საქართველოს ეროვნული ბანკი (2021). მდგრადობის კოდექსი. www.nbg.gov.ge

4) საქართველოს ეროვნული ბანკი (2022). კლიმატური რისკების ჩარჩო – სამუშაო დოკუმენტი.

5) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). ეკონომიკური მაჩვენებლები გარემოსდაცვითი პროექტების მიხედვით.

6) თიბისი ბანკი (2023). მდგრადი განვითარების ანგარიში.

7) საქართველოს ბანკი (2023). ESG ანგარიშგება და მწვანე ინიციატივები.
8) ფინანსთა სამინისტრო (2022). მწვანე საჯარო ფინანსების მართვის ჩარჩო დოკუმენტი.
9) Climate Bonds Initiative (2024). Green Bond Market Summary 2023. www.climatebonds.net
10) European Central Bank (ECB) (2021). Guide on climate-related and environmental risks.
11) International Finance Corporation (IFC) (2022). Green Banking and Sustainable Finance Toolkit.
12) OECD (2020). Developing Sustainable Finance Definitions and Taxonomies.
13) Swiss Re Institute (2024). Natural catastrophes and climate trends: Economic losses 2023.
14) UNEP Finance Initiative (UNEP FI) (2023). Principles for Responsible Banking Annual Report.
15) World Bank (2022). Financing Climate Action: The Green Finance Imperative.
16) World Economic Forum (WEF) (2023). The Net-Zero Banking Alliance: Progress and Challenges.

ადამიანური რესურსების განვითარება და სტიმულირება
Human Resource Development and Stimulation

ნაირა ღვედაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. ასოცირებული პროფესორი
Naira Ghvedashvili
Candidate of Economic Sciences
Associate Professor of the National University of Georgia

აბსტრაქტი. დღითიდღე იზრდება მოთხოვნა ნებისმიერ ხარისხიან სერვისზე. ეს იქნება ჯანდაცვა, განათლება, ტურიზმი, კულტურა თუ სხვა სფერო. თუ კვალიფიციური პერსონალის დეფიციტია, ეს უარყოფით გავლენას იქონიებს და ამ პრობლემას უფრო აქტუალურს გახდის. პერსონალის განვითარება და მათი სტიმულირება, ინოვაციების დანერგვა კი, საბოლოოდ ხელს შეუწყობს როგორც პერსონალის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას, ისე ეროვნული მეურნეობის დარგების ეფექტიან ფუნქციონირებას.

ბევრ პრობლემასთან ერთად საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში პერსონალის არასაკმარისი სტიმულირება, სტიმულირება, რომლის ამოცანაა კომპანიის მიზნის მიღწევა ცალკეული ინდივიდებით. ამიტომ საჭიროა როგორც ჯგუფების, ისე ცალკეული ინდივიდების მოტივირება.

ინდუსტრიული რევოლუციის საფუძველი იყო ადამიანური რესურსების ხარისხის სწრაფი ზრდა. პროფესიული განათლების განვითარებამ და მეცნიერების და კულტურის ევოლუციამ, განაპირობა განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების შექმნა შრომის მაღალი პროდუქტიულობით.

ჩვენი ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარების მაღალი დონით უზრუნველყოფა აუცილებელია, რათა თანამედროვე პირობებში ტექნოლოგიების დანერგვის ახალ ეტაპზე გადასვლა არ გაჭირდეს.

ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა განისაზღვროს შემდეგი პრიორიტეტები: კერძოდ, ადამიანური რესურსების როლის შესწავლა; სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების სიღრმის და ადამიანური რესურსების განვითარების დონის იდენტიფიცირება; მაღალგანვითარებული

ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და ინოვაციური მეთოდების გამოყენება; ადამიანური რესურსების განვითარების პრიორიტეტულ სფეროებზე რეკომენდაციების ჩამოყალიბება; ეკონომიკაში ადამიანური რესურსების როლის შესწავლა და ა. შ.

ეროვნული მეურნეობის დარგებში ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, რომ ინოვაციების დანერგვას, მოტივაციის ამაღლებას, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, მკვეთრად შეუძლია გააუმჯობესოს როგორც დარგის ეფექტიანობა, ასევე პერსონალის განვითარებაზე იქონიოს ძლიერი ზეგავლენა, გახადოს ისინი კონკურენტუნარიანი, იზრუნონ პროფესიული უნარების განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები. პერსონალის არასაკმარისი სტიმულირება, თანამედროვე პირობებში ტექნოლოგიების დანერგვა, ახალ ეტაპზე გადასვლა, შრომის მაღალი პროდუქტიულობა, სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულება, ადამიანური რესურსების განვითარების დონის იდენტიფიცირება.

Abstract. Every day, there is an increasing demand for high-quality services. Whether it is healthcare, education, tourism, culture, or another industry. If there is a shortage of qualified workers, the situation will worsen and become more critical. Personnel development and stimulation, as well as the introduction of innovations, will ultimately enhance the quality of personnel activities and the efficiency with which the national economy operates.

Among many other issues, one major problem in Georgia is a lack of employee motivation, which affects the ability to achieve the company's objectives through individual employees. Therefore, it is essential to motivate both teams and individuals.

The rapid improvement in human resource quality laid the foundation for the Industrial Revolution. The development of vocational training, along with advances in science and culture, led to the creation of a sophisticated industrial society with a high level of labor productivity.

It is essential to ensure our country invests in human resource development so that transitioning to a new stage of technology implementation in modern settings remains smooth.

To reach this goal, the following priorities must be set: studying the role of human resources; figuring out how closely socio-economic indicators and the level of human resources development are linked; sharing the experiences of highly developed countries and using new methods; making suggestions for the most important areas of human resources development; studying the role of human resources in the economy; and so on.

The contemporary practice of human resource management in the national economy demonstrates that the introduction of innovations, increased motivation, and the use of digital technologies can significantly enhance the sector's efficiency. Additionally, these practices can have a significant impact on personnel development, ensuring that they are competitive and that they develop their professional skills.

Key Words. Lack of employee motivation, introduction of technologies under modern settings, implementation in modern settings, significant labor productivity, interdependence of socioeconomic indicators, and the identification of the level of human resource development.

ადამიანური რესურსები მნიშვნელოვანია ეროვნული მეურნეობის ყველა დაგში, რადგან ყველა დარგის წარმატებული საქმიანობა პირდაპირ კავშირშია პერსონალის პროფესი-ონალიზმთან და მაღალ უნარ-ჩვევებთან, თავისთავად მოტივაციასთან და ასევე, კმაყოფილებასთან. დღითიდღე იზრდება მოთხოვნა ნებისმიერ ხარისხიან სერვისზე. ეს იქნება ჯანდაცვა, განათლება, ტურიზმი, კულტურა თუ სხვა სფერო. თუ კვალიფიციური პერსონალის დეფიციტია, ეს უარყოფით გავლენას იქონიებს და ამ პრობლემას უფრო აქტუალურს გახდის. პერსონალის განვითარება და მათი სტიმულირება, ინოვაციების დანერგვა კი, საბოლოოდ ხელს შეუწყობს როგორც პერსონალის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას, ისე ეროვნული მეურნეობის დარგების ეფექტიან ფუნქციონირებას.

ინოვაციური მიდგომები იქნება თუ მოტივაციური სისტემები საჭირო, ყველა მათგანი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას და მათ კარიერულ წინსვლას.

ინოვაცია, ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ახალი ტექნიკა, ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, ასევე, პერსონალთან მიმართებაში მათი გადამზადება, ტრენინგების ჩატარება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლები მიღება, არა მხოლოდ გააუმჯობეს, არემდ აამაღლებს პერსონალის შრომის მწარმოებლურობას და მათი კმაყოფილების დონეს.

სტატია ორიენტირებულია ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ინოვაციური გადწაყვეტილებების მიღების მნიშვნელობაზე, უცხოური გამოცდილების გათვალისწინებაზე პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით მათ მოტივაციაზე და ა. შ.

ბევრ პრობლემასთან ერთად საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში პერსონალის არასაკმარისი სტიმულირება, სტიმულირება, რომლის ამოცანაა კომპანიის მიზნის მიღწევა ცალკეული ინდივიდებით. ამიტომ საჭიროა როგორც ჯგუფების, ისე ცალკეული ინდივიდების მოტივირება. პრობლემაა ასევე, ზოგიერთ დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი, ასევე, სიმცირე და დეფიციტი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების შესაბამისი პროგრამებისა, პროგრამებისა, რომლის დანერგვა და რეალიზაცია დადებითად იმოქმედებს მუშაობის ხარისხზე, პერსონალის შრომის ნაყოფიერებაზე, შემოსავლის ზრდაზე, კარიერულ წინსვლაზე და დარგის წარმატებაზე. ეს არის წინაპირობა იმისა, თუ რამდენედ აუცილებელია ცვლილებების გატარება, სიახლეებისა და მოტივაციის სისტემების დანერგვა და რეალიზაცია, პერსონალის განვითარების უცხოური გამოცდილების გაზიარება და ა. შ, რაც შესაბამისობაში იქნება დღევანდელ გლობალურ გამოწვევებთან. ამგვარი კომპლექსური მიდგომა ბევრად წაადგება როგორც პერსონალის განვითარებას, ისე ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებას.

მუდმივი ცვლილებები და ინოვაციები კი მოითხოვს პერსონალის მართვისადმი ადაპტირებულ მიდგომას. ადამიანური რესურსების სტრატეგიულ სფეროში თანამედროვე კვლევები ხაზს უსვავს პერსონალის განვითარების სტრატეგიების ინტეგრირებას ორგანიზაციის საერთო სტრატეგიებთან. რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მდგრადი კონკურენტული უპირატესობის შექმნას და ორგანიზაციაში პროცესების ოპტიმიზაციას.

როგორც ცნობილია, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების კუთხით, შეიცვალა დამოკიდებულება ადამიანის როლისა ყველა დარგში. თანდათან იკვეთებოდა, რომ ხელით შრომიდან წარმოებაზე გადასვლის წინაპირობა იყო ცოდნის, უნარ-ჩვევების, განათლების დაგროვება და სოციალური კულტურის განვითარება.

ინდუსტრიული რევოლუციის საფუძველი იყო ადამიანური რესურსების ხარისხის სწრაფი ზრდა. პროფესიული განათლების განვითარებამ და მეცნიერების და კულტურის ევოლუციამ, განაპირობა განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების შექმნა შრომის მაღალი პროდუქტიულობით.

ჩვენი ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარების მაღალი დონით უზრუნველყოფა აუცილებელია, რათა თანამედროვე პირობებში ტექნოლოგიების დანერგვის ახალ ეტაპზე გადასვლა არ გაჭირდეს.

ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა განისაზღვროს შემდეგი პრიორიტეტები:

1. ადამიანური რესურსების როლის შესწავლა;

2. სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების სიღრმის და ადამიანური რესურსების განვითარების დონის იდენტიფიცირება;

3. მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და ინოვაციური მეთოდების გამოყენება;

4. ადამიანური რესურსების განვითარების პრიორიტეტულ სფეროებზე, რეკომენდაციების ჩამოყალიბება;

5. ეკონომიკაში ადამიანური რესურსების როლის შესწავლა;

6. ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციების ევოლუცია და ა. შ.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტისადმი მიდგომები გარკვეული თავისებურებით და განსხვავებით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტში იგივე თეორიული კონცეფციები გამოიყენება, რომელიც შექმნილია ძირითადად უცხოელი თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი მეცნიერ-მკვლევარების მიერ.

ყველაზე დიდი წარმატება ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და შრომის მოტივაციის გაუმჯობესებაში მიღწეულია იაპონურ და ამერიკულ კომპანიებში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებში გამოყენებული ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები, ბევრი სხვა ქვეყნისათვის მენეჯმენტის განვითარების ერთგვარ სტანდარტსაც კი წარმოადგენს.

იაპონურ კომპანიებში თანამშრომლებს შორის მაღალი სტიმულირება უზრუნველყოფილია მენეჯმენტის მეთოდებით, რომელიც მხარს უჭერს კომპანიის ინტერესებსა და მიზნების რეალიზაციაში პერსონალის ჩართვის საჭიროებას და დაკმაყოფილებას. რადგან, მათ აქვთ განცდა იმისა, რომ წარმოების მფლობელები არიან და მათ აზრს დიდი გავლენა აქვს კომპანიის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში.

თუმცა, ახლადმიღებულ პერსონალთან მუშაობის დიდი ძალისხმევაა საჭირო. ისინი გადიან ტრენინგს სპეციალობებში, სადაც ვლინდება მათი მიდრეკილება, სურვილები და უნარ-ჩვევები. იაპონურ კომპანიებს აქვთ პარსონალის მუდმივი კარიერული ზრდის შესაძლებლობები. ანაზღაურება შეიძლება იყოს მცირე, მაგრამ ყოველთვის არის სამუშაო ადგილზე კარიერული წინსვლის პერსპექტივა. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული არასპეციალიზებული კარიერა იაპონიაში, სადაც იცავენ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელი უნდა იყოს ისეთი სპეციალისტი, რომელსაც უნარი ექნება იმუშაოს კომპანიის ნებისმიერ უბანზე და არა რომელიმე ცალკეულ ფუნქციაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია ასევე, სამუშაო ადგილზე ჯანსაღი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ჯანსაღი ატმოსფერო. ამ მიზნით, კომპანია აწყობს სხვადასხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებას და ა. შ.

იაპონურ კომპანიებში, მენეჯმენტის სისტემა ეფუძვნება მუდმივ დაქირავებას, ფირმის იდეალებისადმი ერთგულებას, პერსონალის მუდმივ როტაციას, მაღალმწარმოებლური საქმიანობისათვის პირობების შექმნას. ამ სისტემის ჩამოყალიბება კი განპირობებულია მოსახლეობის დასაქმების გარანტიით პენსიაზე გასვლამდე, სტატუსისა და ხელფასის მუდმივი ზრდით, მუშაობის სტაჟის და გამოცდილების მიხედვით და ა. შ.

ადამიანური რესურსების მართვის კიდევ ერთი ეფექტური სისტემა არის აშშ-ში მიღებული მეთოდი, რომელიც დაფუძვნებულია ინდივიდუალიზმზე, კონკურენციის ტრადიციებზე, პერსონალის შრომის ანაზღაურების მაღალ დონეზე, სამომხმარებლო ფასეულობათა წახალისებაზე, დემოკრატიის მაღალ დონესა და მაღალ სოციალურ გარანტიებზე. ამ მოდელის ფარგლებში, მართვის პროცესი ფოკუსირებულია ნათელ პიროვნებაზე და მის ინდივიდუალურ თვისებებზე, რომლებიც ხელს უწყობს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას და აუმჯობესებს მის შესრულებას. ამერიკელი პერსონალისთვის მთავარი ფაქტორია ეკონომიკური სტიმულირება.

კრიზისულ სიტუაციაში ამერიკელი მენეჯერები ცდილობენ გაათავისუფლონ თანამშრომლების ნაწილი, რათა შეამცირონ თავიანთი ორგანიზაციის ხარჯები და გახადონ ის უფრო კონკურენტუნარიანი. ამერიკელი პერსონალი, თავიანთი შრომითი ხელშეკრულებით, ორიენტირებულნი არიან მხოლოდ თავიანთი ფუნქციური მოვალეობის შესრულებაზე და არა

იმუშაონ კომპანიის სასარგებლოდ, როგორც იაპონელი პერსონალი. ამერიკელი თანამშრომლები რამდენიმე წელიწადში ერთხელ იცვლიან სამუშაოს და გადადიან კომპანიებში, რომელიც მათ უფრო მაღალ ხელფასს ან უკეთეს სამუშაო პირობებს სთავაზობს. ეს აიხსნება იმით, რომ აშშ-ში ტრადიციულად მხოლოდ ვერტიკალური კარიერა ითვლება წარმატებულად. ვერტიკალური კარიერა, რომელშიც იგულისხმება სტრუქტურული იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, რომელსაც თან ახლავს ხელფასის მომატება. ამასთან, ჩვეულებრივი პრაქტიკაა პენსიაზე გასვლა იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც მუშაობენ კომპანიაში ოცდა ხუთ წელზე მეტი ხნის მანძილზე, მაშინაც კი, თუ მათ ჯერ არ მიუღწევიათ საპენსიო ასაკს. ე. ი კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს, შექმას პირობები ახალგაზრდა სპეციალიტების კარიერული ზრდისთვის და შეინარჩუნოს ისინი თავიანთ ორგანიზაციაში.

ამრიგად, ეროვნული მეურნეობის დარგებში ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე პრაქტიკამ აჩვენა, რომ ინოვაციების დანერგვას, მოტივაციის ამაღლებას, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, მკვეთრად შეუძლია გააუმჯობესოს როგორც დარგის ეფექტიანობა, ასევე პერსონალის განვითარებაზე იქონიოს ძლიერი ზეგავლენა, გახადოს ისინი კონკურენტუნარიანი, იზრუნონ პროფესიული უნარების განვითარებაზე. თუმცა ისეთი ბარიერები, როგორიცაა ცვლილებებისადმი და სიახლეებისადმი წინააღმდეგობა, არასაკმარისი დაფინანსება და დაბალკვალიფიციური პერსონალის არსებობა, არასაკმარისი მოტივაცია რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. თუმცა ბევრი ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ ადამიანების წარმატებული საქმიანობის მთავარი სტიმული მატერიალური სტიმულირებაა. ამ ფაქტორის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, განსაკუთრებით ქართულ რეალობაში, არის შემთხვევები, როცა ადამიანი დიდი ძალისხმევით მუშაობს, მიუხედავად არასაკმარისი ანაზღაურებისა. ამიტომ, ნორმალური სამუშაო პირობები და შესაბამისი მოტივაცია, ნებისმიერი კომპანიის ხარისხიანი სერვისის საწინდარია.

ადამინური რესურსების განვითარებისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად რეკომენდირებულია: სასწავლო პროგრამების განხორციელება პერსონალის კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიური პროცესებისა და ინოვაციური მეთოდების დანერგვის კუთხით, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება მუშაობის ოპტიმიზაციისთვის, როგორიცაა დროისა და რესურსების მართვის სისტემები, დაფუძნებული ხელოვნურ ინტელექტზე, ასევე, კომუნიკაციის გაუმჯობესება პერსონალსა და ადმინისტრაციას შორის, რათა მოხდეს ცვლილებების და ინოვაციების დანერგვის უფრო ეფექტურად გაგება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და ანალიზი. ასევე, საინტერესოა შესწავლილ იქნას კორპორატიული კულტურისა და ორგანიზაციების შიდა პოლიტიკის გავლენა ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ცვლილებების რეალიზაციის კუთხით.

ამრიგად, მიზნობრივი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც გულისხმობს ეროვნული მეურნეობის დარგების სპეციფიკას და პერსონალის საჭიროებებს, ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Армстронг М Практика управления человечекими ресурсами.10-е издание. Перевод с английслого. М., 2012.

2. Варрет Р. Дж. Стратегическое управление человеческими ресурсами М. Вершина. 2013. 428. С

3. Мухамеджанов Г. К. Инновационные подходы к управлению человеческими ресурсами в секторе здравоохранения. М. 2010

4. Мартинес Л. Ф. Искусственный интеллект в рекрутинге: перспективы и реализация. Нью-Йорк: Спрингер. 2021. 189. с

5. А. А. Малъцев, А. О. Фечина. Медицинская услуга в системе управления качеством человеческих ресурсов.М. 2019

6. Каракулин А.Ю.Зарубежный опыт исползования и развития человеческих ресурсов // Вестник. Алтайской академии экономики и права. – 2019. – № 12-3. – С. 176-182;

7. Rothaermel F.T. (2012). *Strategic Management Concepts and Cases*. N.Y.: McGraw-Hill/Irwin.

8. Cainst., Malloch M., Fvansk.,O Connor B. N. (eds), The SAGE handbook of vorkplace learning.SAGE publications, 2010.

ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში

Digital Transformation and the Impact of Artificial Intelligence on the Development of Small and Medium-sized Enterprises in Georgia

გიორგი კირვალიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. მაგისტრანტი

Giorgi Kirvalidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Tbilisi
Faculty of Economics and Business. Master's Student

აბსტრაქტი. ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევად და შესაძლებლობად მოიაზრება. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს გააანალიზოს, როგორ მოქმედებს ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტი საქართველოში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებზე. ნაშრომში განიხილულია ციფრული ტექნოლოგიების როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, კონკურენტუნარიანობის ზრდისა და გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის ჭრილში. ასევე, გამოკვეთილია ისეთი ძირითადი დაბრკოლებები, როგორებიცაა ფინანსური რესურსების დეფიციტი, ციფრული კომპეტენციების ნაკლებობა, ინფრასტრუქტურული შეზღუდვები და მომხმარებლების დაბალი ნდობა ელექტრონული სერვისების მიმართ. სტატიაში გააანალიზებულია ციფრული ტრანსფორმაციისა და ხელოვნური ინტელექტის დანერგვის პრაქტიკა მცირე და საშუალო საწარმოებში საქართველოს პირობებში. გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული ანალიზი და შედარებითი მეთოდი. დასასრულს, წარმოდგენილია რეკომენდაციები იმაზე, როგორ შეიძლება აღნიშნული პროცესების დაჩქარება ბიზნესისა და პოლიტიკის დონეზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტი, მცირე და საშუალო ბიზნესი, საქართველო, გამოწვევები, შესაძლებლობები.

Abstract. Digital transformation is considered one of the most pressing challenges and opportunities for small and medium-sized enterprises. This article aims to analyze the impact of digital transformation and artificial intelligence on small and medium-sized enterprises operating in Georgia. The paper examines the role of digital technologies in the country's economic development, increased competitiveness, and integration into global markets. It also highlights key obstacles such as a lack of financial resources, a deficit of digital competencies, infrastructural limitations, and low consumer trust in electronic services. The article analyzes the practice of implementing digital transformation and artificial intelligence in small and medium-sized enterprises in the Georgian context. Bibliographical analysis and a comparative method are used. In conclusion, recommendations are presented on how these processes can be accelerated at the business and policy levels for the development of small and medium-sized businesses.

Keywords: Digital Transformation, Artificial Intelligence, Small and Medium-sized Enterprises, Georgia, Challenges, Opportunities.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა მასშტაბურ ცვლილებებს განიცდის, რასაც ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი განაპირობებს. აღნიშნული პროცესები გარდაქმნის ბიზნესის ტრადიციულ მოდელებს და ქმნის ახალ ღირებულებებსა და კონკურენტულ უპირატესობებს გლობალურ ბაზარზე. ციფრული ტრანსფორმაცია გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების სისტემურ ინტეგრაციას ორგანიზაციულ პროცესებში, რაც ცვლის როგორც შიდა საქმიანობას, ისე მომხმარებელთან ურთიერთობებს. ის მოიცავს არა მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების განახლებას, არამედ კომპანიის მთლიან გაციფრულებას, მომხმარებელთა მოთხოვნებზე უკეთ პასუხს და ინოვაციების ხელშეწყობას. ამ გარდაქმნის ცენტრში ხელოვნური ინტელექტი დგას, როგორც ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. ის მოიცავს ტექნოლოგიებს, რომლებიც იმეორებენ ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მათ შორის სწავლის, ანალიზის, გადაწყვეტილების მიღებისა და ამოცანების დამოუკიდებლად შესრულების უნარს მინიმალური ადამიანური ჩარევით. აღნიშნული ტექნოლოგია განიხილება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მნიშვნელოვან ნიშნულად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ავტომატიზაციასა და პროგნოზულ ანალიტიკას, რის გამოც მისი დანერგვა ბიზნესისთვის აღარ არის არჩევანი, არამედ ორგანიზაციის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის აუცილებელი წინაპირობაა. ამ ფონზე, საქართველოსთვის, სადაც

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას უდიდესი ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მოტანა შეუძლია, ციფრული ტრანსფორმაციის მიზანმიმართულ განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (Machavariani, 2023). მცირე და საშუალო ბიზნესები მსოფლიო ეკონომიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენენ. მათზე მოდის ბიზნესების უმეტესი ნაწილი და დასაქმების მნიშვნელოვანი წილი. მაგალითად, რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობამ საქართველოში 1,001.3 ათას ერთეულს მიაღწია, თუმცა მათგან მხოლოდ 281.0 ათასი ფუნქციონირებს აქტიურად, რაც რეგისტრირებულთა დაახლოებით 28.1%-ს შეადგენს. მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება ორგანიზაციათა დონეზეც: მოქმედ ორგანიზაციათა წილი რეგისტრირებულთა შორის დაახლოებით 27.6%-ია. აღნიშნული მაჩვენებლები ხაზს უსვამს იმ სისტემურ დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებს ბიზნესის ზრდას და ცხადყოფს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია მხოლოდ ტექნოლოგიური გამოწვევა არ არის, არამედ აუცილებელი პირობაა ბიზნესის ეფექტიანობისა და სიცოცხლისუნარიანობისთვის. აღსანიშნავია, რომ მოქმედი ბიზნეს სუბიექტების თითქმის მეოთხედი, დაახლოებით 26.5% დარეგისტრირდა, რაც ბიზნესგარემოში ნაწილობრივად პოზიტიური ცვლილებების დასტურია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახური, 2025). ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის აღარ წარმოადგენს მხოლოდ ტექნოლოგიურ არჩევანს, არამედ აუცილებლობას – განსაკუთრებით პოსტპანდემიური რეალობის, სწრაფად ცვალებადი ბაზრებისა და მომხმარებელთა ციფრული მოლოდინების ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი პროცესები უკვე სტრატეგიულ დონეზე არის დანერგილი, საქართველო კვლავ გამოწვევების წინაშეა, რაც დაკავშირებულია როგორც ტექნიკურ, ისე ადამიანისეულ ფაქტორებთან. შესაბამისად, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია შეიმუშაოს გრძელვადიანი ხედვა მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს როგორც ინოვაციების დანერგვას, ისე ეკონომიკურ ინკლუზიურობასა და მდგრად ზრდას. სწორედ ამ ფონზე წარმოადგენს მოცემული კვლევა მნიშვნელოვან წვლილს არსებული მდგომარეობის ანალიზისა და სამომავლო სტრატეგიის ჩამოყალიბების გზაზე.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია ციფრული ტრანსფორმაციისა და ხელოვნური ინტელექტის გავლენის დადგენა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე განვითარების სამომავლო მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ბიბლიოგრაფიული ანალიზი და გამოყენებული იყო სხვადასხვა კვლევის მეთოდი, მათ შორის: ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, შედარებისა, ანალოგიისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების ნაშრომები.

კვლევის ემპირიული ბაზაა საკვლევი სფეროს მარეგულირებელი კანონები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული კვლევები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშებში მოცემული მაჩვენებლები, ინტერნეტ-რესურსები და სხვა.

კვლევის კითხვები

კვლევის წარმართვისა და ყოვლისმომცველი ანალიზის ხელშეწყობის მიზნით, ჩამოყალიბდა შემდეგი კვლევის კითხვები:

RQ1: რომელი ფაქტორები განსაზღვრავს ციფრულ ტრანსფორმაციასა და ხელოვნურ ინტელექტს მცირე და საშუალო ბიზნესებში ?

RQ2: როგორია ამ ტექნოლოგიების დანერგვის დონე საქართველოში და როგორ შეედრება ის სხვა ქვეყნების გამოცდილებას?

RQ3: რა გავლენას ახდენს ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტი ბიზნესის ზრდაზე და კონკურენტუნარიანობაზე?

RQ4: რა ძირითადი ბარიერები უშლის ხელს ამ პროცესების ფართოდ დანერგვას?

RQ5: რამდენად ეფექტიანია არსებული სამთავრობო პოლიტიკა და მხარდაჭერის პროგრამები?

RQ6: რა რეკომენდაციებია საჭირო ციფრული ტრანსფორმაციის დასაჩქარებლად საქართველოში ?

ლიტერატურის მიმოხილვა, დისკუსია და ანალიზი

1. ციფრული ტრანსფორმაციის გაშიფვრა მხოლოდ ტექნოლოგიების დანერგვის ჭრილში მცდარია. სინამდვილეში, ეს არის ბიზნესის საქმიანობის, კულტურისა და მომხმარებელთან

ურთიერთობის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციით მიიღწევა და ბევრად მეტია, ვიდრე უბრალო ტექნოლოგიური განახლება (Morakanyane, Grace, & O'Reilly, 2017). ტექნოლოგიების დანერგვა თეორიულად განიხილება ანალიზის სხვადასხვა დონეზე: ინდივიდუალურ, ორგანიზაციულ და ინტერორგანიზაციულ დონეებზე. ინდივიდუალურ დონეზე, ტექნოლოგიების მიღების მოდელი, დაგეგმილი ქცევის თეორია და სხვა მსგავსი ჩარჩოები ხსნიან, თუ როგორ იღებს ადამიანი ახალ ტექნოლოგიას. ამ თეორიების თანახმად, გადაწყვეტილებაზე მთავარ გავლენას ახდენს მოსალოდნელი სარგებელი, გამოყენების სიმარტივე და სოციალური გარემო. ინოვაციის დიფუზიის თეორია ამ ანალიზს აფართოებს და ინდივიდუალურ ფაქტორებთან ერთად ორგანიზაციულ ასპექტებსაც ითვალისწინებს, როგორებიცაა კომპანიის სტრუქტურა, შიდა კომუნიკაცია და არსებული რესურსები. თუმცა, სრული სურათისთვის აუცილებელია გარე ფაქტორების გათვალისწინებაც. სწორედ აქ შემოდის ინსტიტუციური თეორია, რომელიც ხაზს უსვამს გარე გარემოს, კერძოდ, პოლიტიკური და სოციალური წრეების ზეწოლის როლს. ნორმატიული წნეხი მომხმარებლების, კონკურენტების, სავაჭრო პარტნიორებისა და მთავრობის მხრიდან ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენს კომპანიის გადაწყვეტილებაზე, დანერგოს თუ არა ახალი ციფრული ტექნოლოგია (Omrani, Rejeb, Maalaoui, Dabić, & Kraus, 2024). ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ციფრული ტრანსფორმაცია დღეს უკვე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების აუცილებელ პირობად იქცა. ამ პირობებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს და მას კონკრეტული ტენდენციები ახლავს თან (Le Dinh, Vu და Tran, 2025). მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, ხელოვნური ინტელექტი რამდენიმე ათწლეულში სრულად გამოიყენებს ადამიანის ყველა შესაძლებლობას. ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი ფართოდ გამოიყენება ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ფინანსების, ენერგეტიკის, კომუნიკაციების, ეკონომიკური და კიბერუსაფრთხოების და მრავალ სხვა სექტორში. სხვა ავტორები ამ პროცესთან დაკავშირებულ სარგებელთან ერთად ასახელებენ რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევასაც. ერთ-ერთ მთავარ ბარიერად გამოიკვეთება მაღალი საწყისი ინვესტიცია, განსაკუთრებით აგროსასურსათო ინდუსტრიაში (Kharaishvili, & Lobzhanidze, 2024). ასევე ხაზგასმულია გლობალური რისკები, რაც უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის დანერგვას კრიმინალურ მიზნებთან, სამუშაო ადგილების შემცირებასთან და ადამიანური რესურსების ჩანაცვლებასთან, რაც გამოიწვევს სამუშაო ადგილების გაქრობას და ახლის გაჩენას, რაც მნიშვნელოვან გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას მოითხოვს (Giguashvili, 2024; Gagnidze, 2023).

2023 წლის დასაწყისში საქართველოს კერძო სექტორში ციფრული ტექნოლოგიების ათვისების კუთხით უმნიშვნელო გაუმჯობესება დაფიქსირდა. ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება მსხვილ ფირმებს შორის ღრუბლოვანი სერვისების გამოყენების ზრდა იყო. თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული მაჩვენებლები მხოლოდ მცირედით გაუმჯობესდა, რის გამოც კვლავ შენარჩუნდა მნიშვნელოვანი სხვაობა მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიებს შორის (BTU, 2023). 2024 წლის საქსტატის მონაცემებით, საწარმოთა 95.2%-ს ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა. ამასთან, მათი 73.3% კავშირის უზრუნველსაყოფად იყენებდა ფიქსირებული კავშირის ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა ოპტიკურ-ბოჭკოვანი და საკაბელო ტექნოლოგიები, DSL კავშირი (ADSL, SDSL, VDSL) და სხვა (საქსტატი, 2024). აღნიშნული მაჩვენებლები ქმნის ტექნიკურ საფუძველს ციფრული ტრანსფორმაციისთვის, თუმცა სიჩქარის, საიმედოობისა და ხელმისაწვდომობის განსხვავებები კვლავ წარმოადგენს დაბრკოლებას ფართომასშტაბიანი დანერგვისთვის (ხარაიშვილი, 2023).

ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით საწარმოთა განაწილება წარმოდგენილია 2024 წლის მონაცემებით ასახავს არსებულ ინფრასტრუქტურულ რეალობას და მისი გავლენის მასშტაბს მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრულ შესაძლებლობებზე (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1 საწარმოთა პროცენტული განაწილება ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით საქართველოში, 2024 წ.

წყარო: www.geostat.ge

ზემოთაღნიშნული მაჩვენებლები მიუთითებს იმაზე, რომ ციფრული ტექნოლოგიების სრულფასოვანი დანერგვისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ტექნოლოგიური ცოდნის ამაღლება, არამედ ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია რეგიონული და სიჩქარის ხარისხის ჭრილში. კომპანიები, რომლებიც სარგებლობენ დაბალი სიჩქარის ინტერნეტით, ნაკლებად არიან მიდრეკილი დანერგონ ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა რეალურ დროში მონაცემთა ანალიზი, ჩატბოტსერვისები და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერის მექანიზმები. შესაბამისად, ინტერნეტის სიჩქარე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მხოლოდ კომფორტის საკითხი კი არ არის, არამედ კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ უნარზე, იყვნენ ინოვაციურები და უპასუხონ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. გარდა ამისა, პანდემიამ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესს მძლავრი სტიმული მისცა, რაც ხელს შეუწყობს სექტორის შემდგომ განვითარებასა და ეკონომიკური შოკებისადმი მის ეფექტიან ადაპტირებას (Cong, Yang, & Zhang, 2021). 2023 წლის მონაცემებით, ქართულ საწარმოებში მხოლოდ 3% იყო ჩართული საკუთარი პროდუქციის ონლაინ გაყიდვაში (Julakidze et al., 2023). ელექტრონული კომერციის დაბალი წილი ცხადყოფს, რომ ქართული ბაზარი და ბიზნესკულტურა ჯერ კიდევ არ არის სრულად მზად დისტანციური ვაჭრობისთვის. ელექტრონული კომერციის დაბალი წილი ცხადყოფს, რომ ქართული ბაზარი და ბიზნესკულტურა ჯერ არ არის სრულად მზად დისტანციური ვაჭრობისთვის. აღსანიშნავია, რომ საქსტატის 2024 წლის მონაცემებით, საქართველოში არსებული საწარმოების მხოლოდ 13.9% იყენებდა ვებგვერდს ან ვებსაიტს (საქსტატი, 2024).

საწარმოთა უმრავლესობა ციფრული ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზეა, რაც მიუთითებს ციფრული პლატფორმების გაფართოებისა და ინტეგრაციის აუცილებლობაზე, განსაკუთრებით მომხმარებელზე მორგებული ფუნქციებისა და ინტელექტუალური სერვისების კუთხით (იხ. დიაგრამა 2).



ზემოთ ხსენებული მაჩვენებლები აღნიშნავს, რომ მხოლოდ 22.3% იძლევა ვიზიტორებისათვის ონლაინ-საქონლის ან მომსახურების მორგების ან დიზაინის ცვლილების

დიაგრამა 2 ვებ-საიტებისა და ვებგვერდების ციფრული ფუნქციების გავრცელება საქართველოს საწარმოებში, 2024 წ.

წყარო: www.geostat.ge

შესაძლებლობას, ხოლო მუდმივ ვიზიტორებზე მორგებული სარჩევი მხოლოდ 24.9%-ში ფიქსირდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ იყენებს მომხმარებელზე ორიენტირებული ციფრული გამოცდილების პერსონალიზაციის სრულ პოტენციალს. დამატებით, მომხმარებელთან უკუკავშირის თანამედროვე საშუალებები, როგორიცაა ჩატბოტები ან ცოცხალი მხარდაჭერა, მხოლოდ 29.8%-ს აქვს ინტეგრირებული. მსგავსი სერვისების დაბალი გავრცელება მიუთითებს, რომ ბევრი კომპანია ჯერ კიდევ ვერ ამკვიდრებს ეფექტურ ციფრულ კომუნიკაციას მომხმარებელთან. მსგავსად, ვაკანსიებზე ონლაინ განაცხადების შესაძლებლობა ხელმისაწვდომია მხოლოდ 29.5%-ში, რაც სიგნალია შიდა ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციის არასაკმარის დონეზე. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდების 68.4% მინიმუმ ორ ენაზეა ხელმისაწვდომი, რაც მიანიშნებს გარკვეულ მზაობაზე საერთაშორისო და მრავალენოვან მომხმარებელთან კომუნიკაციისთვის. თუმცა, ეს მაღალი მაჩვენებელი ვერ ფარავს ციფრული ფუნქციონალის ზოგად ჩამორჩენას, განსაკუთრებით მომხმარებელზე მორგებული სერვისების კუთხით.

2. საქართველოში ბიზნესის მიერ ტექნოლოგიების გამოყენების დონე დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს. 2023 წლის მონაცემებით, IT სექტორში 24,117 კომპანია ოპერირებს. აქედან, საშუალო და მსხვილი ზომის კომპანიების რაოდენობა 72-ია (Galt & Taggart, 2024). 2023 წლის დეკემბერში ბრიტანეთში დაფუძნებულმა საკონსულტაციო კომპანიამ Oxford Insights-მა გამოაქვეყნა „მთავრობის ხელოვნური ინტელექტის

მზაობის ინდექსი“ (Government AI Readiness Index). რომელიც აფასებს, რამდენად მზად არის სახელმწიფო სტრუქტურები ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენებისთვის საჯარო სერვისში. კვლევა ტარდება 2019 წლიდან და 2023 წელს ის მოიცავდა 193 ქვეყანას. საქართველომ ამ რეიტინგში 99-ე პოზიცია დაიკავა, რაც ნიშნავს, რომ ის ჩამორჩება როგორც მეზობელ, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უმრავლესობას (Oxford Insights, 2023). ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობის გაცნობიერებით, საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რამდენიმე ინიციატივა ციფრული ტრანსფორმაციის განსახორციელებლად ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, ციფრული უნარებისა და ბიზნესის ზრდის წახალისებით და ეკონომიკის მასშტაბით მონაცემთა რეგულაციების შეცვლით და მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია სხვადასხვა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ინვესტიციით, რათა შექმნას ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ციფრული ეკონომიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციებსა და გლობალურ კონკურენტუნარიანობას. (World Bank Group & IFC, 2023; ITU, 2023). საზოგადოდ, უნივერსიტეტებს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ტრენინგებისა და ინტერდისციპლინური სწავლების შეთავაზებაში (გაგნიძე, 2024). თუმცა, ციფრული ადაპტაციის პროგრამის განხორციელებას რამდენიმე გამოწვევა შეხვდა. ძირითადი დაბრკოლებები მოიცავს არსებული ინტერნეტ ინფრასტრუქტურის შეზღუდვებს, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ფართოზოლოვანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაფართოების მცდელობების მიუხედავად, ციფრული უთანაბრობა კვლავ ნარჩუნდება (Kharaishvili, Natsvlishvil, Lazariashvili, 2025). პროგრამა ასევე შეექმნა გამოწვევებს ციფრული წიგნიერების დონის სხვაობასთან დაკავშირებით სხვადასხვა თემში, რადგან მოკლებული სოფლის რაიონებში მცხოვრებ ბევრ ადამიანს უჭირს ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტაცია. გარდა ამისა, სოციალურ-ეკონომიკურმა ბარიერებმა, როგორიცაა დაბალი შემოსავლის დონე და ციფრულ მოწყობილობებზე შეზღუდული წვდომა, გაართულა ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის ხელშეწყობის მცდელობები (Dakhundaridze, 2024). 2023 წელს Pullman Tbilisi Axis Towers-ში გერმანიის მთავრობის დაფინანსებით GIZ-მა ოფიციალურად გახსნა პროექტი „მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებში საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდას ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით. ეს მოიცავს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის კოორდინაციის გაძლიერებას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, ასევე ეფექტური პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვას. პროექტი თანამშრომლობს პოლიტიკურ პარტნიორებთან, ბიზნესასოციაციებთან, საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრებთან, ასევე, ციფრული გადაწყვეტილებების შემქმნელებთან (ლუხუტაშვილი, 2023). პროექტი „Login Georgia“ საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით შეიმუშავა, ფართოზოლოვანი ინტერნეტ ქსელების განვითარების 2020-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში. პროექტის მიზანია საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, საწარმოებისა და ინსტიტუტების დაკავშირება მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომ ფართოზოლოვან ინტერნეტთან, რათა ხელი შეუწყოს ციფრული სერვისების გამოყენებას. ეს ინიციატივა 500 000 მოქალაქეს, თითქმის 1000 დასახლებაში, მათ შორის მთიან რაიონებში, საშუალებას მისცემს ისარგებლონ ხარისხიანი ინტერნეტით და ისეთი სერვისებით, როგორიცაა ელექტრონული ჯანდაცვა, ელექტრონული განათლება და ელექტრონული მმართველობა (ITU, 2022). საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს უცხოურ საინვესტიციო პროექტებს კაპიტალური დანახარჯებისა და ტრენინგის ხარჯების 15%-იანი ფულადი სახსრების უზრუნველყოფის გზით. პროგრამას ახორციელებს სსიპ აწარმოე საართველოში (Invest in Georgia) და მიზნად ისახავს გაზარდოს პირდაპირი უცხოური

ინვესტიციები, გააძლიეროს ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი და საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება (Galt & Taggart, 2024).

დასკვნები და რეკომენდაციები

- ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (MSMEs) წარმოადგენს განვითარების გარდაუვალ ეტაპს, რომელიც მათ კონკურენტუნარიანობასა და ბაზარზე გადარჩენის უნარს განსაზღვრავს. საქართველოში ეს პროცესი საწყის ეტაპზეა და საჭიროებს მიზანმიმართულ მხარდაჭერას. აუცილებელია ციფრული ტექნოლოგიების (ERP სისტემები, AI-ანალიტიკა, ციფრული ლოჯისტიკა, ავტომატიზაცია და ინტერნეტზე დაფუძნებული მომსახურება) ეტაპობრივად დანერგვა კერძო სექტორის და სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომლობით.
- კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესების ციფრულ ტრანსფორმაციას აფერხებს ინფორმაციის ნაკლებობა, ციფრული უნარების დეფიციტი და საინვესტიციო რესურსების სიმწირე. მიზანშეწონილია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, სემინარებისა და ციფრული კონსულტაციის პლატფორმების შექმნა და ხელმისაწვდომობა ყველა რეგიონში.
- საწარმოების ინტეგრაცია ციფრულ ეკოსისტემაში მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას, არამედ ბიზნეს-მოდელების გარდაქმნასაც. აუცილებელია ტრადიციული პრაქტიკიდან ციფრული ბიზნესმოდელების ეტაპობრივად გადანაცვლება, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიანობას, ხარჯების შემცირებასა და ზრდის ტემპის გაზრდას.
- ციფრული ტრანსფორმაცია ვერ განხორციელდება სახელმწიფო მხარდამჭერი პოლიტიკისა და გრძელვადიანი სტრატეგიის გარეშე. მიზანშეწონილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით შემუშავდეს ორგანიზაციების ციფრული ტრანსფორმაციის ეროვნული სტრატეგია, სადაც მკაფიოდ განისაზღვრება ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტები და დაფინანსების მექანიზმები.
- საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს სამეცნიერო წრეების, უნივერსიტეტების, ბიზნესის და საჯარო სექტორის პარტნიორობა. მიზანშეწონილია ერთობლივი კვლევების დაფინანსება, ინოვაციური პლატფორმების შექმნა და სტარტაპ ეკოსისტემის ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ციფრული ეკონომიკის სწრაფ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგნიძე, ი. (2024). მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში. მოძიებულია: https://tsu.ge/assets/media/files/7/Globalizacia%20ekonomikisa%20da%20biznesshi%20-%208.pdf

2. ლუხუტაშვილი, თ. (2023, დეკემბერი 4). „მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ და მისი პოზიტიური გავლენა ქართულ ბიზნეს-ეკოსისტემაზე. https://entm.ag/ZqGyvb

3. სამჭკუაშვილი, ნ. (2020). *ციფრული ეკონომიკა: პრობლემები და პერსპექტივები.* მოძიებულია: https://shorturl.at/ruPQ7

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2024). *საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში 2024 წელი.*

მოძიებულია: https://www.geostat.ge/ka/single-news/3457/sainformatsio-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi-2024-tseli

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). *რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა წლების მიხედვით (ათასი) – 2014–2024.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri

6. ხარაიშვილი, ე. (2023). ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თსუ ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, XV, N 3, 2023, ISSN 1987-5789, ESSN 2587-5426, doi 10.56079

7. BTU – Business and Technology University. (2023). *Readiness for Artificial Intelligence: Global leaders and Georgia.* Retrieved from https://btuai.ge/en/readiness-for-artificial-intelligence-global-leaders-and-georgia/

8. Cong, L. W., Yang, X., & Zhang, X. (2021). *Small and Medium Enterprises Amidst the Pandemic and Reopening: Digital Edge and Transformation.* Center for Global Development. http://www.jstor.org/stable/resrep39996

9. Dakhundaridze, M. (2024, April). Bridging the digital divide in Georgia: Empowering rural communities through the Digital Adoption Program (DAP). *Media & Learning.* https://media-and-learning.eu/uncategorised/bridging-the-digital-divide-in-georgia-empowering-rural-communities-through-the-digital-adoption-program-dap/

10. Gagnidze, I. (2023). Industry 4.0 and industry 5.0: can clusters deal with the challenges? (A systemic approach). *Kybernetes, 52*(7), 2270–2287. https://doi.org/10.1108/K-07-2022-1005

11. Galt & Taggart. (2024, May). *IT sector in Georgia* [Research report]. Galt & Taggart. https://galtandtaggart.com/files/galt/Compressed_it-sector-in-georgia_may-2024_geo_0.pdf

12. Giguashvili, G. (2024). Opportunities of Using Artificial Intelligence in Small and Medium-Sized Businesses. *International Scientific Journal "Grail of Science", (40)*, 64–67. https://doi.org/10.36074/grail-of-science.07.06.2024.006

13. Giguashvili, G., Makasarashvili, T., & Khorguashvili, T. (2019). Artificial Intelligence Systems Development Opportunities in Georgia. *International Journal of Innovative Science and Research Technology, 4*(12), 830–832.

14. International Telecommunication Union (ITU). (2022). *Digital innovation profile Georgia: ICT-centric innovation ecosystem snapshot and recommendations for accelerating digital transformation.* In collaboration with Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. https://www.itu.int/en/ITU-D/Regional-Presence/Europe/Documents/Publications/2022/Digital%20Innovation%20Profile%20Georgia.pdf

15. International Telecommunication Union (ITU). (2023). *Digital innovation profile: Georgia – Digital innovation ecosystem: Strategies and recommendations for accelerating digital transformation.* https://www.itu.int/dms_pub/itu-d/opb/inno/D-INNO-PROFILE.GEORGIA-2023-PDF-E.pdf

16. Julakidze, M., Burduli, A., & Papava, G. (2023). *SME digitalization: 2023 snapshot* (Policy Paper No. 2023/08). ISET Policy Institute. https://iset-pi.ge/storage/media/other/2023-11-09/a54dd5c0-7f04-11ee-9d1d-61db660908a2.pdf

17. Kharaishvili, E., Natsvlishvil, I., Lazariashvili, T. (2025). Digitalization of Georgia's Agro-Food Industry: Challenges and Opportunities for Sustainable Development. In: Geibel, R.C., Machavariani, S. (eds) Digital Management and Artificial Intelligence. ISPC 2024. Springer Proceedings in Business and Economics. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-031-88052-0_18

18. Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. (2024). Digital Transformation in Small and Medium-sized Enterprises: New Approaches and Challenges (focus: agricultural sector of Georgia). *Medicon Agriculture & Environmental Sciences*, 6(1). Article Type: Research Article ISSN: 2972-2691

19. Le Dinh, T., Vu, M.-C., & Tran, G. T. C. (2025). Artificial Intelligence in SMEs: Enhancing Business Functions Through Technologies and Applications. *Information, 16*(5), 415. https://doi.org/10.3390/info16050415

20. Machavariani, S. (2023). Digitization to increase efficiency of SMEs in Georgia (pp. 55–64). In T. B. Mikhelidze & M. S. Turashvili (Eds.), *Economic transformation and digitalization in the South Caucasus and Central Asia*. Springer. https://doi.org/10.1007/978-3-031-45601-5_6

21. OECD. (2021). *The Digital Transformation of SMEs*. OECD Publishing. https://www.oecd.org/industry/smes/digital-transformation-of-smes.htm

22. Omrani, N., Rejeb, N., Maalaoui, A., Dabić, M., & Kraus, S. (2024). Drivers of digital transformation in SMEs. *IEEE Transactions on Engineering Management, 71*, 5030–5043. https://doi.org/10.1109/TEM.2022.3215727

23. Oxford Insights. (2023). *Government AI Readiness Index 2023*. Malvern: Oxford Insights. https://staging2.oxfordinsights.com/wp-content/uploads/2023/12/2023-Government-AI-Readiness-Index-2.pdf

24. Tateshvili, R. (2025). Digital transformation is one of the most critical challenges and opportunities for modern businesses. *Economic Profile, 20*(1 [29]), 42–51. https://doi.org/10.52244/ep.2025.29.04

25. World Bank Group, & International Finance Corporation (IFC). (2023, December). *Creating markets in Georgia: Unlocking private sector opportunities to achieve Georgia's full potential.* https://www.ifc.org/content/dam/ifc/doc/2023/georgia-country-private-sector-diagnostic-en.pdf

26. Yusuf, S., Durodola, R., Ocran, G., Abubakar, J. E., Amarachi, Z., Echere, A., & Paul-Adeleye, A. (2024). Challenges and opportunities in AI and digital transformation for SMEs: A cross-continental perspective. *World Journal of Advanced Research and Reviews, 23*(3), 668–678. https://doi.org/10.30574/wjarr.2024.23.3.2511

მცირე მეწარმეობის როლი მდგრად განვითარებაში
The Role of Small Entrepreneurship in Sustainable Development

გურამი ფუტკარაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
Gurami Futkaradze
Akaki Tsereteli State University
Doctoral Student at the Faculty of Business, Law, and Social Sciences

აბსტრაქტი. სტატია შეეხება მცირე მეწარმეობის მნიშვნელობის ახალ გააზრებას იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკური განვითარება თანდათან უფრო მჭიდროდ უკავშირდება მდგრადობის პრინციპებს. თუ წარსულში მცირე ბიზნესი მხოლოდ ეკონომიკური საჭიროებების ლოკალური პასუხის სახით განიხილებოდა, დღეს იგი წარმოჩინდება როგორც მრავალფუნქციური ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ ჩართულობასა და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას. მცირე მეწარმეობა, თავისი მოქნილობითა და ადგილობრივი საჭიროებებისადმი მგრძნობელობით, მნიშვნელოვანი ძალაა ისეთი მდგრადი განვითარების კომპონენტების განხორციელებისთვის, როგორიცაა რეგიონების ეკონომიკური გააქტიურება, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმება, ტექნოლოგიებზე წვდომის გაფართოება და ეკოლოგიური ინიციატივების მხარდაჭერა. იგი ასრულებს მედიატორის როლს ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სტაბილურობას შორის, განსაკუთრებით ისეთ ეკონომიკაში, როგორიც საქართველოა სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს სტრუქტურული გარდაქმნები და გრძელვადიანი განვითარების მოდელის ჩამოყალიბება. წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს მცირე მეწარმეობის როლის შეფასება მდგრადი განვითარების პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით. კვლევა ეფუძნება როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ისე საქართველოს ეკონომიკური რეალიებიდან გამომდინარე კონკრეტულ პრაქტიკას და ასახავს იმ ინსტიტუციურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ მექანიზმებს, რომლებიც განაპირობებენ მცირე მეწარმეობის ინტეგრაციას მდგრადი განვითარების სტრატეგიებში. სტატიაში გამოკვეთილია სტრუქტურირებული ხედვა იმ მიმართულებებისა და პოლიტიკის მექანიზმების შესახებ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მცირე ბიზნესის ტრანსფორმაცია ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური წინსვლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საყრდენად.

საკვანძო სიტყვები:მცირე მეწარმეობა, მდგრადი განვითარება, სოციალური ჩართულობა, რეგიონული ეკონომიკა.

Abstract. The article addresses a new understanding of the significance of small entrepreneurship in the context where economic development is increasingly linked to the principles of sustainability. In the past, small business was perceived merely as a local response to economic needs; today, however, it emerges as a multifunctional instrument that integrates economic growth, social inclusion, and environmental responsibility. Due to its flexibility and sensitivity to local needs, small entrepreneurship plays a crucial role in implementing key components of sustainable development, such as revitalizing regional economies, employing vulnerable groups, expanding access to technology, and supporting environmental initiatives. It serves as a mediator between economic growth and social stability, particularly in economies like Georgia, where structural transformations are still underway and a long-term development model is being formed. The aim of this article is to assess the role of small entrepreneurship in the process of sustainable development from the perspective of inclusive engagement. The research draws on both international experience and practical cases derived from Georgia's economic realities, reflecting the institutional, economic, and technological mechanisms that drive the integration of small entrepreneurship into sustainable development strategies. The article highlights a structured vision of the directions and policy mechanisms through which small business can be transformed into one of the fundamental pillars of the country's long-term economic, social, and environmental progress.

Keywords: small entrepreneurship, sustainable development, social inclusion, regional economy.

შესავალი.

მდგრადი განვითარება თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური სისტემების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური და პრაქტიკული ორიენტირია. იგი მოიცავს

ეკონომიკური ზრდის, სოციალური თანასწორობისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ურთიერთშერწყმას, რაც ერთად ქმნის განვითარებული საზოგადოების საფუძველს. მდგრადი განვითარების მიღწევის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია მცირე მეწარმეობას, რომელიც თავის არსში აერთიანებს რამდენიმე კრიტიკულ კომპონენტს ინოვაციურ მიდგომებს, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ ჩართულობას და რესურსების მოქნილად მართვის უნარს. მცირე მეწარმეები, როგორც წესი, სწრაფად რეაგირებენ გარემოში არსებულ ცვლილებებზე, ადვილად ერგებიან ადგილობრივ საჭიროებებს და აქტიურად იყენებენ ლოკალურ რესურსებს. სწორედ ამ თვისებების გამო, მცირე მეწარმეობა განიხილება არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ფაქტორად, არამედ მდგრადი განვითარების ერთ-ერთ საკვანძო ქვაკუთხედად. მცირე მეწარმეობა თავისი ბუნებითაა დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრინციპებთან: იგი ქმნის ადგილობრივად მორგებულ სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს რეგიონულ ეკონომიკურ გააქტიურებას, ამაღლებს სოციალური ჩართულობის დონეს და ხშირად ეფუძნება ეკოლოგიურად უფრო პასუხისმგებელ პრაქტიკებს. აღნიშნული თავისებურებები მცირე მეწარმეობას აქცევს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტად, არამედ მდგრადი და ინკლუზიური განვითარების წამყვან ძალად, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც არსებული სტრუქტურები ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. საქართველოს პირობებში, სადაც ეკონომიკური განვითარება თანდაყოლილად უკავშირდება სტრუქტურულ გარდაქმნებს, სოციალური უთანასწორობის შემცირებასა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას, მცირე მეწარმეობა შეიძლება იქცეს იმ პლატფორმად, რომელიც გააძლიერებს ქვეყნის მდგრად განვითარების საფუძვლებს. მისი გაძლიერება ნიშნავს არა მხოლოდ თვითდასაქმების წახალისებას, არამედ ისეთი ეკონომიკური მოდელის დანერგვას, რომელიც თანაბრად ითვალისწინებს სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მიზნებს. შესაბამისად, მცირე მეწარმეობის როლის გაანალიზება მდგრადი განვითარების კონტექსტში წარმოადგენს კვლევითად აქტუალურ და პრაქტიკულად მნიშვნელოვან ამოცანას. აღნიშნული სტატიის მიზანია გაარკვიოს, როგორ და რამდენად შეუძლია მცირე მეწარმეობას ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას საქართველოში ეყრდნობოდეს რა როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ისე ქვეყნის შიდა სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას.

ძირითადი ტექსტი

მეწარმეობა ეკონომიკური საქმიანობის ის ფორმაა, რომელიც აერთიანებს ინიციატივას, რისკის აღების მზაობას და რესურსების მობილიზების უნარს ახალი ღირებულების შესაქმნელად. მისი თეორიული გააზრება ისტორიულად სხვადასხვა კუთხით მიმდინარეობდა: კლასიკურ ეკონომიკაში მეწარმე განიხილებოდა როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც კაპიტალსა და შრომას შორის შუამავლის როლს ასრულებდა, ხოლო თანამედროვე მიდგომებში მას უფრო ინოვაციური პროცესების წამომწყებად და ეკონომიკური დინამიკის მამოძრავებლად მიიჩნევენ. მეტად გამოჩენილი თეორეტიკოსი იოზეფ შუმპეტერი (Schumpeter, 1934: 74) მეწარმეს განსაზღვრავდა, როგორც ინოვაციის მატარებელს, რომელსაც ძალუძს "შეიტანოს ახალი კომბინაციები" ბაზარზე ახალი პროდუქტის წარმოება, ახალი წარმოების მეთოდების დანერგვა, ახალი ბაზრების ათვისება ან ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა. შუმპეტერის მიხედვით, მეწარმე ფუნქციონირებს ბაზრის დინამიკურ ცვლილებებში და წარმოადგენს "კრეატიული დესტრუქციის" საფუძველს, რაც აუცილებელია ეკონომიკური პროგრესისთვის. ისრაელ კირზნერის (Kirzner, 1973) თვალსაზრისით კი, მეწარმე მეტწილად გამოხატავს „სიფხიზლეს“ უნარს, შეამჩნიოს ბაზრის

უთანასწორობა და გამოიყენოს იგი მოგების მისაღებად. ეს მიდგომა ასახავს მეწარმეობის მნიშვნელობას როგორც ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების ერთ-ერთი ელემენტის. პიტერ დრაკერი (Drucker, 1985: 25) კი მეწარმეობას განიხილავდა არა მხოლოდ როგორც ეკონომიკურ ქმედებას, არამედ როგორც სისტემურ აზროვნებასა და ორგანიზაციულ უნარს, რაც მოითხოვს არსებული რესურსების ახლებურად გადააზრებას და მათგან მენეჯმენტურად ეფექტიანი შედეგის მიღებას.

მცირე მეწარმეობა, როგორც მეწარმეობის სპეციფიკური ქვეკატეგორია, გამოირჩევა კომპაქტური ორგანიზაციული სტრუქტურით, ადგილობრივ ბაზრებზე ორიენტაციით, შეზღუდული კაპიტალით და ოპერატიული მოქნილობით. მდგრადი განვითარება, როგორც ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი თანადროული მიზნების ერთიან სისტემაზე ორიენტირებული ცნება, თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქცა. ტერმინის კონცეპტუალიზაცია პირველად სრულყოფილად წარმოდგენილ იქნა 1987 წელს გაეროს მსოფლიო გარემოსა და განვითარების კომისიის მიერ, სადაც იგი განისაზღვრა როგორც "განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს ამჟამინდელ თაობათა საჭიროებებს ისე, რომ არ ზღუდავს მომავალ თაობებს თავიანთ საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობაში" (WCED, 1987:43). მდგრადი განვითარების თეორია ემყარება იმ აზრს, რომ ეკონომიკური წინსვლა ვერ ჩაითვლება რეალურად ღირებულ პროგრესად, თუ იგი უარყოფით გავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე ან აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას. შესაბამისად, მდგრადობა არ განიხილება მხოლოდ როგორც ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის საწინააღმდეგო სტრატეგია, არამედ როგორც განვითარების ისეთი ფორმა, რომელიც თანაბრად ითვალისწინებს ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, სოციალურ სამართლიანობასა და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას. თეორიულად, მდგრადი განვითარება ჩამოყალიბებულია სამმხრივი სტრუქტურის ე.წ. სამგანზომილებიანი მოდელის სახით, რომელიც აერთიანებს შემდეგ კომპონენტებს:

1. ეკონომიკური მდგრადობა: უკავშირდება გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას ისეთ პირობებში, როდესაც შენარჩუნებულია რესურსების პროდუქტიული გამოყენება, ბაზრის სტაბილურობა და ინკლუზიური განვითარება;

2. სოციალური მდგრადობა: გულისხმობს თანასწორობის, სოლიდარობისა და სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფას, სიღარიბის შემცირებასა და ღირსეული ცხოვრების პირობების ხელშეწყობას ყველა ჯგუფისთვის;

3. ეკოლოგიური მდგარდობა: ეფუძნება ბუნებრივი სისტემების შენარჩუნებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, კლიმატის ცვლილების ნეგატიური შედეგების შეზღუდვას და რესურსების ჭკვიანურ გამოყენებას.

აღნიშნული სამ განზომილება განიხილება არა როგორც ერთმანეთისგან განცალკევებული ელემენტები, არამედ როგორც ერთმანეთთან ღრმად ურთიერთდამოკიდებული და თანაარსებული სისტემები, რომელთა შორის ბალანსის დაცვა აუცილებელია გრძელვადიანი სტაბილურობისათვის. მდგრადი განვითარება წარმოადგენს არა მარტო მიზანს, არამედ მეთოდოლოგიურ ჩარჩოსაც, რომელიც ახლებურად აყალიბებს ურთიერთობებს ადამიანსა და გარემოს, ეკონომიკასა და საზოგადოებას, ბაზარსა და ბუნებრივ სისტემებს შორის. იმ პირობებში, როდესაც გლობალური ეკონომიკა ფუნქციონირებს როგორც არასტაბილური, არათანაბარი და ხშირ შემთხვევაში არაეფექტიანი სისტემების ერთობლიობა, მდგრადი განვითარების თეორია განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ადგილობრივი ინიციატივების, მცირე მასშტაბის ინოვაციების და ლოკალური ეკონომიკური აქტივობის

როლს. სწორედ აქ ჩნდება მცირე მეწარმეობის როლის თეორიული ლეგიტიმაცია: როგორც პრაქტიკული საშუალება მდგრადობის სამივე განზომილებას შორის ბალანსის შესანარჩუნებლად და გრძელვადიანი სოციალური ღირებულებების შესაქმნელად. ამ კონტექსტში, კვლევა ყურადღებას ამახვილებს მცირე მეწარმეობის პოტენციალზე, როგორც ლოკალურ დონეზე მდგრადი განვითარებისთვის ინოვაციური და მოქნილი პლატფორმის მატარებელზე, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც გლობალური ეკონომიკური სისტემები თანდათანობით კარგავენ სტაბილურობას. მცირე მეწარმეობა და მდგრადი განვითარების გადაკვეთა თანამედროვე კვლევითი დისკურსის მზარდი ფოკუსის საგანია. თუ წარსულში მცირე ბიზნესი განიხილებოდა როგორც ეკონომიკური აქტივობის ტრადიციული და მასშტაბურად შეზღუდული ფორმა, დღეს იგი აღიარებულია როგორც მრავალგანზომილებიანი არხი, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, სოციალური თანასწორობის ხელშეწყობასა და გარემოზე ზრუნვას. მცირე მეწარმეობის ურთიერთკავშირი მდგრად განვითარებასთან გამოიხატება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

- ქმნის სამუშაო ადგილებს ლოკალურ დონეზე და ავსებს იმ ეკონომიკურ ვაკუუმებს, სადაც მსხვილი კორპორაციები არ არიან წარმომადგენლობითი;
- ხელს უწყობს ადგილობრივი რესურსების აქტივაციას, რაც ამცირებს გადაჭარბებულ დამოკიდებულებას იმპორტზე;
- ასტიმულირებს ინოვაციურობას, რაც ხშირად წარმოიშობა რესურსების დეფიციტის პირობებში და ასახავს მოქნილობას ბაზრის ცვალებად გარემოსთან მიმართებით.

ბევრ ქვეყანაში მცირე მეწარმეობა წარმოადგენს მშპ-ის მნიშვნელოვან ნაწილს (EU-ს მიხედვით, SME-ები ქმნიან ევროპული ბიზნესის 99%-ზე მეტს). ეს ცხადყოფს, რომ მცირე ბიზნესი არ არის დანამატი მსხვილ ეკონომიკურ სისტემებთან, არამედ მათი სტრუქტურული ბირთვია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში SME სექტორი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ბოლო წლების დინამიკა მიუთითებს ზრდის სტაბილურ ტენდენციაზე: 2023 წლისთვის მცირე მეწარმეობა შეადგენდა მშპ-ის 21.7%-ს და დასაქმების მაჩვენებლის 35.4%-ს, რაც ხაზს უსვამს მის მზარდ როლს ეკონომიკურ სტრუქტურაში (Geostat, 2024).

გრაფიკი N1. მცირე ბიზნესის წილის დინამიკა მშპ-სა და დასაქმებაში საქართველოში, 2020–2023 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat, 2024)

მცირე მეწარმეობის სოციალური მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოწყვლადი და რეგიონულად მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობის თვალსაზრისით. იგი იძლევა

შესაძლებლობას: გააქტიურდნენ ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური და გეოგრაფიული უმცირესობები; განვითარდეს თვითდასაქმების კულტურა, რაც ხელს უწყობს სოციალური მობილობის ზრდას და სიღარიბის შემცირებას; გაძლიერდეს ეკონომიკური ინკლუზია, შეიქმნას ადგილობრივი ქსელები, კოოპერაციული მოდელები და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მეწარმეობრივი პრაქტიკები. გარდა ამისა, მცირე მეწარმეობა ხშირად მოქმედებს ლოკალურ დონეზე და ქმნის უშუალო კავშირს მომხმარებლებთან, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ეკონომიკურ თვითიდენტიფიკაციას და სოციალური ქსელების მდგრადობას.

დასკვნა

მცირე მეწარმეობის როლი მდგრადი განვითარების პროცესში თანდათანობით გადადის ტრადიციული ეკონომიკური ფუნქციების ფარგლებს მიღმა და იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას როგორც სოციალური, ისე ეკოლოგიური სტაბილურობის განმაპირობებელ ფაქტორად. გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრებისა და მდგრადობის პრინციპების ინტეგრაციის ფონზე, მცირე მეწარმეობა განიხილება არა მხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის მაპროვოცირებელი ინსტრუმენტად, არამედ სისტემურ ელემენტად, რომელიც ეხმიანება თანამედროვე განვითარების მოდელის მთავარ მოთხოვნებს ინკლუზიურობას, პასუხისმგებლობასა და რესურსების რაციონალურ მართვას. ქართულ რეალობაში მცირე მეწარმეობის მზარდი როლი, რომლის მატერიალური გამოხატულება ჩანს როგორც მშპ-ში წილით, ისე დასაქმების მაჩვენებლით, ცხადყოფს, რომ მას შეუძლია შეასრულოს ფუნქცია, რომელიც გადის ეკონომიკური ზრდის სტანდარტულ საზღვრებზე. მცირე ბიზნესი იქცევა იმ ხიდად, რომელიც აკავშირებს ინოვაციას, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას და ეკოსისტემური რისკების შემცირებას. აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, აუცილებელია მცირე მეწარმეობის ინტეგრირება მდგრადი განვითარების სტრატეგიულ ჩარჩოებში იყოს აღიარებული არა როგორც მეორეხარისხოვანი სექტორი, არამედ როგორც განვითარების სისტემური ღერძი. ეს გულისხმობს მულტიდისციპლინურ მიდგომებს, პოლიტიკის დიზაინის ინოვაციურობას და ინსტიტუციურ მზადყოფნას განსაკუთრებით რეგიონული განვითარების კონტექსტში, სადაც მცირე მეწარმეობა შეიძლება იქცეს სოციალურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე ორიენტირებული პოლიტიკის მთავარ გამტარად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat). (2024). საქმიანობების მაჩვენებლები სექტორების მიხედვით (2020–2023).

URL:https://www.geostat.ge/media/56265/Activities-of-Enterprises---II-Quarter%2C-2023.pdf?utm_source=chatgpt.com

2. ელიზბარაშვილი, გ. (2024). საქართველოს მცირე მეწარმეობის სტრუქტურული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის მემორანდუმი, №11.

3. ჟვანია, თ. (2020). მდგრადი განვითარების ეკონომიკური განზომილება და მისი ინტეგრაცია საქართველოს პოლიტიკურ ჩარჩოებში. საზოგადოებრივი მეცნიერებები, 5(1), 77–84.

4. ჰანსიორგ ჰერი და ზეინეპ მ. ნეტეკოვენი (2019). მცირე და საშუალო საწარმოების როლი განვითარების პროცესებში.

URL: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15734.pdf

5. ჩიხლაძე, ნ. (2019). მცირე მეწარმეობის სტრატეგიული განვითარება: საქართველოს გამოცდილება და პერსპექტივები. საჯარო პოლიტიკის მიმოხილვა, 3(2), 55–67

URL:https://neweconomist.com.ge/media/documents/Georgias_European_Integration_Perspective.pdf

6. World Bank. (2022). SME Finance in Emerging Markets: Unlocking Growth Potential. Washington, D.C.

7. შუმპეტერი, ი. (1934). The Theory of Economic Development. Harvard University Press.

URL: https://cruel.org/books/hy/shortschumpeter/SchumpeterTheoryofEconDev.pdf

8. კირზნერი, ი. (1973). Competition and Entrepreneurship. University of Chicago Press.

URL:https://www.sjsu.edu/people/john.estill/courses/158-s15/Israel%20Kirzner%20-%20Competition%20And%20Entrepreneurship.pdf

9. WCED (World Commission on Environment and Development). (1987). Our Common Future. Oxford University Press.

URL:https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/5987our-common-future.pdf

მარტივი და რთული პროცენტების დარცხვის თანამედროვე მეთოდების ანალიზი
Analysis of modern methods for calculating simple and compound interest

თეონა ალექსიძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
საბანკო საქმის მაგისტრი
ნინო სიბაშვილი
სს საქართველოს ბანკი
საბანკო საქმის მაგისტრი
Teona Aleksidze
Georgian National University SEU
Master of Banking
Nino SibaSvili
JSC Bank of Georgia
Master of Banking

აბსტრაქტი. როგორც მსოფლიო საბანკო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო პროცენტის დონე განისაზღვრება: პროცენტული განაკვეთების ეროვნულ სისტემაზე მომქმედი - მაკროეკონომიკური ფაქტორებით (საკრედიტო რესურსების მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ინფლაციური მოლოდინები, საკრედიტო რესურსების ბაზარზე კონკურენცია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ეროვნული ეკონომიკის ღიაობა, კაპიტალის

საერთაშორისო მიგრაცია, ვალუტების გაცვლითი კურსი, ქვეყნის საგახდო ბალანსის მდგომარეობა, საგადასახადო სისტემა) და კომერციული ბანკის პოლიტიკის საფუძველში ჩადებული - კერძო ფაქტორებით (რომლებიც განისაზღვრება მისი პოზიციით ბაზარზე, ოპერაციის ხასიათით და მისაღები რისკების სიდიდით).

იმდენად რამდენადაც პროცენტები ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით თავისთავად წარმოადგენენ მისი საშემოსავლო ბაზის ყველაზე არსებით მუხლს, ხოლო პროცენტული ხარჯები კი მოსაზიდი რესურსების მიხედვით ძირითადი ხარჯების ფორმირებას ახდენენ, ბანკმა ადექვატური საპროცენტო პოლიტიკის გატარების მიზნით მიღებული (გადახდილი) პროცენტების ნაწილში ბანკის პოზიციის მახასიათებელი რიგი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი უნდა განახორციელოს, როგორებიცაა: პროცენტული მარჟა, საბანკო მომსახურების შიდა ღირებულების კოეფიციენტი, საორიენტაციო პროცენტული მარჟა, ბანკის აქტიური ოპერაციების მინიმალური შემოსავლიანობა. სწორედ აღნიშნული აქტუალურის საკითხების თეორიული კვლევაა მოცემული ჩვერნს წინამდებარე სტატიაში. ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია ავტორისეული დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: საბანკო პროცენტი, მართივი პროცენტი, რთული პროცენტი, ძირითადი ხარჯი, სადეპოზიტო განაკვეთი, საპროცენტო რისკი.

Abstract. As the analysis of world banking practice shows, the level of bank interest in market economy countries is determined by: macroeconomic factors affecting the national system of interest rates (demand-supply ratio of credit resources, monetary policy, inflationary expectations, competition in the credit resources market, development of the securities market, openness of the national economy, international capital migration, currency exchange rate, the country's balance of payments situation, tax system) and private factors underlying the policy of a commercial bank (which are determined by its position in the market, the nature of the operation and the amount of acceptable risks).

Since interest in terms of the bank's active operations constitutes the most essential item of its income base, while interest expenses form the main expenses in terms of the resources attracted, in order to implement an adequate interest rate policy, the bank should analyze the dynamics of a number of indicators characterizing the bank's position in terms of interest received (paid), such as: interest margin, internal cost of banking services, benchmark interest margin, and minimum profitability of the bank's active operations. This article presents a theoretical study of these topical issues. The author's conclusions are made at the end of the paper.

Keywords: bank interest, fixed interest, compound interest, principal expense, deposit rate, interest risk.

საპროცენტო განაკვეთი - არის სასესხო კაპიტალზე პროცენტული გადახდების ფარდობითი სიდიდე დროის გარკვეული პერიოდისათვის, ჩვეულებრივად წლის განმავლობაში. იგი გაიანგარიშება როგოეც წლის განმავლობაში პროცენტული გადახდების აბსოლუტური თანხის თანაფარდობა ნასესხები სახსრების საშუალო სიდიდესთან.

პროცენტის საბაზრო დონის ცვალებადობაზე რეაგირების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ფიქსირებულ (დგინდება ნასესხები რესურსების გამოყენების მთლიან პერიოდზე მათი დონის ცალმხრივად გადასინჯვის გარეშე) და მცურავ (ჩამოყალიბებულია ორი შემადგენელი ნაწილისაგან: მოძრავი საფუძვლისაგან, რომელიც იცვლება საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად და ფიქსირებული სიდიდისაგან, ჩვეულებრივად უცვლელია დაკრედიტების ან სავალო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის მთლიანი პერიოდის განმავლობაში) საპროცენტო განაკვეთებს.

ასევე განასხვავებენ პროცენტის ნომინალურ და რეალურ განაკვეთებს, რომელთა შორის ურთიერთ-კავშირი შეიძლება შემდეგი სახით გამოისახოს (Valeri, ABOUT TAX ON FINANCIAL TRANSACTIONS IN GEORGIA, 2022):

$$i = r + e \text{ , ან } i = r + e + re \text{ ,}$$

სადაც: i - არის პროცენტის ნომინალური ან საბაზრო განაკვეთი;

r - არის პროცენტის რეალური განაკვეთი;

e - არის ინფლაციის ტემპი.

სასესხო პროცენტის სხვადასხვა ფორმები პრაქტიკაში მრავალფეროვან საპროცენტო განაკვეთებს განსაზღვრავენ. საბანკო პროცენტების განაკვეთების სისტემა მოიცავს: ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთს, ბანკთაშორისო ფულადი ბაზრის განაკვეთებს, დეპოზიტურ განაკვეთებს მოზიდულ სახსრებზე, პროცენტულ განაკვეთებს კრედიტებზე და მრავალი სხვა.

ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთი (კომერციული ბანკების რეფინანსირების განაკვეთი) - არის ცენტრალური ბანკის მხრიდან ოფიციალურად გაცხადებადი კომერციული ბანკების დაკრედიტების განაკვეთი.

ბანკთაშორისო საპროცენტო განაკვეთები - არის პროცენტული განაკვეთები კრედიტებზე ბანკთაშორისო ფულად-საკრედიტო ბაზარზე, რომლებიც საბაზრო კონიუნქტურაზე მეტი ხარისხითაა ორიენტირებული.

სადეპოზიტო განაკვეთების სახეობები დეპოზი-ტური ინსტრუმენტების ხასიათით და მათი ვადიანო-ბით განისაზღვრება. დეპოზიტური განაკვეთი ყოველ-თვის საკრედიტოზე რამდენიმე პუნქტით დაბალია, სხვაობას უწოდებენ სპრედს და სწორედ მის ხარჯზე იფარება ხარჯები ბანკის მუშაობის უზრუნველყოფაზე და მოგების ფორმირება ხორციელდება. კომერციული ბანკის დეპოზიტური ბაზის სტრუქტურა მისი საოპერაციო ხარჯების ფორმირების განმსაზღვრელია და მას ლიკვიდურობის მართვის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. დეპოზიტურ ინსტრუმენტები დაიყოფა შემდეგ ჯგუფებად: დეპოზიტები მოთხოვნამდე; ვადიანი დეპოზიტები იურიდიული პირების; დეპოზიტები ფიზიკური პირების; გამოშვებული თამასუქები; დეპოზიტური და საშემნახველო სერთიფიკატები და სხვა. ბანკის სადეპოზიტო ბაზის მახასიათებელ ძირითად მაჩვენებლებს მისი სტრუქტურისა და ფასობრივი პარამეტრების პოზიციიდან წარმოადგენენ (V., 2024):

ა) მოზიდული სახსრების საშუალო რეალური ღირებულება დეპოზიტური (ღდ) ოპერაციების სახეობების მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება მითითებული რესურსების საბაზრო ნომინალური ფასის საფუძველზე და მისი ცენტრალურ ბანკში დეპონირებადი სავალდებულო რეზერვების ნორმატივზე კორექტირებით:

სადეპოზიტო ღირებულება (ღდ) = საბაზრო ნომინალური პროცენტული განაკვეთი (პგ) : (100 - სავალდებულო რეზერვის ნორმა);

ბ) საბაზრო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (სგ) დეპოზიტური ინსტრუმენტების ცალკეული სახეობების მიხედვით :

სგ = პროცენტების ჯამი გადახდილი წლის განმავლობაში : შესაბამისი დეპოზიტის საშუალო მოცულობა X 100 % .

საბანკო პრაქტიკაში პროცენტების დარიცხვის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. ძირითადი ვალის სიდიდის განსაზღვრის (პროცენტების დარიცხვის ბაზის) მეთოდზე დამოკიდებულებაში განასხვავებენ მარტივ და რთულ პროცენტებს.

მარტივი პროცენტები უპირველეს ყოვლისა მოკლევადიანი დაკრედიტებისას გამოიყენება, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულ თვეში ერთხელ ან სხვა ვადაში ხორციელდება პროცენტების დარიცხვა და მათი კრედიტორზე გადახდა. მსესხებლის გადასახდის საერთო მოცულობა დავალიანების ძირითადი თანხის გათვალისწინებით ტოლი იქნება (Mosiashvili V., 2025):

$$S = P (1 + ni) ,$$

სადაც: S - არის კრედიტის მიხედვით გადახდების თანხა საწყისი ვალის გათვალისწინებით;

P - არის საწყისი ვალი;

i - არის პროცენტების განაკვეთი;

n - არის სესხის ვადიანობა წლებში.

ძალიან ხშირად საბანკო პრაქტიკაში გვიხდება ოპერაციის განხორციელება, რომელიც პროცენტების დარიცხვის საპირისპიროა (დისკონტირება). ასეთი ამოცანა წარმოიშობა, მაგალითად, დისკონტურ თამასუქებთან გარიგებების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში სააღრიცხვო ფასის გაანგარიშებისას შემდეგი სახის ფორმულა უნდა იქნას გამოყენებული:

$$P = S (1 - ni) ,$$

სადაც: i - არის დისკონტური განაკვეთი;

P - არის გარიგების ფასი;

S - არის თამასუქის ნომინალი;

n - არის თამასუქის დაფარვის ვადამდე დარჩენილი დღეების რაოდენობის თანაფარდობა დროით ბაზასთან.

მაგალითად, ბანკი ითვალისწინებს თამასუქს ვალდებულების დაფარვის დადგენილ ვადამდე 20 დღით ადრე. თამასუქის ნომინალია - 100 მლნ ლარი; სააღრიცხვო განაკვეთი - წლიური 13 %-ის ტოლია. ამ შემთხვევაში გარიგების თანხა ტოლი იქნება:

$$P = 100 (1 – 0,13 X 20 : 365) = 99 \text{ (მლნ ლარს).}$$

საბანკო პრაქტიკაში რთული პროცენტის გამოყენება, როგორც წესი, საშუალოვადიან და გრძელვადიან ოპერაციებში არის შესაძლებელი, როდესაც დარიცხული თანხები კრედიტორს გარიგების დასრულებამდე კი არ გადაეხდება, არამედ გაიზრდება ვალის ძირითად თანხა. ფიზიკური პირების ანაბრებთან მიმართებაში მიიღო.

რთული პროცენტების დარიცხვისა და დავალიანების საერთო თანხის განსაზღვრის ფორმულა შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ (https://bitly.cx/M2us, 2025) :

$$S¿ P\left(1+i\right)^{n} ,$$

სადაც: S - არის დავალიანების თანხა გარკვეული პერიოდის შემდეგ;

P - არის გაცემული სესხის მოცულობა;

i - არის პროცენტის განაკვეთი;

n - არის სესხის ვადა წლებში.

მაგალითად, ბანკის მიერ მსესხებელზე გაცემულია სესხი 10000 ლარის მოცულობით, ხუთი წლის ვადით, კრედიტის ვადის დასრულებისას წლიური 10 %-ის გათვალისწინებით. საჭიროა განისაზღვროს დავალიანების სიდიდე ხუთი წლის შემდეგ:

$$S=10000\left(1+0,1\right)^{5}=16105 \text{ ლარი}.$$

საპროცენტო რისკი - არის ფინანსური დანაკარ-გების ალბათობა საპროცენტო განაკვეთების დონის დროში ცვლილების შედეგად. კომერციულ ბანკებთან მიმართებაში პროცენტული რისკი შეიძლება განსაზ-ღვრული იქნას როგორც ბანკის წმინდა შემოსავლის შემცირების რისკი (მისი კაპიტალის ღირებულების დაკარგვა) საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად. ამრიგად, პროცენტული რისკი გამოხატავს საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საპროცენტო განაკვეთების არასასურ-ველი ცვლილებებისადმი მიდრეკილების დონეს.

ბაზელის კომიტეტი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პრინციპებში (1997წ.) პროცენტული რისკის შემდეგი ოთხი წყარო არის გამოყოფილი: ფასის ცვლილების რისკი; შემოსავლიანობის მრუდის ცვლილების რისკი; საბაზისო რისკი; ოფციონებთან დაკავშირებული რისკები.

საპროცენტო პოლიტიკა - ფართე თვალსაზრისით არის საპროცენტო განაკვეთების მართვის მეშვეობით ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებასთან მიმართებაში ღონისძიებების ერთობლიობა.

კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა მომართულია წმინდა პროცენტული შემოსავლის მაქსიმიზაციაზე საბანკო ოპერაციებიდან, საკრედიტო რისკის დაზღვევიდან და ბანკის ბალანსის ლიკვიდურობის მართვისაგან.

საპროცენტო პოლიტიკის მეშვეობით ბანკი შემდეგი ამიცანების გადაწყვეტას ახორციელებს:

- ისახავს მიზნებს, რომელთა რეალიზაციაზეა საპროცენტო პოლიტიკის განხორციელება მიმართული;
- განსაზღვრავს ბანკის მართვის ორგანიების უფლებამოსილებებს, ასევე ბანკის პასიური და აქტიური ოპერაციების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების დადგენისა და გადახედვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების წესს;
- ადგენს საბანკო ოპერაციებზე მაქსიმალურ და მინიმალურ საპროცენტო განაკვეთებს, ასევე იძლევა საჯარიმო და შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთების განმარტებას;
- განსაზღვრავს ბანკის ქვედანაყოფს, რომელიც საპროცენტო რისკის შეფაზებაზეა პასუხისმგებელი;
- ამტკიცებს მეთოდებს, რომელსაც ბანკი პროცენტული რისკის შესაფასებლად იყენებს;
- ადგენს ინსტრუმენტარიებს, რომელიც პროცენტული რისკის შეზღუდვისათვის გამოიყენება.

პროცენტი - არის მათემატიკური მცნებებიდან ერთ-ერთი, რომლებიც ხშირად გვხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სიტყვა „პროცენტები“ წარმოშობილია ლათინურიდან centum, რაც პირდაპირ ნიშნავს „ასეულზე“ ან „ასეულიდან“. პროცენტების გამოყენება ძალიან მოხერხებულია პრაქტიკაში, რმდენადაც ისინი გამოხატავენ რიცხველის მთლიან ნაწილებს ერთი და იგივე ასეულ წილადებში. ნიშანი „%“ წარმპქმნილია, როგორც ფოქრობენ, იტალიური სიტყვიდან CENTO (ასი), რომელიც პროცენტულ გაანგარიშებებში ხშირად იწერებოდა შემოკლებით ასი.

არსებობს სხვა ვერსიებიც აღნიშნული ნიშნის წარმოშობისა. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ნიშანი წარმოიშვა შეუსაბამო ბეჭდვითი შეცდომის შედეგად, დაშვებული ასოთამწყობის მიერ. 1685 წელს პარიზში გამოქვეყნებული იქნა წიგნი - სახელმძღვანელო კომერციული არითმეტიკის მიმართებაში, სადაც შეცდომით ასოთამწყობმა „ასის“ მაგიერ აკრიბა „%“. პროვენტების გაანგარიშებისათვის პირველმა გამოაქვეყნა ცხრილები 1584 წელს სიმონ სტევინმა - ქ. ბრიუგედან (ნიდერლანდები) ინჟინერმა. პროცენტები გამოიყენებოდა მხოლოდ სავაჭრო და ფულად გარიგებებში. შემდგომ მათი გამოყენებისსფერო გაფართოვდა, პროცენტები გვხვდებიან სამეურნეო და ფინანსურ გაანგარიშებებში, სტატისტიკაში, მეცნიერებაში და ტექნიკაში.

რომაელები იღებდნენ მევალისაგან „სიჭარბით“ (ანუ ფულს იმაზე იმეტად, რაც ვალად ქონდათ გაცემული). ამასთან ამბობდნენ: „თითოეულ 100 ცენტნერ ვალზე გადასახდელი იყო 16 ცენტნერის სიჭარბე“ (Mosiashvili V., 2025).

პროცენტების ისტრია საქართველოში (ისევე როგორც რუსეთში) მრავალსაუკუნოვანია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცნობილი იყო გადახდების მრავალრიცხოვანი სახეობები პროცენტის ნატურით - საქონელი, ხორბალი და ა.შ. გადახდით. ელზავეტა I-ის მეფობისას 1754 წელს პირველი ბანკები იქნა დაარსებული. პროცენტების ისტორია 1809 წლიდან დაიწყო ფასიანი ქაღალდები - ობლიგაციებიდან მისი ღირებულების თანხიდან %-ის მიღებაზე უფლებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით პირველად ბირჟა 1920 წელს ჩამოყალიბდა. მოგვიანებით გავრცელება დაიწყო კრედიტებმა.

თანამედროვე პირობებში პროპცენტი - არის ათეული წილადებისათვის კერძო სახეობა, ასეული წილი მთლიანისათვის (მიღებული ერთის ტოლად), აღინიშნება ნიშანით „%“. პროცენტების ისტირიის დასარული არ ჩანს, იგი აგრძელებს ცხოვრებას.

პროცენტების სახეობები:

პროცენტები - გამოიყენებიან სამეურნეო საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის მრავალ სფეროებში, ასევე სხვადასხვა სტატისტიკურ გაანგარიშებებში.

სამთავრობო სესხები თავისთავად სახელმწიფოსათვის კრედიტებს წარმოადგენენ. კრედიტორები მოელიან არა მარტო თავიანთი ვალის დაბრუნებას, არამედ მათი ფულის გამოყენებაზე საფასურის გადახდასაც.

რამდენადაც კრედიტების მიმართებაში ასეთ გადახდებს ეწოდება პროცენტული, მეთოდებს, რომელთაც მთავრობა იყენებს აღნიშნული პროცენტების გადასახდელად - „იწოდებიან“ პროცენტების სახეობებად, როგორებიცაა:

- გაცხადებული პროცენტი - სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთი;
- მცურავი პროცენტი - არის საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ვალის დაფარვის ფარგლებში;
- კომპოზიციური პროცენტი - დაბალი როცენტი საჩუქრად;
- ვალის პროცენტი - არის ვადაში დაუბრუნებელი პროცენტი;
- სოფლისმეურნეობრივი პროცენტები:

ეკონომიკისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ ჩვენს ქვეყანაში საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების წარმოქმნა გამოიწვია. პროცენტებმა დიდი განვითარება მოიპოვეს სოფლისმეურნეობის წარმოებაში. გეგმიური ეკონომიკის პერიოდში წარმოქმნილი მეურნეობები ფინანსურ მხარდაჭერას ღებულობდნენ, ხოლო 1994 – 1995 წლებში ფერმერული მეურნეობების რაოდენობის ზრდა შენელდა. ერთ-ერთ ძირითად ელემენტს კომერციული გაანგარიშება წარმოაგენს.

კომერციული გაანგარიშება - არის მეურნეობის გაძღოლის მეთოდი, რომელიც დანახარჯების სწორად განაწილებაზეა დაფუძნებული, მიზანი - კი არის დიდი მოგების მიღება, დანახარჯების განხორციელების გარეშე.

- სტატისტიკური პროცენტები - პრობლე-მების გადაწყვეტისათვის და საწარმოს შედეგიანობის გაუმჯობესებისათვის არის საჭირო;
- საბანკო პროცენტები:

- დისკონტირება - არის პროცენტები, რომლებიც ვალის ძირითად თანხასთან გადაიხდება;

- კუპონურები - არის მუდმივი წლიური პროცენტული თანხა, რომელიც წელიწადში ერთხელ ან ნახევარწელიწადში ერთელ გადაიხდება;

- დეპოზიტი - არის პროცენტების გაანგარიშება დანაზოგების მიმართებაში, რომ საკუთარი ფულადი სახსრები ვმართოთ;

- ინდექსაცია - ხორციელდება მაშინ, როდესაც შრომის ანაზღაურება დაბალია, ხოლო ფასები კი მაღალი.

- რთული პროცენტები - არის „პროცენტების პროცენტებზე“ დარიცხვა, როდესაც ერთ საანგარიშო პერიოდში დარიცხული შემოსავალი ემატება დაბანდებული კაპიტალის საერთო ჯამს, და შემდეგ საანგარიშო პერიოდში პროცენტი უკვე მეტ თანხაზე დაირიცხება. პროცენტების

კაპიტალიზაცია - არის შემოსავალის დამატების პროცესი დეპოზიტის საწყის („სხეული“) სიდიდეზე.

საბანკო საქმე იტალიური აღორძინების დროს წარმოიშვა და დასაწყისში დიდ პატივისცემას არ იმსახურებდა. ბანკირები ცდილობდნენ პატივისცემულები გამხდაიყვნენ თავისი სიმდიდრის, არისტოკრატიული ტიტულების და მაღალი საეკლესიო თანამდებობების გადიდების ხარჯზე, მაგრამ საზოგადოებრივი აღიარება მათ მხოლოდ მოსახლეობის უმდაბლესი ფენებისათვის მომსახურეობების განხორციელების მიმართებაში მასიური ოპერაციების შემდეგ მიიღეს. აღნიშნული გახდა შესაძლებელი ამერიკის უდიდესი სიმდიდრეების აღმოჩენის საფუძველზე. ადამიანები, რომლებიც ტრადიციულად დამოკიდებულები იყვნენ ფულზე (ჯარისკაცები, მხატვრები, იურისტები, ექიმები), ამჟამად უკვე დამიზნებულები იყვნენ ხელფასის მიღებაზე, და არა მათი მომსახურეობების საქონელით (საცხოვრებელი, სურსათი, მარილი) ანაზღაურებაზე. ასე დაიწყო საპროცენტო განაკვეთის ისტორია.

სიმდიდრის გადანაწილებამ, განსაკუთრე-ბით მე-17-ე საუკუნეში, ბიძგი მისცა მოვაჭრეების საშუალო კლასის ამაღლებისაკენ. მათ, თავის მხრივ, წარმოშვეს ახალი პროფესიები, დაკავშირებულები ფულთან. საბანკო საქმის გაფართოებით წარმოიშვებენ ბროკერები, რომლებიც სპაციალიზირდებოდნენ ყოველივესი გაყიდვაზე და შეძენაზე - მიწის ფართობებიბიდან აქციებამდე. ბანკებს დასჭირათ სულ უფრო მეთი რაოდენობი ფულის მოზიდვა, და ამ პერიოდისათვის დაიწყო საბანკო დეპოზიტების, კრედიტებისა და საპროცენტო განაკვეთების სისტემისად გაფორმება, რომლის დროსაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო გამხდარიყო მევახშე და ეცხოვრა პროცენტებზე.

<u>მარტივი და რთული საპროცენტო განაკვეთი:</u>

აღნიშნულ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ, ამდენად აქ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ავღნიშნოთ, რომ საბანკო პროცენტების დარიცხვა შეიძლება შესრულებული იქნას ორი ხერხით, რომლებმაც მიიღეს შესაბამისად სახელწოდება - მარტივი და რთული პროცენტი.

პირველ შემთხვევაში - მართივი პროცენტებისას გაიგება, რომ გაანგარიშებების (დარიცხვის) საფუძვლად ყოველთვის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში კრედიტის (დეპოზიტის) საწყისი ძირითადი თანხა მიიღება:

$$A = A_0 (1 + p),$$

სადაც: A – არის საბოლოო თანხა;

A_0 – არის საწყისი დაბანდება;

P – არის %, რომელთაც არიცხავს ბანკი,

(ჩაიწერება წილადებად).

რთული პროცენტი ითვალისწინებს, რომ თითოეულ შემდგომ პერიოდში თანხა, რომელზეც დაირიცხება პროცენტი, იზრდება (დიდდება) წინა პეეიოდში მიღებული პროცენტების სიდიდეზე.

ტრადიციულად უფრო სარგებლიანად მიღებულია ჩაითვალოს დეპზიტები რომელთა მიმართებაში ბანკი არიცხავს რთულ პროცენტებს (თუმცა აღნიშნული აქსიომური მტკიცებულება ჩვენს მიერ ნაწილობრივ უარყოფილია და სახელმძღვანელოს ბოლო ქვეთავში განხილული გვექნება მარტივი პროცენტების ფორმულით კუთვნილი დივიდენდების მნიშვნელობა წლის შიდა პერიოდებში დარიცხვისას, მცირეოდენით მაგრამ მაინც უფრო მეტი აღმოჩნდა რთულ პროცენტის ფორმულით მიღებულთან შედარებით). კრედიტების

მიმართებაში სიტუაცია შებრუნებულია. სარგებლიანად ითვლება პროცენტი, გაანგარიშებული არა კრედიტის მთლიან თანხაზე, არამედ ბანკისათვის დაუბრუნებელი ფულადი სახსრების ნაშთებზე.

რთული პროცენტების ფორმულა - არის ფორმულა, რომლის მიხედვით გაიანგარიშება ჯამური თანხა კაპიტალიზაციის (პროცენტის დარიცხვის) გათვალისწინებით:

$A = A_0 (1 + p)^n$,

სადაც: A – არის საბოლოო თანხა;

A_0 – არის საწყისი დაბანდება;

P – არის %, რომელთაც არიცხავს ბანკი, (ჩაიწერება წილადებად);

n - წლების რაოდენობა.

საბანკო საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება:

საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერის წინ სასურველია გაგებული იქნას, როგორი თანხებია გადახდა მოგვიხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია საბანკო საპროცენტო განაკვეთის სწორად გაანგარიშება. მრავალი ონლაინ-ბანკები თავიანთ საიტებზე მსესხებელს თავაზობენ კალკულატორს აღნიშნული გაანგარიშებისათვის, მაგრამ სინამდვლეში მისი გამოყენება არც ისე მარტივია, მაგრამ შესაძლებელია მიახლოებითი გაანგარიშების გაკეთება.

საბანკო საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების მრავალი მეთოდები რთულებია და მოითხოვენ მათემატიკურ ცოდნას. ამიტომ შევჩერდეთ უფრო მარტივ ხერხებზე. თუ სიაში შეთავაზებულ ყველა გადახდებს შევკრებთ, შესაძლებელი იქნება მიახლოებითი პროცენტი იქნას გაანგარიშებული, რომელიც იქნება გადასახდელი სესხად აღებულ თანხაზე, როგორებიცაა:

1. პროცენტი კრედიტზე;
2. ბანკის ყველა საკომისიოები (განცხადების განხილვაზე, ანგარიშის გახსნა და მომსახურებაზე და ა.შ.);
3. ყველა მომსახურეობები სიცოცხლის დაზღვევასთან მიმართებაში და სხვები.

სწორად გაანგარიშებისათვის საჭიროა გათვალ-ისწინებული იქნას სხვადასხვა გარემოებები, რომლებიც შეიძლება ნასესხები ფულის გამოყენების მომენტში წარმოიშვას, მაგალითად, წინმსწრებად დაფარვა, პენიები, ჯარიმები და მრავალი სხვა.

ბანკის ზოგიერთი კლიენტები, პირიქით, საკრე-დიტო ორგანიზაციას თავიანთი ფინანსების შენახვას ანდობენ, ბანკი აღნიშნულზე უხდის პროცენტებს, მისი სიდიდე მრავალ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ბიბლიოგრაფია

1. ფინანსები. ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი (2 წიგნად). ტომი II. შემდგენელი და რედაქტორი, პროფესორი ლამარა ქოქიაური. თბილისი 2014.
2. Mosiashvili V. (2025). ფინანსური სისტემის ზედამხედველობა და კონტროლი. Tbilisi: Dani.
3. Mosiashvili V. (2024). 10-24. Science and Innovation, https://docs.google.com/viewer?url=https://issmsai.wordpress.com/wp-content/uploads/2024/12/2-2-2.docx.
4. Valeri, M. (2022). ABOUT TAX ON FINANCIAL TRANSACTIONS IN GEORGIA. International Journal of Social Science and Economic Research, ABOUT TAX ON FINANCIAL TRANSACTIONS IN

GEORGIA.

5. https://bitly.cx/M2us, 2025
6. https://www.bis.org/bcbs/basel3.htm?m=3%7C14%7C572)
7. https://nbg.gov.ge/financial-stability/countercyclical-capital-buffer

The role of the parent and its influence on the development of the infant

Lia Antadze
Georgian National University SEU
Head of the Master's Program in Educational Administration
Assistant Professor

Abstract. For a newborn, a parent is an important figure with whom his or her first relationship begins. Studies show that the newborn's brain is actively developing from the moment of birth, and its development is influenced by the parental relationship. Parental care helps the newborn develop emotional stability. In particular, closeness to the mother's body, hearing her voice, and warm attention create the foundation for the child's psycho-emotional development, which affects the child's early and future life.

According to the attachment theories of the famous psychoanalyst Bowlby, children who receive sensitive responses from their parents at an early stage of life, feel empathy and warmth, are more likely to demonstrate emotional self-confidence in the future.

The aim of our article is to find out what impact the active involvement of the family and parents has on various aspects of the development of a child at an early age, what is the level of awareness of parents in this regard on the example of Georgia, and how family support can be increased through integrated approaches.

To achieve this goal, the paper reviews the theories of famous psychologists and conducts qualitative research.

Keywords: parent, newborn, development, engagement.

Introduction

Modern research confirms that the bond formed between a parent and a child in the first months of life affects the development of the newborn's brain, emotional abilities, the development of social skills and the manifestation of trust in the world. Accordingly, physical and emotional care from the parent provides a safe environment for the newborn, which is the main condition for the child's well-being.

As various sources indicate, early age, such as 0–6 years, is one of the critical periods of child development, during which the structure of the brain, emotions and social skills are formed.

Various studies show that the experience gained at this age determines not only future academic success, but also psycho-social well-being throughout life.

The family, as the primary development and upbringing environment of a child, plays an important role in the development of his skills and subsequent social integration.

As for Georgia, coordination between education and social services is still a challenge, and parental support systems are underdeveloped, especially in the regions.

Accordingly, our goal is to find out what impact the family environment and active parental involvement have on various aspects of early childhood development and how different approaches can increase family support.

Based on this goal, the following tasks were developed:

• To determine parents' awareness of the importance of early childhood development

• To assess family needs and support services

• To develop recommendations for family-oriented policies.

Literature Review

Starting life with a newborn is a completely new stage for parents. From the very first day of birth, a newborn becomes dependent on the environment, where the parent plays a decisive role. The physical, psychological and emotional development of a newborn is closely related to how caring and warm the environment is.

The human brain at birth already contains about 100 billion neurons, and from the moment of birth, synaptic connections begin to form in the brain, however, the fastest phase is the period from birth to three years of age, since at this stage the structure of the child's brain is formed at the fastest rate.

The famous American developmental psychologist Uri Bronfenbrenner says that a child's development occurs in interdependent systems, each of which affects the child's growth. Bronfenbrenner's model especially highlights the primary importance of the family environment on the child's cognitive and emotional development. He divides the environment into several levels: the microsystem, where family, friends, school are considered. The mesosystem, how microsystems interact with each other. Exosystem, social system, such as parental education, work environment, etc. Macrosystem, such as economic status, cultural values, etc. Chronosystem, such as social changes, changes over time. Accordingly, the development of a child takes place in a diverse environment, this theory tells us that where a child grows up and what his environment is like play an important role in the development of a child.

Meanwhile, the theory of the Soviet psychologist Lev Vygotsky (1896-1934) had a great influence on developmental psychology, or pedagogy. The theory considers the development process as the result of social interaction. Vygotsky also introduced the term zone of proximal development (ZPD), which refers to the difference between the levels that a child achieves independently and those that can be achieved with the participation of others, or with their help. Accordingly, newborns need the help of others for any experience.

According to the theory of psychologists John Bowlby and Mary Ainsworth, a child establishes the first emotional bond with his mother. The development of human behavior and emotions is related to the type of bond formed with the mother during the neonatal period. According to John Bowlby's theory, attachment is a biologically programmed behavioral system that helps a newborn provide security, protection, and survival.

Meanwhile, the famous psychologist Harry Harlow's theory refuted the then behaviorist approach that newborns are primarily motivated only by food and the satisfaction of biological needs. Through Harlow's experiments with monkeys, scientists received evidence that newborns need more than food for development. Harlow's most famous experiment was conducted on newborn rhesus monkeys. They created two artificial mothers, one unemotional, but provided food, and the other warm, loving, empathetic, but did not provide food. Most of the monkeys spent a lot of time with the warm, loving mother, and went to the unwarm mother for food for a short time. Thus, Harlow proved that physical contact and emotional security are more important than food, which is especially important at an early age. Given these theories, early involvement is the most effective investment in human development.

Research Methodology and Results

Based on the above-mentioned goals and objectives, we conducted a qualitative study, using purposive sampling, with 16 in-depth interviews. 12 with mothers and 4 with fathers. Respondents from Tbilisi and two regions were involved in the study.

Results

θ Most parents, 14 out of 16, are not familiar with the stages of early development.

θ A high correlation is observed between parental involvement and the child's language progress.

θ In Tbilisi, people are more informed about early development and opportunities.

θ Low-income and socially vulnerable families require special attention.

Conclusion

The role of a parent in a newborn's life is crucial and includes not only physical care, but much more. The parent's attitude in the early stages of life determines the child's psycho-emotional well-being.

According to studies, newborns who receive warmth and care in the first months of life develop more intellectually. This shows that positive experiences from parents are the basis of a child's development, while neglect or emotional distance can become a cause of developmental delays.

Based on the above, it is advisable for parents to express love, warmth and care to newborns as much as possible. It is also important to talk to the newborn frequently, use facial expressions and gestures. The active involvement of fathers is also important, it contributes to both the child's development and maintaining a balance between parents.

It is also recommended that the state provide parents with information about the child's development.

In the process of caring for a newborn, it is necessary to monitor and support the psycho-emotional state of the mother. Accordingly, it is desirable to plan recommendation resources and trainings for parents together with kindergartens and the Ministry of Health. It is also desirable to continue large-scale studies, in a demographic context, that reflect early childhood development.

References

1. O. Muskhelishvili, N. Jijavadze, Preschool Education Management at the Local Level, 2021

2. D. Uznadze, Child Psychology, 2003.

3. Early Childhood Development Assessment and Support - https://www.unicef.org/georgia/media/541/file

4. Claire Halsey, Baby Development Everything You Need to Know 2012

5. Megan McGrory Massaro, MiRiam J.Katz The Other Baby Book A Natural Approach to Baby's First Year. 2012.

რესოციალიზაციის პროცესი მსჯავრდებულთა კორექციის ფონისა და მისი ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის“

The Process of Resocialization Against the Background of Offender Correction and Ensuring Its Effectiveness

ნოდარ მატარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი. დოქტორანტი
Nodar Mataradze
Georgian Technical University
Faculty of Business Technologies. Doctoral Student

აბსტრაქტი. სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სისხლის სამართლის მეცნიერებას. როგორც სტატიაშია ნაჩვენები, იგი ფოკუსირებულია რესოციალიზაციის პროცესზე და არა კორექციაზე. უახლესი სამეცნიერო კვლევები და მიმდინარე მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, უფრო ხშირად მოქმედებენ „რესოციალიზაციის“ კონცეფციით, ვიდრე „კორექტირებით“. გაანალიზებულია ზოგიერთი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სფეროში.

მოცემულია რესოციალიზაციის პროცესის მახასიათებლები, ნაჩვენებია მისი უპირატესობები. აღნიშნულია, რომ გამოსწორების მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ თუ ყოფილმა მსჯავრდებულმა არ გადაჭრა საზოგადოებაში ადაპტაციის საკითხები, მაშინ ამან შეიძლება გამოიწვიოს ხელახალი დანაშაულის რეციდივი. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი რესოციალიზაციის შექმნა, რომელიც რეციდივის თავიდან აცილებას უზრუნველყოფდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასჯელის მოხდის პროგრესული სისტემის შექმნას, მსჯავრდებული პირის ცხოვრებაში ფართო მასშტაბით თანდათანობით შეყვანით.

საკვანძო სიტყვები: რესოციალიზაცია, კორექცია, პიროვნების სოციალიზაცია. სასჯელის მოხდის პროგრესული სისტემა, სოციალური ადაპტაცია.

Abstract. Criminal law science is receiving increasing attention, particularly with a shift in focus from correction to resocialization. As demonstrated in this article, contemporary criminal justice emphasizes the process of resocialization rather than traditional correctional approaches. Recent academic research and current regulatory legal acts tend to operate within the framework of "resocialization" more frequently than "correction."

The article analyzes the legislation of several foreign countries regarding the resocialization of convicted individuals. It outlines the main characteristics of the resocialization process and highlights its advantages. It is noted that while correction may be achieved, the failure of a former convict to successfully adapt to society can lead to recidivism. Therefore, the development of effective resocialization mechanisms is essential to prevent reoffending.

Special attention is given to the creation of a progressive sentence execution system, which gradually reintegrates the convicted person into society through a structured and phased approach.

Keywords: resocialization, correction, socialization of the individual. Progressive system of serving a sentence, social adaptation.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სისხლის სამართლის აღმასრულებელი სისტემა კვლავ ელემენტარულად კავშირშია "გამოსწორების" კონცეფციასთან, 2020 წლის შემდეგ უფრო ხშირად გვხვდება "რესოციალიზაციის" იდეა, რაც სასჯელის სისტემის განვითარებაში ახალ მიმართულებას ავლენს. საქართველოს კრიმინალურ-აღმასრულებელი სისტემის კანონმდებლობაში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ემყარება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესებს და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

სტატიაში განხილულია უცხო ქვეყნების კანონმდებლობა, რომელთა რეფორმები ასევე მოიცავენ რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის მიზანს, რომელიც აქტიურად გავრცელდა კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (CIS). ავტორი აღნიშნავს, რომ ის, რასაც ხშირად ვხვდებით კორექციის კუთხით, სინამდვილეში არ მოიცავს პოსტპენიტენციურ პერიოდს, ხოლო რესოციალიზაციის მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულის ადაპტაცია საზოგადოებაში და რეციდივის თავიდან აცილება.

აღნიშნულია, რომ გამოსწორება მხოლოდ დროებითი გადაწყვეტილებაა, რომელიც არ უზრუნველყოფს მსჯავრდებულის საბოლოო ინტეგრაციას საზოგადოებაში, რაც შესაძლებელია მოგვიანებით გამოიწვიოს დანაშაულის გამეორებას. ამიტომ აუცილებელია გააქტიურებული

რესოციალიზაციის პროცესის შექმნა, რომელიც შეეხება ყველა ეტაპს: პენიტენციურ პერიოდს, პოსტპენიტენციურ პერიოდს და კერძოდ, სოციალური ადაპტაციის ხელსაყრელ გარემოს შექმნას, რათა ყოფილი მსჯავრდებული მოერგოს საზოგადოებას და თავიდან აიცილოს რეციდივი.

სტატიაში ასევე განიხილება ის პროგრამები და მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს მსჯავრდებულთა სოციალიზაციას, მათ შორის სოციალური დაცვის, ფსიქოლოგიური დახმარების და განათლების სფეროები. საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, აქტიურად განიხილება პრობაციის სამსახურის შექმნა, რომელიც ამ პროცესის საბოლოო ეტაპზე მუშაობს – კერძოდ, სასჯელისგან გათავისუფლებული პირების სოციალურ ადაპტაციაზე.

თუმცა, მიუხედავად ამ მიმართულებების გაზრდილი ყურადღებისა, ქართველი კანონმდებლობა კვლავ კონცენტრირებულია კორექციის კლასიკურ მოდელზე, სადაც გამოსწორება და სასჯელის აღსრულება შემოწმებულია, მაგრამ არ არის საკმარისი შთაგონება სოციალური ადაპტაციის პროცესის რეალური განვითარებისათვის.

ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ საჭიროა კანონმდებლობის გადახედვა, რათა "რესოციალიზაცია" გახდეს მთავარი მიმართულება, რომელიც უნდა მოიცავდეს სოციალურ ადაპტაციას, რითაც ყველა კომპონენტი და აქტორი, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობენ, უნდა გაერთიანდნენ ეფექტიანი მიზნის მიღწევისთვის.

სასჯელაღსრულების სისტემაში რეფორმების პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა პერსონალის დამოკიდებულებაში კორექციის პროცესის მიმართ. საბჭოთა პერიოდის ილუზიები, რომ ყველა მსჯავრდებულის გამოსწორება შესაძლებელია, დღეს უკვე განუხრელად შეიცვალა. გამოკითხულმა სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებმა ძირითად მიზნად დასახეს მსჯავრდებულების რეჟიმის წესების დაცვა და ახალი დანაშაულების თავიდან აცილება, მაშინ როდესაც მხოლოდ მცირე პროცენტმა აღნიშნა მსჯავრდებულის გამოსწორების მიღწევა.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების კანონმდებლობა პასუხობს ამ ცვლილებებს. მაგალითად, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა როლის აღდგენას როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრების, რის შედეგადაც მათი დაბრუნება ხდება სოციალურ და ზოგადად ცხოვრებაში. ბელორუსიაში, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის განსაზღვრული რესოციალიზაციის მიზანი, კანონმდებლობა ითვალისწინებს მსჯავრდებულთა სოციალური ადაპტაციის პროცესს და მისი აქტიური დახმარების გაწევას გათავისუფლებული პირებისთვის.

ყაზახეთმა განსაზღვრა, რომ მთავარი მიზანი არ არის მხოლოდ გამოსწორება, არამედ სოციალურ ადაპტაციაზე ზრუნვა. შესაბამისი დახმარების გაწევა გათავისუფლებულ პირებს, ასევე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი რეგულირდება კანონით. ეს ყველა მაგალითი სავალდებულოა იმისათვის, რომ კრიმინალური სამართლის სისტემამ მიაღწიოს რესოციალიზაციის პოზიტიურ პრინციპებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში რესოციალიზაცია ხშირად მიიჩნეოდა კორექციის ნაწილად, ეს კონცეფცია არ არის სწორად ახსნილი. რესოციალიზაცია არის პროცესი, რომელიც მოიცავს მსჯავრდებულის რეაბილიტაციას და მისი სოციალური ინტეგრაციის პროცესს კანონმორჩილ საზოგადოებაში. ი.ვ. ბარანოვი ამტკიცებს, რომ რესოციალიზაციის პროცესს ვერ გამოვყოფთ სოციალურ პროცესებისგან, რადგან მისი მახასიათებელი არ არის მხოლოდ ქცევის შეცვლა, არამედ მსჯავრდებულის ინტეგრაცია საზოგადოებაში.

პროფესორ ა.მ. იაკოვლევას მიხედვით, „სოციალიზაციის“ და „განათლების“ ცნებები მნიშვნელოვანი განსხვავებით განირჩევა. სოციალიზაცია უფრო ზოგადი და ფართო პროცესია,

ხოლო განათლება — მიზანმიმართული და ცნობიერი. რესოციალიზაციის პროცესში, რომელიც სოციალიზაციის პირველი ეტაპია, ხდება ინდივიდის ურთიერთობა სოციალურ გარემოსთან, ხოლო კორექცია უფრო სისტემური ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს რესოციალიზაციას.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია გულისხმობს არა მხოლოდ პირობების შექმნას, არამედ მათი დახმარების გაწევას, რაც საშუალებას მისცემს მათ ჩაერთონ სოციალური ცხოვრების მისაღებ ფორმებში. გამოსწორება კი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ მექანიზმია, რომელიც ხელს უწყობს სოციალური პროცესის წინსვლას. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სასჯელის მოხდის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა თანდათანობით ინტეგრაციას საზოგადოებაში, განსაკუთრებით იმ პირებისთვის, რომლებსაც დიდი ხნით აქვთ თავისუფლების აღკვეთა. ამ პროცესის მთავარ ელემენტებად წარმოიშობა საშეღავათო და საბოლოო პერიოდი, რომელიც მსჯავრდებულებს საშუალებას აძლევს მოერგონ ახალ გარემოს და დაუბრუნდნენ საზოგადოებას.

პროგრესული სისტემის მთავარი მიზანია მსჯავრდებულთა საცხოვრებლის გარეთ გადადგილების ეტაპზე მათი სიღრმისეულად ადაპტაცია, რაც უნდა აისახოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ამისთვის საჭიროა პოსტპენიტენციური პერიოდის რეგულირება, რათა გათავისუფლებული პირების საზოგადოებაში წარმატებულ ადაპტაციას ხელი შეუწყოს. ამ პოზიციას იზიარებს ვ.ნ. ჩორნსი, რომელიც რესოციალიზაციის პროცესს პენიტენციურ და პოსტპენიტენციურ ეტაპებად ყოფს და აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების სამართალი მომავალში უნდა განვითარდეს, როგორც რესოციალიზაციის სამართალი.

მსგავსი იდეები აქვს ვ.ა. უტკინს, რომელიც საერთაშორისო მიდგომის მიხედვით განიხილავს სასჯელაღსრულების სამართალს როგორც ერთიან მექანიზმს, რომელიც მოიცავს სამი ძირითადი ბლოკის სისტემას: წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი სასჯელაღსრულების.

რესოციალიზაცია, კრიმინოლოგიური ფაქტორების ნეიტრალიზაციის პროცესის ნაწილად, ხელს უწყობს კრიმინოგენური გარემოს ეფექტურ ნეიტრალიზაციას. ამ პროცესში კრიმინოლოგია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც სპეციალიზირებულია სისხლის სამართლის აღმასრულებელი სამართლის სრულყოფაში. ბულგარელი მეცნიერი ტ. პრედოვი 1970-იან წლებში ხაზს უსვამს, რომ რესოციალიზაციის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, კრიმინოლოგიური საკითხია, რადგან ის აერთიანებს სხვადასხვა სამართლის დარგებს, მათ შორის სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების, ფსიქოლოგიის და სოციალური სამართლის სფეროებს.

კრიმინოლოგი უ.მ. ანტონიანი, დამნაშავის პიროვნების შესწავლისას, აღნიშნავს, რომ კრიმინოლოგია პასუხისმგებელია დანაშაულის პრევენციის ზომების ინტეგრირებაზე, მათი ურთიერთქმედების და ეფექტიანობის შესახებ სამეცნიერო რეკომენდაციების მიწოდებაზე, რაც უზრუნველყოფს ყველა დონეზე პიროვნების რესოციალიზაციას. კრიმინოლოგიური მიდგომის გამოყენება აუცილებელია, რადგან ის უფრო ფართოა, ვიდრე მსჯავრდებულთა გამოსწორების მეთოდები, რომლებიც მხოლოდ რეციდივიზმის თავიდან აცილებით შემოიფარგლება.

კრიმინოლოგია არ ეფუძნება მხოლოდ მსჯავრდებულთა გავლენის კორექტირებას, არამედ მთელი კომპლექსური მიდგომით იმოქმედებს, რომელიც მოიცავს ობიექტურ მიზეზებს, მსჯავრდებულთა გარემოს და მათზე ზემოქმედების ფართო სპექტრს, მათ შორის სოციალური, ფსიქოლოგიური და პრევენციული ძალისხმევის გამოყენებას. ამ მიდგომის მიზანია, რომ ის არ იყოს მხოლოდ სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც განხორციელდეს.

ამ თვალსაზრისით, განსაზღვრულია რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სტრუქტურულად ქმნიან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას: მათ შორის, მსჯავრდებულთა სამეცნიერო კლასიფიკაცია, მათი განაწილება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების გაწევა, ციხის სუბკულტურის ნეიტრალიზაცია, და ასევე მათი მუშაობის, განათლებისა და აღზრდის ღონისძიებები. ეს ყველა ნაბიჯი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მსჯავრდებულის საზოგადოებაში შესვლას და კრიმინოგენული გარემოს გავლენაზე კონტროლს.

ამგვარად, უფრო აქტიურად უნდა განვითარდეს რესოციალიზაციის პროცესი, რაც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში. რესოციალიზაციის ინსტრუმენტები უნდა გახდეს მთავარი მიზანი სასჯელაღსრულების სისტემაში, რათა არა მხოლოდ მსჯავრდებულთა გამოსწორება, არამედ შეძლონ მათი სრულფასოვანი ადაპტაცია საზოგადოებაში.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა ადეკვატური იყოს რესოციალიზაციის პროცესში და აღიაროს მისი მნიშვნელობა. სასჯელის თითოეულ სახეს უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზნები, რომლებიც არ ემთხვევა მხოლოდ კორექციას, არამედ გულისხმობს რეფორმულ და სოციალური ადაპტაციის გზებს.

დასკვნა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში, რესოციალიზაციის იდეას უნდა მიეცეს მთავარი როლი. კორექცია უნდა იყოს მხოლოდ მის მიერ მხარდაჭერილი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მსჯავრდებულის რეინტეგრაციას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში რესოციალიზაციის პროცესი მყარად იყოს გაძლიერებული, რაც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა დანაშაულისგან განთავისუფლებას და მათ საზოგადოებაში წარმატებულ შერწყმას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თუმანოვი კ.ს. - მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თანამედროვე რუსეთის პირობები, სტავროპოლი, 2012. 164 გვ.

2. ლუკინი ე.ე. - ხანდაზმული მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პრაქტიკა: ავტორის რეზიუმე. დის. კანდი. სოციოლ. მეცნიერებები. სარატოვი, 2012. 150;

3. ანსელ მ. - ახალი სოციალური დაცვა (ჰუმანისტური მოძრაობა სისხლის სამართლის პოლიტიკაში). მ., 1970. 312 გვ.

4. სტრუჩკოვი ნ.ა. სასჯელის აღსრულებისა და ხელახალი განათლების ახალი ასპექტები. განათლება- კანონი და წესრიგი. 1981. №6. გვ. 55–58.

5. იუჟანინი ვ. ე. - მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ეტაპები ახალი სოციოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით ანთროპოლოგიური შეხედულებები და სოციალური ფილოსოფია. სანქტ-პეტერბურგი, 2006. 272 გვ.

6. იუჟანინი ვ.ე., გორბან დ.ვ. - თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის პროგრესული სისტემის პრინციპი, . 2017. №2. გვ. 123–134.

პროფესიული უსაფრთხოების მართვა საოფისე სექტორში: ქრონიკული დაავადებების პრევენციის კონტექსტში

Occupational Safety Management in the Office Sector: The Context of NCDs Prevention

ნათია ქუთათლაძე
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
Natia Kutateladze
Master of Public Health

აბსტრაქტი. საქართველოს საოფისე სექტორში პროფესიული უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის საკითხი დღეს ერთ-ერთ აქტუალურ გამოწვევად რჩება. არასათანადო სამუშაო გარემო ზრდის ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs) განვითარების რისკს. ნაშრომის მიზანია საოფისე გარემოში არსებული პროფესიული რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი გავლენის ანალიზი, რათა შეფასდეს, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული უსაფრთხოების მართვის სისტემები NCDs-ის პრევენციას. კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზს, ასევე დასაქმებულთა გამოკითხვას. კვლევამ აჩვენა, რომ ძირითადი რისკ-ფაქტორები - ხანგრძლივი მჯდომარე სამუშაო, ფსიქოსოციალური სტრესი და არასათანადო ერგონომიკა - მნიშვნელოვნად ემთხვევა ქრონიკული არაგადამდები დაავადებების წამყვან რისკებს. ამასთან, გამოვლინდა ხარვეზები პროფესიული უსაფრთხოების მართვის სისტემებსა და ტრენინგებზე ხელმისაწვდომობაში. დასკვნის შესაბამისად, აუცილებელია პროფესიული უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვა და პრევენციული მიდგომების ინტეგრირება, რომლებიც სისტემურად უპასუხებს ერგონომიკულ, ფსიქოსოციალურ და ორგანიზაციულ რისკებს. ეს ცვლილებები მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, ისე საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული უსაფრთხოება, საოფისე სექტორი, ქრონიკული დაავადებები, ერგონომიკა, ფსიქოსოციალური რისკები, ჯანმრთელობის პრევენცია

Abstract. The issue of occupational safety and efficiency in Georgia's office sector remains a pressing challenge. An inadequate work environment increases the risk of developing non-communicable diseases (NCDs). This paper analyzes professional risks in the office to assess how safety management systems prevent NCDs. The research is based on a mixed methodology, which includes an analysis of national legislation and international standards, as well as a survey of employees. The study revealed that the primary risk factors - prolonged sedentary work, psychosocial stress, and poor ergonomics - are significantly consistent with the leading risk factors for cardiovascular diseases. Furthermore, shortcomings were identified in occupational safety management systems and access to relevant training. In conclusion, it is necessary to revise occupational safety policies and integrate preventive approaches that systematically address ergonomic, psychosocial, and organizational risks. These changes are critical for both improving individual health and ensuring the sustainability of public health.

Keywords: Occupational safety, office sector, chronic diseases, ergonomics, psychosocial risks, health prevention.

შესავალი

პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (OSH) სამუშაო გარემოს მდგრადი განვითარების ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას. თანამედროვე გამოწვევების ფონზე, OSH-ის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs) მზარდი გლობალური ტვირთის გათვალისწინებით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO 2024 December 23) მონაცემებით, NCDs გლობალური სიკვდილიანობის დაახლოებით 75%-ს იწვევს, რაც მათ საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმთავრეს გამოწვევად აქცევს. აღსანიშნავია, რომ NCDs-ის გამომწვევი ძირითადი რისკ-ფაქტორები - როგორიცაა ფიზიკური აქტივობის ნაკლებობა, სტრესი, არაჯანსაღი კვება და ერგონომიკული პრობლემები - ხშირად თანხვედრაში მოდის თანამედროვე სამუშაო გარემოში, განსაკუთრებით კი საოფისე სექტორში არსებულ საფრთხეებთან. ამდენად, თუ პროფესიული უსაფრთხოების მართვის მიდგომები საოფისე გარემოში ამ რისკ-ფაქტორების შემცირებაზე იქნება მიმართული, ეს პირდაპირ აისახება NCDs-ის პრევენციაზე და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ტვირთის შემსუბუქებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს

კანონმდებლობითა და სხვა მრავალი რეგულაციით საოფისე სექტორი ტრადიციულად დაბალი რისკის ჯგუფად მიიჩნევა, ეს შეფასება ძირითადად მწვავე ტრავმებისა და უშუალო ფიზიკური დაზიანებების რისკს ეფუძნება. თუმცა, იგი ნაკლებად ითვალისწინებს ჯანმრთელობის გრძელვადიან, ფარულ საფრთხეებს, რომლებიც დროთა განმავლობაში ვლინდება და არ არის დაკავშირებული მყისიერ, თვალსაჩინო ინციდენტებთან. საოფისე საქმიანობა, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივი მჯდომარე მდგომარეობით, ფიზიკური ინაქტიურობით, არასათანადო ერგონომიკით (მაგ., მონიტორის სიმაღლე, სკამის პოზიცია), თვალის გადაღლითა და მაღალი სტრესის დონით, წარმოადგენს მნიშვნელოვან, მაგრამ ხშირად შეუმჩნეველ რისკ-ფაქტორებს. ამგვარი მუდმივი კუმულირებული ზემოქმედება პირდაპირ ზრდის ქრონიკული არაგადამდები დაავადებების განვითარების ალბათობას. შესაბამისად, ამ მრავალმხრივი რისკ-ფაქტორების ეფექტიანი მართვა მოითხოვს არა მხოლოდ ინდივიდუალურ (დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება), არამედ ორგანიზაციულ და სისტემურ ჩარევებს, რომლებიც მოიცავს სამუშაო გარემოს დიზაინს.

პროფესიული უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო სისტემები, როგორიცაა ILO-OSH 2001 და ISO 45001, უზრუნველყოფენ ყოვლისმომცველ ჩარჩოს ამ გამოწვევების სამართავად, მაგრამ მათი სრული პოტენციალის რეალიზება საოფისე სექტორის სპეციფიკური საჭიროებების მიმართ, განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების პრევენციის კუთხით, კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება და დამატებით ადაპტაციას საჭიროებს.

წინამდებარე სტატია ეფუძნება **რაოდენობრივ კვლევას**, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ საოფისე გარემოში არსებული რისკ-ფაქტორები მნიშვნელოვნად ზრდის **ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs)** განვითარების ალბათობას. შესაბამისად, სტატიის მიზანია შეაფასოს საქართველოს საოფისე სექტორში **პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვის არსებული პრაქტიკები** და გამოავლინოს მათი **ეფექტიანობა NCDs-ის პრევენციის** კონტექსტში.

ამ მიზნის მისაღწევად, დაისახა შემდეგი **ამოცანები:**

- ✓ პროფესიული უსაფრთხოების მართვის სისტემებისა და საერთაშორისო სტანდარტების თეორიული ანალიზი;
- ✓ საოფისე სექტორში NCDs-ის გამომწვევი რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება;
- ✓ საქართველოში პროფესიული უსაფრთხოების მართვის პრაქტიკების შეფასება;
- ✓ პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება NCDs-ის პრევენციისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო ჩარჩო

პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვის სისტემების თეორიული ჩარჩოს განხილვისას, უმნიშვნელოვანესია ორი მთავარი საერთაშორისო დოკუმენტის, ILO-OSH 2001-ისა და ISO 45001-ის, ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას ემსახურება, მათ შორის არსებობს განსხვავებები. ILO-OSH 2001 არის ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო, რომელიც განსაკუთრებით ხაზს უსვამს თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის ღია კომუნიკაციას და აქტიურ ჩართულობას. მისგან განსხვავებით, ISO 45001 არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც აწესებს მკაცრ მოთხოვნებს და მისი შესაბამისობა შესაძლებელია ოფიციალურად დადასტურებული იყოს გარე აუდიტის და სერტიფიცირების მეშვეობით. ISO 45001 ასევე უპირატესობას ანიჭებს სხვა ISO სტანდარტებთან (მაგ., ხარისხის ან გარემოს მართვის) ინტეგრირებას, რაც ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს შექმნან ერთიანი და ყოვლისმომცველი მართვის სისტემა. მიუხედავად განსხვავებებისა, ორივე

დოკუმენტის საფუძველს უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპი წარმოადგენს, რომელიც **დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე (PDCA)** ციკლის სახით არის წარმოდგენილი. ეს ციკლი უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციები მუდმივად აუმჯობესებდნენ თავიანთ მიდგომებს ყველა სახის პროფესიული რისკის სამართავად. **ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs) პრევენციის კონტექსტში, ამ ციკლის გამოყენება საოფისე სექტორში კონკრეტული მაგალითებით შეიძლება განვიხილოთ:**

- **დაგეგმე (Plan)** - ამ ეტაპზე ხდება NCDs-თან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და შეფასება, ასევე პრევენციული მიზნების დასახვა.

მაგალითი საოფისე გარემოდან: ორგანიზაცია ატარებს გამოკითხვას თანამშრომლებში სტრესის დონის, ფიზიკური აქტივობის ჩვევებისა და ერგონომიული პრობლემების შესახებ. მიღებული მონაცემების საფუძველზე, დასახავს მიზანს, მაგალითად, „სამუშაო საათებში ფიზიკურად აქტიური შესვენებების რაოდენობის 20%-ით გაზრდა მომდევნო 6 თვეში“, ან „კომპანიის მასშტაბით სტრესის დონის შემცირება 15%-ით“.

- **განახორციელე (Do)** - დაგეგმილი ღონისძიებები ხორციელდება.

მაგალითი საოფისე გარემოდან: ორგანიზაცია ნერგავს „აქტიური შესვენებების“ პროგრამას, რომელიც მოიცავს მოკლე ვარჯიშების ვიდეოებს, აწყობს სტრესის მართვის ვებინარებს ფსიქოლოგების ჩართულობით, აუმჯობესებს სამზარეულოს სივრცეში ჯანსაღი კვების ვარიანტებს, და უზრუნველყოფს, რომ თანამშრომლებს ჰქონდეთ რეგულირებადი სკამები და მაგიდები.

- **შეამოწმე (Check)** - განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება დასახულ მიზნებთან მიმართებაში.

მაგალითი საოფისე გარემოდან: 6 თვის შემდეგ კვლავ ტარდება ანალოგიური გამოკითხვა თანამშრომლებში ფიზიკური აქტივობის, სტრესის დონისა და კეთილდღეობის შესახებ. აფასებენ ტრენინგებზე დასწრებას, ერგონომიული აღჭურვილობის გამოყენებას და მისი ეფექტიანობას. ასევე, შესაძლოა, დააკვირდნენ სამუშაოდან გაცდენების ან ავადმყოფობის შემთხვევების ცვლილებას NCDs-თან დაკავშირებული მიზეზების გამო.

- **იმოქმედე (Act)** - მიღებული მონაცემების საფუძველზე ხდება დასკვნების გამოტანა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ან დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

მაგალითი საოფისე გარემოდან: თუ ფიზიკური აქტივობის ზრდა არ იყო საკმარისი, ორგანიზაცია გადაწყვეტს დამატებითი წახალისების პროგრამების დანერგვას, მაგალითად, ნაბიჯების დათვლის კონკურსებს ან სავარჯიშო დარბაზის ვაუჩერებს. თუ სტრესის დონე კვლავ მაღალია, განიხილავენ სამუშაო დატვირთვის გადანაწილებას ან ლიდერებისთვის დამატებითი ტრენინგების ჩატარებას. ამგვარად, როგორც ILO-OSH 2001, ისე ISO 45001 წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომლებიც ეფექტიანად შეიძლება იქნას გამოყენებული საოფისე სექტორში არა მხოლოდ მყისიერი სამუშაო ინციდენტების პრევენციისთვის, არამედ იმ ფარული, გრძელვადიანი რისკების სამართავად, რომლებიც ქრონიკული არაგადამდები დაავადებების განვითარებას უწყობს ხელს.

საქართველოს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს. კანონმდებლობის მთავარი მიზანია დასაქმებულთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა. ის ასევე ხელს უწყობს სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას და

დამსაქმებლისა და დასაქმებულის პასუხისმგებლობების გამიჯვნას. მთავარი კანონი არის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი (2019), რომელიც ადგენს უსაფრთხოების პრინციპებს, არეგულირებს მაღალი რისკის საქმიანობებს და ავალდებულებს დამსაქმებელს, შეაფასოს რისკები, დაგეგმოს პრევენციული ღონისძიებები და უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო. კანონი ასევე განსაზღვრავს სახელმწიფო შრომის ინსპექციის, როგორც შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობისა და კონტროლის ცენტრალური ორგანოს, უფლებამოსილებებს.

ვინაიდან ქართული კანონმდებლობა საოფისე გარემოს დაბალი რისკის ჯგუფად განიხილავს,(დადგენილება №80 (2020წ) რისკების მართვა ძირითადად მინიმალურ მოთხოვნებზეა ფოკუსირებული. ეს მოთხოვნები უპირატესად მყისიერი უბედური შემთხვევების თავიდან აცილებაზეა ორიენტირებული და არასაკმარისად ითვალისწინებს **ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs)** განვითარების ფარულ და გრძელვადიან რისკებს. მიუხედავად ამ თავისებურებისა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობა უსაფრთხოების სისტემური მართვისა და პრევენციული ზომების გატარების თვალსაზრისით უცვლელია.

- **ერგონომიკული ფაქტორები**: კანონი განსაზღვრავს სამუშაო ადგილის მოწყობის ზოგად პრინციპებს, თუმცა ერგონომიული შეფასება და ადაპტაცია მკაფიოდ არ არის გაწერილი.
- **ფსიქოსოციალური რისკები**: კანონმდებლობა ზოგადად ითვალისწინებს ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფას, თუმცა ფსიქოსოციალური რისკების მართვის მექანიზმები ნაკლებადაა განსაზღვრული
- **გარემოს ფიზიკური ფაქტორები**: კანონი განსაზღვრავს ზოგად ნორმებს - მაგალითად, ტემპერატურა, ტენიანობა, ვენტილაცია, განათება, ხმაური. მაგრამ პრაქტიკაში ეს ხშირად მინიმალურ სტანდარტებს უკავშირდება და არა ოპტიმალურ, მუდმივ კონტროლს, რომელიც გრძელვადიან ჯანმრთელობას უზრუნველყოფს.

ამდენად, ქართული კანონმდებლობა წარმოადგენს უსაფრთხოების მართვის აუცილებელ საფუძველს. თუმცა, ვინაიდან მისი მოთხოვნები ძირითადად მწვავე ტრავმების პრევენციაზეა ფოკუსირებული, ეს ქმნის სერიოზულ გამოწვევებს **ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs)** ეფექტიან მართვაში. აღნიშნული საკითხი მოითხოვს უფრო სიღრმისეულ კვლევასა და ადაპტირებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს.

ინტელექტუალური შრომის ფიზიოლოგია

ოფისში მომუშავე პერსონალის საქმიანობა მოითხოვს ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, ანალიზს, გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისი მოქმედებების შესრულებას. ეს პროცესი ხორციელდება აღქმის, ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების და ემოციური რეგულაციის სისტემების ინტენსიური ჩართულობით. გონებრივი შრომის ძირითადი ფორმები საოფისე გარემოში მოიცავს მმართველობით, ადმინისტრაციულ, ანალიტიკურ და კრეატიულ საქმიანობას. მათი განსხვავება მდგომარეობს შრომის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, კოგნიტიური დატვირთვის ხარისხში, ემოციური დაძაბულობის დონესა და პასუხისმგებლობის სახეში. საოფისე შრომის დროს ორგანიზმში პირველი ფუნქციური ცვლილებები ვითარდება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში (ცნს), სადაც აქტიურდება კოგნიტიური პროცესები: აღქმა, ყურადღება და მეხსიერება. გონებრივი დატვირთვის პროცესს ფაზური ხასიათი ახასიათებს: სამუშაოს დასაწყისში აღინიშნება ფსიქოფიზიოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესება, რაც მოიცავს გაზრდილ ყურადღებას, ინფორმაციის დამახსოვრების უნარს, გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფესა და პროფესიულ პროდუქტიულობას. თუმცა, ხანგრძლივი და ინტენსიური გონებრივი შრომა იწვევს ფუნქციური

მდგომარეობის გაუარესებას - კლებულობს ყურადღების მოცულობა და კონცენტრაცია, იზრდება შეცდომების რაოდენობა და ზოგადი შრომისუნარიანობა ქვეითდება. გონებრივი შრომის ნეიროფიზიოლოგიური ეფექტები მოიცავს თავის ტვინის სისხლმომარაგების გაძლიერებასა და ბიოელექტრული აქტივობის ცვლილებებს. მსგავს შრომასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური დატვირთვა მნიშვნელოვნად აისახება არა მხოლოდ ცნს-ის, არამედ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობაზე. შესაბამისი მონიტორინგით დადგენილია, რომ ინტენსიური გონებრივი შრომის (მაგ., საჯარო პრეზენტაციების, მოლაპარაკებების ან ანალიტიკური შეხვედრების) დროს იზრდება გულის პულსის სიხშირე და პარკუჭოვანი ექსტრასისტოლიების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ტვინი, რომელიც შეადგენს სხეულის მასის მხოლოდ 2–2.5%-ს, გონებრივი შრომის დროს მოიხმარს ორგანიზმის საერთო ენერგიის დაახლოებით 15–20%-ს. კერძოდ, 100 გრამი თავის ტვინის ქერქის ქსოვილი მოიხმარს 5-6-ჯერ მეტ ჟანგბადს, ვიდრე იგივე მასის კუნთოვანი ქსოვილი მაქსიმალური ფიზიკური დატვირთვისას. ეს ფაქტი განსაკუთრებით რელევანტურია საოფისე შრომისთვის, სადაც ტვინის ფუნქციური აქტივობა განსაზღვრავს მუშაობის შედეგიანობას. (კვერენჩხილაძე, რ. (2013). *შრომის ჰიგიენა*)

მჯდომარე ცხოვრების წესი და მისი ჯანმრთელობის რისკები

საოფისე სექტორში დასაქმებულთა სამუშაო პროცესს ძირითადად მჯდომარე საქმიანობა განსაზღვრავს, რაც **მჯდომარე ცხოვრების წესის დამკვიდრებას იწვევს** და ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ ფაქტორს წარმოადგენს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO 2024) მონაცემებით, ფიზიკური აქტივობის დეფიციტი მიიჩნევა ერთ-ერთ მთავარ გლობალურ ჯანდაცვის გამოწვევად და დაკავშირებულია ისეთი ქრონიკული დაავადებების განვითარების მაღალ რისკთან, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, დიაბეტი ტიპი 2, სიმსუქნე და ზოგიერთი სახის სიმსივნე (WHO, 2024).

- **კისრის ტკივილი:** 2025 წელს გამოქვეყნებული სისტემატური მიმოხილვის თანახმად, დღეში 6 საათზე მეტი დროით მჯდომარე მუშაობა მნიშვნელოვნად ზრდის კისრის ტკივილის განვითარების რისკს. კვლევამ, რომელიც 25 სხვადასხვა კვლევას მოიცავდა 43,000-ზე მეტი მონაწილით 13 ქვეყნიდან, დაადგინა, რომ დღეში 4 საათის განმავლობაში ჯდომა 45%-ით, ხოლო 6 საათზე მეტი ხნით - 88%-ით ზრდის კისრის ტკივილის განვითარების რისკს იმ პირებთან შედარებით, ვისაც არ უწევს ამ პოზიციაში ყოფნა.
- **გულ-სისხლძარღვთა დაავადებები:** მჯდომარე მდგომარეობაში გატარებული დრო პირდაპირ კავშირშია **გულ-სისხლძარღვთა დაავადებების** განვითარების რისკის მატებასთან. ავსტრალიელი მეცნიერების, დევიდ დანსტანისა და მისი კოლეგების (Dunstan et al., 2010) კვლევის მიხედვით, მჯდომარე ქცევა ზრდის საერთო სიკვდილიანობას 16%-ით და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილიანობას 34%-ით. ეს რისკი შენარჩუნებულია მაშინაც კი, თუ ინდივიდი რეკომენდებულ ფიზიკურ აქტივობას ასრულებს, რაც ხაზს უსვამს მჯდომარე ქცევის დამოუკიდებელ ზეგავლენას. 2024 წელს გამოქვეყნებულმა მასშტაბურმა კვლევამ დაადასტურა, რომ დღეში საშუალოდ 10.6 საათზე მეტი ჯდომა 40-60%-ით ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებისა და სიკვდილიანობის რისკს (Harvard Gazette, 2024).
- **მეტაბოლური სინდრომი:** მჯდომარე ცხოვრების წესი მჭიდრო კავშირშია მეტაბოლური სინდრომის განვითარების რისკის ზრდასთან. Patel და თანაავტორების მიერ BMC Public Health-ში გამოქვეყნებული კვლევის (2016) თანახმად, ≥ 30-წუთიანი უწყვეტი მჯდომარე პერიოდები 2.4-დან 2.8-ჯერ ზრდის მეტაბოლური სინდრომის განვითარების რისკს. LWW Journals-ში 2024 წელს გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დღეში 6 საათზე მეტი მჯდომარე ქცევა ორჯერ

ზრდის მეტაბოლური სინდრომის განვითარების რისკს. აღსანიშნავია, რომ Nature Scientific Reports-ში გამოქვეყნებულმა კვლევამ (2024) ასევე გამოავლინა, რომ მჯდომარე ქცევის შემცირება აუმჯობესებს ლიპიდურ პროფილს. National Institute of Health-ის (2024) კვლევები ადასტურებს, რომ მჯდომარე ქცევა, მიუხედავად ფიზიკური აქტივობის დონისა, დამოუკიდებლად ზრდის მეტაბოლური სინდრომის რისკს 73%-ით.

ფიზიკური და ვიზუალური პრობლემები საოფისე გარემოში

- **მაჯის არხის სინდრომი (CTS):** CTS ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარღვევაა, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერისა და სხვა დისტანციური მოწყობილობების გამოყენებასთან. დუნდარის და თანაავტორების (Dundar et al.) მიერ 2021 წელს ჟურნალ Journal of Occupational Health-ში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, რომელიც იზმირის საავადმყოფოში ჩატარდა, 151 თანამშრომლის 74.1%-ს მაჯის არხის სინდრომის სიმპტომები აღენიშნებოდა. კვლევამ დაადასტურა, რომ CTS პირდაპირ უკავშირდება სამუშაო საათების რაოდენობას, მაუსის გამოყენების ხანგრძლივობას და მაჯის არასწორ ერგონომიკას.
- **მშრალი თვალის სინდრომი:** Van Tilborg და თანაავტორების (2015) მიერ განხორციელებული კვლევის მიზანი იყო შეესწავლათ მშრალი თვალის სინდრომისა და საოფისე გარემოს პირობების (დაბალი ფარდობითი ტენიანობა, ჰაერის ნაკადი და ვიზუალური დატვირთვა) გავლენა ოფისის თანამშრომელთა მხედველობაზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მშრალი თვალის სინდრომი ოფისის თანამშრომლებში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს სამუშაოს შესრულებას და თვალის ფიზიოლოგიურ კომფორტს. სიმპტომები, როგორიცაა თვალის დაღლილობა, წვა, უცხო სხეულის შეგრძნება და დროებითი დაბინდვა, პირდაპირ აისახება სამუშაოს სიზუსტესა და პროდუქტიულობაზე.

ფსიქოსოციალური რისკები და მენტალური ჯანმრთელობა

- თანამედროვე საოფისე სექტორში პროფესიული უსაფრთხოების პოლიტიკა სულ უფრო ხშირად აერთიანებს **მენტალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებს**. როულის (Rowley, 2024) ანალიტიკური მიმოხილვის თანახმად, **მენტალური ჯანმრთელობა საოფისე გარემოში ყველაზე აქტუალური პრობლემაა**. ეს გამოწვეულია სამუშაო სტრესით, არასათანადო მიკროკლიმატითა და კომუნიკაციის დეფიციტით. კვლევის ავტორი ხაზს უსვამს, რომ მენტალური ჯანმრთელობის უგულებელყოფა გავლენას ახდენს როგორც შრომის პროდუქტიულობაზე, ისე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე.
- **მენტალური დარღვევები და ეკონომიკური ზარალი:** მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის (WHO 2024, September) თანახმად, სამუშაო ასაკის მქონე ზრდასრულთა დაახლოებით 15% მკურნალობს ფსიქიკურ დარღვევებს. ამასთან, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მნიშვნელოვნად ზრდის სამუშაოს გაცდენილ დღეებს, რადგან დეპრესია და შფოთვა ყოველწლიურად იწვევს 12 მილიარდ სამუშაო დღის დაკარგვას და 1 ტრილიონ აშშ დოლარამდე ზარალს მსოფლიო ეკონომიკაში.
- **სტრესი COVID-19 პერიოდში:** ევროპაში, EU-OSHA-ს (2022) კვლევის თანახმად, დასაქმებულების დაახლოებით 44% მიიჩნევს, რომ მათი პროფესიული სტრესი COVID-19-ის პერიოდში გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად აისახა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.
- **ფსიქოსოციალური რისკები და პირადი ცხოვრება:** შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO, 2023) მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, პროფესიული ფსიქოსოციალური რისკები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ დასაქმებულების პროდუქტიულობაზე, არამედ პირად ცხოვრებაზეც. მაგალითად, დასაქმებულთა 54% ვარაუდობს, რომ პროფესიული სტრესი უარყოფით გავლენას ახდენს მათ პირად ცხოვრებაზე (ILO, 2023).

ორგანიზაციული ინტერვენციები და ჯანმრთელობის ხელშეწყობა

შვედეთში ჩატარებულმა კვლევამ (Fjellström et al., 2023) აჩვენა, რომ ოფისური კომპანიები ჯანმრთელობის ხელშეწყობის სერვისებს მნიშვნელოვან ინვესტიციად აღიარებენ. ეს გამოიხატება **Wellness allowance-ის** გამოყენების მაღალი მაჩვენებლით (29%-დან 84%-მდე) და მნიშვნელოვანი წლიური დანახარჯებით. Tompa-სა და თანაავტორების (2023) სისტემური მიმოხილვა მიუთითებს, რომ რეგულარული ჩარევები, როგორიცაა ინსპექციები, სანქციები, ინფორმაციის მიწოდება და ტრენინგები, დადებითად მოქმედებს სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე. თუმცა, აღნიშნული კვლევა ხაზს უსვამს **მტკიცებულებების ნაკლებობას** ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტრენინგები და მარეგულირებელი სტანდარტების ფორმულირება, რაც დამატებითი კვლევების საჭიროებაზე მიუთითებს.

პროფესიული დაავადებების იდენტიფიცირების გამოწვევები საქართველოში

2023 წლის პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში სამუშაო ადგილზე (ყველა სექტორში) გარდაიცვალა 34 და დაშავდა 347 დასაქმებული (95 მძიმე და 252 საშუალო დაზიანებით). სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი 34 პირი მამაკაცია, ხოლო დაშავებულთაგან - 100 ქალი და 247 კაცი. აღნიშნული სტატისტიკა ეფუძნება მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომელზეც გამოძიება დაიწყო, რაც მიუთითებს, რომ რეალური მაჩვენებლები შესაძლოა უფრო მაღალი იყოს.

ამასთანავე, მდგომარეობას ამძიმებს ფაქტი, რომ საოფისე სექტორში დაავადების შემთხვევაში პროფესიული პათოლოგიის დადგენა წარმოადგენს სამართლებრივად რთულ და კომპლექსურ პროცედურას. საზოგადოებაში ამ საკითხის ირგვლივ ინფორმირებულობის ნაკლებობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში. დასაქმებულთა უმეტესობას ვერ წარმოუდგენია, რომ დაავადების პროვოცირება შესაძლოა უშუალოდ მათ საქმიანობას უკავშირდებოდეს. სწორედ ამიტომ, საოფისე სექტორში, სადაც რისკები შედარებით დაბალია, არ არის შესაბამისად გააზრებული და აღიარებული ჯანმრთელობის ის დარღვევები, რომლებიც განპირობებულია არასწორი სამუშაო პირობებით.

კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა **რაოდენობრივი აღწერითი მეთოდით**, ონლაინ გამოკითხვის გზით, რათა გაანალიზებულიყო დასაქმებულთა სამუშაო პირობები (ფიზიკური, ფსიქოემოციური და ორგანიზაციული). კვლევის ინსტრუმენტი იყო Google Forms-ის პლატფორმაზე შედგენილი სტრუქტურირებული კითხვარი.

კითხვარი მიზნად ისახავდა შემდეგი საკითხების შესწავლას:

- სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და სამუშაო რეჟიმი;
- შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის არსებობა, ტრენინგებისა და ინფორმირებულობის დონე და თანამშრომელთა ჩართულობა შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტში.
- სამუშაო გარემოს უსაფრთხოების თვითშეფასება და პროფესიულ ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფითი გავლენის გამოვლენა;
- პროფესიული სტრესის გამომწვევი ფაქტორები

გამოკითხვა განხორციელდა 2025 წლის მარტში, 150 რესპონდენტის მონაწილეობით. კითხვარი გავრცელდა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფებში, რაც უზრუნველყოფდა მონაცემების გეოგრაფიულ წარმომადგენლობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მონაცემთა ანალიზი მოიცავდა სიხშირეებისა და პროცენტული გადანაწილებების გამოთვლას

Microsoft Excel-ის გამოყენებით. კვლევის ეთიკური ჩარჩო სრულად იყო დაცული: მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო და კონფიდენციალობა უზრუნველყოფილი.

კვლევის შედეგები და ანალიზი

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ძირითადი თემატური პუნქტების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ როგორ უკავშირდება საოფისე სექტორში შრომის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs) პრევენციის პრაქტიკებს. გაანალიზდა შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემის არსებობა ორგანიზაციებში, ტრენინგების ხელმისაწვდომობა, დასაქმებულთა ინფორმირებულობის დონე და შიდა რეგულაციები, რომლებიც მოიცავს აქტიურ შესვენებებსა და სხვა პრევენციულ ღონისძიებებს. აღნიშნული მაჩვენებლები განხილულ იქნა როგორც მთლიანობაში, ისე შერჩეული დემოგრაფიული ჯგუფების ჭრილში (ასაკი, სამუშაო გამოცდილება, რეგიონი), რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს განსხვავებები რისკების აღქმასა და პრევენციულ პრაქტიკებში და, შესაბამისად, დაიგეგმოს მიზანმიმართული ჩარევები.

ცხრილი N1 რესპონდენტების სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები.

(წყარო: ავტორის მიერ შედგენილი, საკუთარი კვლევის საფუძველზე (2025წ))

მახასიათებელი	კატეგორია	რესპოდენტთა რაოდენობა (სულ 150)	პროცენტი %
სქესი	ქალი	98	65.3
	მამაკაცი	52	34.7
ასაკი	16-250	48	32.0
	26-35	31	20.7
	36-45	38	25.3
	46-55	21	14.0
	56 და ზემოთ	12	8.0
განათლება	საშუალო	18	12
	პროფესიული	21	14
	უმაღლესი	111	74
რეგიონი	თბილისი	58	37.7
	იმერეთი	38	25.3
	აჭარა	14	9.3
	ქართლი	12	8
	კახეთი	11	7.3
	გურია	10	6.7
	სამეგრელო-ზემო სვანეთი	7	4.7

საინტერესოა სქესის კორელაცია სამუშაო ადგილზე სტრესის არსებობის მაჩვენებლის თვალსაზრისით, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ, გამოჩნდება თუ არა რაიმე ტენდენცია სტრესის განსხვავებულ აღქმასა და გავრცელებას შორის მამაკაც და ქალ რესპონდენტებში. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, ქალ-რესპონდენტებში სამუშაო სტრესის

მუდმივად არსებობას აღნიშნავდა 28 გამოკითხული (28.6%), ხოლო კაც რესპონდენტებში იგივე პასუხი ჰქონდა მხოლოდ 9 რესპონდენტს (17.3%). სტრესს ზოგჯერ განიცდის 40 ქალი (40.8%) და 27 კაცი (51.9%), იშვიათად — 21 ქალი (21.4%) და 9 კაცი (17.3%), ხოლო სტრესის არარსებობას მხოლოდ 9 ქალი (9.2%) და 7 კაცი (13.5%) აღნიშნავს *(დიაგრამა 1).*



დიაგრამა 1. რისკის ფაქტორის დადასტურების მაჩვენებელი სქესის გათვალისწინებით

(წყარო: ავტორის მიერ შედგენილი, საკუთარი კვლევის საფუძველზე (2025წ)

სტრესის სუბიექტური შეფასების მონაცემების საფუძველზე აგებულ იქნა სვეტოვანი დიაგრამა, რომელიც ასახავს საშუალო სტრესის დონეს სქესის მიხედვით. ვიზუალურად გამოვლინდა, რომ ქალების ჯგუფში სტრესის საშუალო მაჩვენებელი ოდნავ მაღალია (M = 1.89), ვიდრე კაცების ჯგუფში (M = 1.73).

ჯანმრთელობის დარღვევების მქონე თანამშრომლების, სამუშაო სტაჟის მიხედვით, ყველაზე დიდი წილი - 42.2% მოდიოდა 10 წელზე მეტი გამოცდილების მქონე თანამშრომლებზე, რაც მიანიშნებს ხანგრძლივი პროფესიული ზემოქმედების რისკზე. მათ შემდეგ იყო 2–5 წ.წ. სტაჟის მქონე პირები - 31.3% (რაც შეიძლება ჩაითვალოს ადაპტაციური მექანიზმების დაძაბვის გამოვლინებად), შედარებით მცირე რაოდენობით იყო 6 – 10 წლის სტაჟის მქონე რესპოდენტები - 20.3% და კიდევ უფრო მცირე - 0 –1 წლამდე თანამშრომლები - 6.3% *(დიაგრამა 2).*



დიაგრამა 2. ჯანმრთელობის ეფექტების გავრცელება სამუშაო სტაჟის მიხედვით

(წყარო: ავტორის მიერ შედგენილი, საკუთარი კვლევის საფუძველზე (2025წ))

კვლევით გამოვლინდა, რომ 10 წელზე მეტი სამუშაო სტაჟის მქონე გამოკითხულთა 93.1% (29 ადამიანიდან 27) მიუთითებდა ჯანმრთელობის დარღვევების დიაგნოსტირებულ შემთხვევებზე რაც, ვფიქრობთ, უკავშირდება სამუშაო გარემოსა და პირობებს. 1 წლამდე სამუშაო სტაჟის მქონე ჯგუფში ასეთი შემთხვევები შეგვხვდა მხოლოდ 14.3% (4 ადამიანი 28-დან); 2–5 წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე რესპონდენტებში - 37.7% (53 ადამიანიდან 20);ხოლო 6–10 წლიანი სტაჟის მქონე რესპონდენტებში-32.5%(40 ადამიანიდან 13) *(დიაგრამა 3).*



დიაგრამა 3. ჯანმრთელობის მდგომარეობის განაწილება სამუშაო სტაჟის მიხედვით ***(წყარო: ავტორის მიერ შედგენილი, საკუთარი კვლევის საფუძველზე (2025წ))***

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საოფისე სექტორში დასაქმებულთა 38.7%-ს (58 რესპოდენტი) აღენიშნება ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები, რომლებიც მათი შეფასებით შესაძლოა უკავშირდებოდეს სამუშაო პირობებს. დანარჩენი 61.3%(92 რესპოდენტი) არ ხედავდა კავშირს ჯანმრთელობასა და სამუშაო გარემოს შორის. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 2/3 სტაციონალურ ოფისში მუშაობდა და ნახევარზე მეტმა (53.3%) დაადასტურა მუშაობა უსაფრთხო სამუშაო გარემოში. ამასთან, 61.3% არ უკავშირებდა თავის ჯანმრთელობის პრობლემებს სამუშაო გარემოს. მიუხედავად ამისა მათი 93.5% (92 რესპოდენტი) სხვადასხვა ინტენსივობით მაინც განიცდიდა ფიზიკურ დისკომფორტს სამუშაო პროცესში. კერძოდ, 17,4% (16 რესპონდენტი) - ხშირად, 50,0% (46) - ხანდახან, ხოლო 26,1% (24) - იშვიათად. მხოლოდ 6%-მა (6 პირი) მიუთითა, რომ არასოდეს უგრძვნია ფიზიკური დისკომფორტი *(დიაგრამა 4).*



დიაგრამა 4. დისკომფორტის გავრცელება იმ რესპონდენტებში, რომლებიც ჯანმრთელობის პრობლემას არ უკავშირებენ სამუშაო პირობებს ***(წყარო: ავტორის მიერ შედგენილი, საკუთარი კვლევის საფუძველზე (2025წ))***

იმ რესპონდენტთა აღქმით, რომლებმაც მიუთითეს ჯანმრთელობის ისეთი დარღვევების არსებობა, რაც შესაძლოა პროფესიულ გარემოს უკავშირდებოდეს (ხერხემლის, მხედველობის ან ნერვული სისტემის დარღვევები), 38.7% (150 დან 58 რესპოდენტი) საკმაოდ მაღალია სუბიექტურად აღქმული დისკომფორტის დონე სამუშაო პროცესში. კერძოდ, ამ ჯგუფის 39.7% (23 ადამიანი) აღნიშნავდა, რომ დისკომფორტს ხშირად განიცდიდა, 53.4% (31 ადამიანი) დისკომფორტი ჰქონდათ ხანდახან, ხოლო მხოლოდ 6.9% (4 ადამიანი) - იშვიათად. არც ერთ რესპონდენტს არ მიუთითებია, რომ არასდროს განიცდიდა მუშაობისას ფიზიკურ დისკომფორტს.

შედეგები გვაფიქრებინებს, რომ დასაქმებულთა გარკვეული ნაწილი ვერ აცნობიერებს ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სამუშაო გარემოს შორის შესაძლო კავშირს. ეს, თავის მხრივ, შესაძლოა, მიუთითებდეს როგორც პროფესიული საფრთხეებისა და რისკების შესახებ, ისე ამ საფრთხეების ჯანმრთელობაზე გავლენის შესახებ ინფორმირების დაბალ დონეზე. აგრეთვე, საკუთარი უფლებების განზრახ უგულებელყოფაზე, სოციალური კონტექსტით განპირობებული „მორიდების“ ან კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებულ

ყურადღებას საჭიროებს პრევენციული მართვის კუთხით, რადგან **ქრონიკული დისკომფორტი დროთა განმავლობაში შეიძლება გადაიზარდოს პროფესიასთან დაკავშირებულ ქრონიკულ არაგადამდებ დაავადებაში (NCDs).** კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა 39.3%-ს (59 რესპონდენტი) ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა ჰქონდა, 33.3%-ს (50 რესპონდენტი) არ ჰქონდა, ხოლო 27.3%-ს (41 რესპონდენტი) ამ საკითხზე ინფორმაცია არ გააჩნდა. ტრენინგების მიმართულებით მონაცემები კიდევ უფრო პრობლემურია: ბოლო 12 თვეში პროფესიული უსაფრთხოების ტრენინგში მხოლოდ 16.7%-მა მიიღო მონაწილეობა, მაშინ როცა 83.3%-ს მსგავსი გამოცდილება არ ჰქონია. სისტემის მქონე ორგანიზაციებშიც კი ტრენინგში ჩართული იყო მხოლოდ 42.4% (25 რესპონდენტი), რაც მიუთითებს, რომ სისტემა ხშირ შემთხვევაში ფორმალურად არსებობს და პრაქტიკაში სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს.

დასაქმებულთა ჩართულობაც მნიშვნელოვნად დაბალია: რესპონდენტთა 54%-მა საკუთარი მონაწილეობა უსაფრთხოების საკითხებში მინიმალურ დონეზე შეაფასა, ხოლო 16.7%-მა - ოდნავ მაღალი, მაგრამ კვლავ შეზღუდული ჩართულობა დააფიქსირა. საშუალო ან უფრო მაღალი აქტიურობა მხოლოდ მცირე ნაწილში გამოვლინდა (სულ 12.7%), რაც აჩვენებს, რომ უსაფრთხოების კულტურა საოფისე სექტორში ჯერ კიდევ სუსტია და საჭიროებს სისტემურ გაძლიერებას.

გამოკითხულთა მიერ მოცემული პასუხების ანალიზი აჩვენებს, რომ ჯანმრთელობის დარღვევების გამო ჩივილები ყველაზე ხშირად მხედველობის ორგანოს მხრივ ვლინდება - შეგვხვდა 99 რესპონდენტის პასუხში, რაც შეადგენდა გამოკითხულთა 66%-ს. მაღალია, ასევე, სიმპტომები ზურგის (91 პასუხი; 60.7%) და მხრების არეში (60 პასუხი; 40%) განვითარებული პათოლოგიის გამო; შედარებით ნაკლებია მაჯებსა და მტევნებზე (35 პასუხი; 23.3%), კისრის მიდამოში (38 პასუხი; 25.3%) და წელ-თეძოს არეში (31 პასუხი; 20.7%) ეფექტების გამო. ქვედა კიდურებში დისკომფორტის მიმანიშნებელი სიმპტომები დაასახელა 22 რესპონდენტმა (14.7%), ხოლო ზედა კიდურების - მხოლოდ 6-მა (4%) *(დიაგრამა 5).*



დიაგრამა 5. სხეულის სხვადასხვა მიდამოში დისკომფორტის შესაბამისი ჩივილების შესახებ მონაცემების სიხშირე (მრავალპასუხიანი ანალიზი)

(წყარო: ავტორის მიერ შედგენილი, საკუთარი კვლევის საფუძველზე (2025წ))

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ ერთზე მეტი პასუხის დაფიქსირება, რაც მიუთითებს, რომ ფიზიკური დატვირთვა და არასათანადო სამუშაო გარემო ერთდროულად რამდენიმე ანატომიურ მიდამოზე ახდენს ზეგავლენას. განსაკუთრებით თვალშისაცემია მხედველობითი დისკომფორტის მაღალი მაჩვენებელი, რაც პირდაპირ უკავშირდება ეკრანთან ხანგრძლივ მუშაობას. გამოკითხულთა უმრავლესობა სამუშაო პროცესის განმავლობაში მჯდომარე პოზაში ატარებს მნიშვნელოვან დროს. კერძოდ, რესპონდენტთა 54.7% დღეში 7-9 საათს მუშაობს მჯდომარე მდგომარეობაში, 27.3% - 4-6 საათს, ხოლო 10 საათზე მეტს-4.7%. 1-3 საათს მჯდომარე პოზაში ატარებს 10.7%, ხოლო საათზე ნაკლებს - 2.7%

კვლევამ აჩვენა, რომ ფიზიკური აქტივობისთვის განკუთვნილი შესვენებების პრაქტიკა საოფისე სექტორში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. რესპონდენტთა მხოლოდ 18.7% (28) რეგულარულად მიმართავს აქტივობებს სამუშაო დღის განმავლობაში, 38.7% (58) - მხოლოდ იშვიათად, მაშინ როცა 32.0% (48) საერთოდ არ იყენებს შესვენებებს ფიზიკური დატვირთვისთვის. დამატებით, 10.7% (16) აღნიშნავს, რომ ამის არც შესაძლებლობა ან ნებართვა აქვს. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ უმრავლესობისთვის ფიზიკური აქტივობის ინტეგრაცია სამუშაო გარემოში პრაქტიკულად შეზღუდულია. ეს მიუთითებს როგორც ერგონომიკული სტანდარტების, ისე შრომის უსაფრთხოების პრაქტიკული მექანიზმების ნაკლებობაზე. ფიზიკური ინაქტივობა და მჯდომარე ცხოვრების წესი კი პირდაპირ უკავშირდება ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs) განვითარებას და გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითად მოქმედებს დასაქმებულთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე.

გამოკითხულთა შეფასებით, სამუშაო გარემოში ყველაზე გავრცელებულ რისკ-ფაქტორად **დიდი სამუშაო დატვირთვა** (58.7%) დასახელდა. ამას მოჰყვება **არასწორი მენეჯმენტი** (38.0%), **დაბალი ანაზღაურება** (25.3%) და **შიდა კონფლიქტები** (24.0%). შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც აღსანიშნავ რისკებად დასახელდა დასვენების შეზღუდული დრო (23.3%) და მკაფიო ინსტრუქციების ნაკლებობა (22.0%). შესაბამისად, პროფესიული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვისას აუცილებელია ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება, რომელიც არა მხოლოდ ერგონომიკული, არამედ ორგანიზაციული და ფსიქოსოციალური რისკების შემცირებასაც მოიცავს.

დასკვნები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს საოფისე სექტორში არსებული შრომითი პირობები პირდაპირ არის დაკავშირებული დასაქმებულთა ჯანმრთელობის პრობლემებთან, რომლებიც ქრონიკული არაგადამდები დაავადებების რისკებს ზრდის.

- **61.3%** რესპონდენტს აღენიშნებოდა სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები, განსაკუთრებით ხანგრძლივი სტაჟის მქონე თანამშრომლებში, რაც მიუთითებს რისკ-ფაქტორების გრძელვადიან გავლენასა და ქრონიკული დაავადებების განვითარებაზე.
- გამოკითხულთა უმეტესობას აღენიშნებოდა **მხედველობის ორგანოს მხრივ ჩივილები (66%)**, ასევე **კუნთოვანი სისტემის პრობლემები**: ტკივილი ზურგის არეში (60.7%), მხრების არეში (40%), კისრის მიდამოში (25.3%), მაჯებსა და მტევნებში (23.3%) და წელ-თეძოს არეში (20.7%). ეს სიმპტომები პირდაპირ მიანიშნებს **ერგონომიკულ პრობლემებსა** და **მჯდომარე სამუშაოს უარყოფით გავლენაზე**.
- კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების ძირითადი რისკ-ფაქტორებია: ხანგრძლივი **მჯდომარე პოზა (79.4%)**, **მცირე ფიზიკური აქტივობა (18.7%)** და **ფსიქოსოციალური დატვირთვა**, რომელიც მოიცავს დაძაბულ სამუშაო განრიგს (58.7%), არასწორ მენეჯმენტს (38%) და შიდა კონფლიქტებს (24%).
- აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტრესით გამოწვეულ დაძაბულობას **1.7-ჯერ უფრო ხშირად** აღნიშნავდნენ ქალი რესპონდენტები მამაკაცებთან შედარებით.
- მიუხედავად გამოვლენილი რისკებისა, დასაქმებულთა უმრავლესობა **არ იყო ჩართული** პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცესებში (**54%**), რაც მოიცავს როგორც რისკების იდენტიფიცირებას, ისე პრევენციულ აქტივობებს.

- რესპონდენტთა უმრავლესობა (83.3%) **არ მონაწილეობდა** პროფესიული უსაფრთხოების ტრენინგებში, რაც ადასტურებს პრევენციული ღონისძიებების არასაკმარისობას და აფერხებს ქრონიკული არაგადამდები დაავადებების პრევენციას.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია ინტერვენციები განხორციელდეს როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეული ორგანიზაციების დონეზე. კერძოდ, უნდა მოხდეს:

✓ შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო ბაზის გაფართოება საოფისე სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით.

✓ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება საოფისე სექტორში არსებული რისკებისა და ტრენინგების საჭიროებაზე. კამპანიები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს სამუშაო გარემოში არსებული რისკ-ფაქტორები ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs) განვითარებას.

✓ სტატისტიკური მონაცემების სისტემური შეგროვება, რათა შესაძლებელი გახდეს NCDs-ისა და სხვა რისკების დროული იდენტიფიცირება და მართვა.

✓ ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოების შიდა პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია;

✓ სამუშაო გარემოში ერგონომიკული სპეციფიკის გათვალისწინება (ერგონომიკული ავეჯი, ეკრანის სიმაღლის რეგულირების სისტემა, სათანადო განათებია, მიკროკლიმატი დასხვ.);

✓ ფსიქოსოციალური მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა და სამუშაო დატვირთვის ოპტიმიზაცია. სტრესის მართვის ტრენინგები და მოქნილი სამუშაო გრაფიკი მნიშვნელოვნად შეამცირებს სტრესით გამოწვეული ქრონიკული დაავადებების რისკს.

✓ ტრენინგები და ინფორმირებულობა: დასაქმებულებს რეგულარულად უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები სამუშაოს რისკებსა და ჯანმრთელობის შესაძლო ეფექტებზე.

✓ ადმინისტრაციასთან უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება და რისკების იდენტიფიცირების ხელშეწყობა

წინამდებარე სტატიამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საოფისე სექტორში არსებული პროფესიული რისკები სცილდება მყისიერი უბედური შემთხვევების პრევენციას და უშუალო კავშირშია ქრონიკული არაგადამდები დაავადებების (NCDs) განვითარებასთან. არსებული საკანონმდებლო და ორგანიზაციული ხარვეზების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ საჭიროა მიდგომების ფუნდამენტური გადახედვა. NCDs-ის პრევენციის მიზნით, აუცილებელია, რომ პროფესიული უსაფრთხოების მართვის სისტემა მოიცავდეს არა მხოლოდ ფორმალურ რეგულაციებს, არამედ აქტიურ პრაქტიკებს, რომლებიც ორიენტირებულია ერგონომიკულ, ფსიქოსოციალურ და ორგანიზაციულ რისკებზე. საბოლოო ჯამში, ამგვარი სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანია დასაქმებულთა გრძელვადიანი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების ჯანმრთელობის სისტემის მდგრადობას.

ბიბლიოგრაფია:

1. კვერენჩხილაძე, რ. (2013). *შრომის ჰიგიენა.* თბილისი. 676 გვ.

2. საქართველოს მთავრობა. (2020). დადგენილება №80 - „ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ.“

3. საქართველოს მთავრობა. (2022). დადგენილება №341 „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი.

4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. (2020). ბრძანება „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“.

5. საქართველოს პარლამენტი. (2019). საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.

6. საქართველოს პარლამენტი. (2020). საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“.

7. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური. (2023). *2023 წლის საქმიანობის ანგარიში*.

8. Dunstan, D. W., Barr, E. L., Healy, G. N., Salmon, J., Shaw, J. E., Balkau, B., et al. (2010). Television viewing time and mortality: the Australian Diabetes, Obesity and Lifestyle Study (AusDiab). *Circulation*, 121(3): 384–391.

9. European Agency for Safety and Health at Work (EU-OSHA). (2022). *Psychosocial risks and mental health*.

10. Harvard Gazette. (2024, November 18). Too much sitting hurts the heart: Even with exercise, sedentary behavior can increase risk of heart failure by up to 60%.

11. International Labour Office. (2012). *International Standard Classification of Occupations: Structure, group definitions and correspondence tables (ISCO-08)*. Geneva: International Labour Organization.

12. International Labour Organization (ILO). (2001). *Guidelines on Occupational Safety and Health Management Systems (ILO-OSH 2001)*. Geneva: International Labour Office.

13. International Labour Organization (ILO). (2023). *Mental health at work: a global perspective*.

14. International Organization for Standardization (ISO). (2018). *ISO 45001:2018 Occupational health and safety management systems — Requirements with guidance for use*. Geneva: International Organization for Standardization.

15. Owen, N., Healy, G. N., Matthews, C. E., & Dunstan, D. W. (2010). Too much sitting: the population health science of sedentary behavior. *Exercise and Sport Sciences Reviews*.

16. Patel, A. V., Bernstein, L., Deka, A., Feigelson, H. S., Campbell, P. T., Gapstur, S. M., Colditz, G. A., & Thun, M. J. (2016). Sedentary bout durations and metabolic syndrome among working adults: a prospective cohort study. *BMC Public Health*, 16: 888.

17. Rowley, M. (2024, January 8). Three key trends in occupational safety and health in 2024. *Columbia Southern University*.

18. Sedentary lifestyle and dietary habits as significant risk factors for metabolic syndrome: A prospective study. (2024). *Journal of the American College of Nutrition*, 43(4): 289–295.

19. Van Tilborg, M., Kort, H., Murphy, P., & Evans, K. (2020). The influence of dry eye and office environment on visual functioning. *Stud Health Technol Inform*, 269: 137–142.

20. World Health Organization (WHO). (2020). *WHO guidelines on physical activity and sedentary behaviour*. Geneva: World Health Organization.

21. World Health Organization (WHO). (2024, September 2). *Mental health at work*.

22. World Health Organization. (2024, December 23). *Noncommunicable diseases*. World Health Organization.

1978 წლის ენის პოლიტიკის გამოძახილი აფხაზეთში: ლოკალური რეაქციები და კრემლის პასუხი

The Echo of the 1978 Language Policy in Abkhazia: Local Reactions and the Kremlin’s Response

ლადო ლეჟავა
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
საჯარო მმართველობის მაგისტრი
Lado Lezhava
Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
Master's Degree in Public Administration

აბსტრაქტი. 1978 წლის ენის სტატუსის ირგვლივ განვითარებული მოვლენები საქართველოს სსრ-ში ფართოდაა ცნობილი, თუმცა მათი გავლენა აფხაზეთში ნაკლებად არის გაანალიზებული. სტატია იკვლევს აფხაზური ინტელიგენციის მიერ კრემლისადმი გაგზავნილ კოლექტიურ წერილებს, რომლებიც გამოხატავდნენ შიშს ქართული ნაციონალიზმის გაძლიერების მიმართ. სტატიის მიზანია აჩვენოს, რომ ეს რეაქცია საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის იმ ფარულ დაძაბულობებს ასახავდა, რომლებიც კრემლის ფორმალურად „ძმურ" პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. წყაროებად გამოყენებულია არქივები, პერიოდიკა და არსებული კვლევები. სტატია მიუთითებს, რომ ენის პოლიტიკა გახდა ეთნიკური დაძაბულობისა და ცენტრალურ მმართველობასთან ლატენტური დაპირისპირების მიზეზი.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა, საქართველოს სსრ, აფხაზეთი, ენობრივი პოლიტიკა, დადებითი მოქმედების იმპერია, აფხაზური ინტელიგენცია, კულტურული ავტონომია, კოლექტიური წერილები.

Abstract. While the 1978 events surrounding the status of the Georgian language are widely known within the Georgian SSR, their repercussions in Abkhazia remain comparatively understudied. This article investigates a series of collective letters sent by members of the Abkhaz intelligentsia to the Kremlin, which conveyed concerns over the perceived rise of Georgian nationalism. It argues that these responses reflected latent tensions embedded within the Soviet nationalities policy—tensions that stood in contrast to the Kremlin's officially proclaimed discourse of interethnic fraternity. Relying on archival documents, periodicals, and existing scholarly literature, the article contends that language policy functioned not only as a catalyst for ethnic tensions but also as an implicit site of resistance to centralized Soviet authority.

Key words: Soviet nationalities policy, Georgian SSR, Abkhazia, language policy, empire of affirmative action, Abkhaz intelligentsia, cultural autonomy, collective letters

კვლევის მეთოდი: კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, კერძოდ მეორეული წყაროების ანალიზს, რომელშიც შედის სამეცნიერო ნაშრომები და აკადემიური სტატიები.

დისკუსია. საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკა დიდი ხნის განმავლობაში იდეოლოგიას, იდენტობასა და სახელმწიფო ძალაუფლებას შორის გადაკვეთის წერტილს წარმოადგენდა. ოფიციალურად, ეროვნებათა თანასწორობის, როგორც ამას კომუნისტური იდეოლოგია ქადაგებდა, ხელშეწყობის მიუხედავად, საბჭოთა რეჟიმი ინარჩუნებდა დელიკატურ იერარქიას, ანიჭებდა რუსულს უპირატესობას, როგორც ლინგვა ფრანკას, ხოლო ეთნოლინგვისტურ მოთხოვნებს აბალანსებდა „დადებითი მოქმედების" ეროვნული პოლიტიკით. საბჭოთა მმართველობის 74 წლის განმავლობაში, კრემლმა არარუსი ქვეშევრდომების მიმართ ღრმად წინააღმდეგობრივი პოლიტიკა გაატარა: ერთი მხრივ, ანადგურებდა რეალურ სუვერენიტეტს და (სტალინიზმის ხანგრძლივი ათწლეულების განმავლობაში) პოლიტიკური ავტონომიის ნებისმიერ ნიშანს; მეორე მხრივ, ხელს უწყობდა მრავალ რესპუბლიკაში ადგილობრივი კულტურების განვითარებას და ადგილობრივ ენებზე განათლებას. გვიანი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სიმბოლური ცხელი წერტილი იყო 1978 წლის ენობრივი კრიზისი (Suny, 1994), როდესაც თბილისში მასშტაბურმა საპროტესტო აქციებმა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე ზეწოლა მოახდინა, შეენარჩუნებინა ქართული ენა, როგორც ერთადერთი სახელმწიფო ენა რესპუბლიკურ კონსტიტუციაში. ამ ეპიზოდს, რომელიც ხშირად განიმარტება, როგორც ქართული სამოქალაქო ნაციონალიზმის ტრიუმფი (Jones, 2012), ღრმა შედეგები მოჰყვა ეთნიკურად მრავალფეროვანი აფხაზეთის რეგიონში.

აფხაზეთში, სადაც ავტონომიისა და იდენტობის საკითხებზე დაძაბულობა სტალინის შემდგომ პერიოდში საგრძნლობლად აქტუალური იყო, 1978 წლის მოვლენებმა ინსტიტუციური შფოთვა გამოიწვია, რაც გულისხმობს შემდეგს: გამოჩენილი აფხაზი ინტელექტუალების ჯგუფმა მოსკოვში კოლექტიური წერილები გააგზავნა, სადაც გამოთქვამდნენ შიშს, იმის შესახებ, რომ ქართული ენობრივი პრიმატის ხელახალი დამკვიდრება აფხაზების კულტურულ უფლებების მარგინალიზაციას გამოიწვევდა და ასიმილაციას დააჩქარებდა. 1978 წელს 130-მა გამოჩენილმა აფხაზ ინტელექტუალთა ჯგუფმა კრემლისთვის პეტიცია შეადგინა (Cornell, 2001,), რომლის მიხედვითაც, მოითხოვდა აფხაზეთის სტატუსის შეცვლას საქართველოს სსრ-დან რუსეთის სფსრ-მდე. მოსკოვის შეშფოთების შედეგად ედუარდ შევარდნაძე გაემგზავრა დაძაბულობის განსამუხტად, რის შემდეგაც სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი მრავალენოვან უნივერსიტეტად გადაკეთდა. პეტიცია წარმოადგენდა აშკარა სტრატეგიულ მიმართვას საბჭოთა ცენტრისთვის, რათა შეემცირებინათ აღქმული ქართული დომინირება.ცენტრალური კომიტეტისთვის და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისთვის წარდგენილი ეს პეტიციები მნიშვნელოვანია, რადგან აფხაზმა ელიტებმა საბჭოთა ცენტრს მიმართეს, ქართული ენის დომინირების შესახებ. (Hewitt, 1995).

ეს სტატია იკვლევს 1978 წლის ენის შესახებ ცვლილებაზე აფხაზეთის შიდა რეაქციებს და საკითხს საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ფართო ჩარჩოებში ათავსებს. არქივური წყაროების (როგორიცაა საქართველოს სსრ პარტიული მიმოწერა და გამოუქვეყნებელი წერილები, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში, ფონდი 186), ასევე მეორადი ლიტერატურის გამოყენებით, საკითხი შეეხება იმას, თუ როგორ ფუნქციონირებდა ენა, არა მხოლოდ, როგორც კულტურული იდენტობის საშუალება, არამედ, როგორც ადგილობრივ ელიტებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების განაწილების მოლაპარაკების ველი.

ამით სტატია ხელს შეუწყობს გვიან საბჭოთა პერიოდში „პერიფერიული ნაციონალიზმის“ შესახებ დებატებს, აჩვენებს, თუ როგორ იყენებდნენ არარუსი უმცირესობები, როგორიცაა აფხაზები, საჩივრებსა პეტიციებსა და სხვა საბჭოთა მექანიზმებს იმისათვის, რომ ნაციონალისტური შეშფოთება ლეგალისტური ენით გამოეხატათ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული პროტესტი წარმოადგენდა ქვემოდან ზემოთ მობილიზაციას ეროვნული ენის აღიარებისთვის, აფხაზური რეაქცია ასახავს ზემოდან ქვემოთ, ელიტის მიერ მართულ სტრატეგიას, რომელიც ჩამოყალიბებულია, როგორც სოციალიზმის დაცვა შოვინიზმისგან. როგორც ვიქტორ ზასლავსკი (Zaslawski,1982) ამტკიცებს, „საბჭოთა ეროვნების პოლიტიკა არც უბრალოდ რეპრესიული იყო და არც განმათავისუფლებელი, არამედ წინააღმდეგობრივი სისტემა იყო, რომელიც ხშირად ოფიციალური თანასწორობის დროშის ქვეშ ეთნიკურ მეტოქეობას იწვევდა“. 1978 წლის აფხაზეთის ეპიზოდი ამ პარადოქსს ასახავს: ეთნიკური უფლებების დაცვის მცდელობა სისტემაში, რომელიც მუდმივად ზღუდავდა მათ სრულ გამოხატვას.

გარდა ამისა, ეს პერიოდი კრიტიკულ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებდა იდენტობის პოლიტიკა ტოტალიტარული მმართველობის დროს. ენის საკითხი, რომელიც, ერთი შეხედვით, ადმინისტრაციული ხასიათისა იყო, სინამდვილეში ღრმად პოლიტიკური იყო და ისტორიული უფლების, კულტურული აღიარებისა და ადმინისტრაციული ავტონომიის უფრო ფართო საკითხების ალტერნატივას წარმოადგენდა. აფხაზი ინტელიგენციისთვის მათი ენობრივი სტატუსის სიმბოლური ეროზია დემოგრაფიული და პოლიტიკური მარგინალიზაციის შიშს წინასწარმეტყველებდა. ამგვარად, მოსკოვისადმი

მათი მიმზიდველობა ასევე ასახავდა რესპუბლიკის შიდა მოლაპარაკებების შეზღუდვებს, რამაც გამოიწვია სტრატეგიული რეორიენტაცია თბილისიდან კრემლისაკენ.

ამ კონტექსტში, კრემლის რეაქცია - ანუ გათვლილი ორაზროვნება - ანალიზის მნიშვნელოვან ეპიცენტრად იქცევა. აფხაზების სახელით აშკარად ჩარევის ნაცვლად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ფრთხილად დაგეგმილი დუმილი აირჩია, რომლის მიზანიც რეგიონული ძალაუფლების დინამიკის დაბალანსება იყო შემდგომი არასტაბილურობის პროვოცირების გარეშე. ეს პოზიცია ასახავს იმას, რასაც ტერი მარტინი „დადებითი მოქმედების იმპერიის“ პარადოქსს უწოდებს, სადაც უმცირესობების უფლებები ერთდროულად იყო ხელშეწყობილი და შეზღუდული საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ერთიანობის შესანარჩუნებლად (Martin, 2001).

ამგვარად, აფხაზეთის შემთხვევა არ შეიძლება იქნას გაგებული იზოლირებულად, არამედ როგორც ეთნიკური პლურალიზმის მართვის უფრო ფართო, საბჭოთა სტრატეგიის ნაწილი ბიუროკრატიული შუამავლობის, შერჩევითი რეაგირებისა და სიმბოლური ადაპტაციის გზით. ეს ასევე ასახავს ელიტის მიერ მართული ნაციონალიზმის განსხვავებული ტიპის გაჩენას, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციურ და იდეოლოგიურ ენას იყენებდა უკმაყოფილების გამოხატვისთვის კავშირის ლეგიტიმურობის აშკარა გასაჩივრების გარეშე.

საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკას აფხაზეთში იდეოლოგიური წინააღმდეგობები აყალიბებდა: ერების თანასწორობის გამოცხადებისას ის აქტიურად უჭერდა მხარს რუსიფიკაციას და ზოგჯერ - გაქართველებას (Suny, 1994). ეს წინააღმდეგობები განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო კულტურულ და ენობრივ სფეროებში, სადაც საბჭოთა პოლიტიკის ცვლილებებმა ღრმა გავლენა მოახდინა აფხაზური იდენტობის ფორმირებაზე.

თავდაპირველად, 1920-იან წლებში ნატივიზაციის კამპანიამ ხელი შეუწყო აფხაზურენოვანი სკოლების, ადგილობრივი გამომცემლობებისა და კულტურული ინსტიტუტების განვითარებას. აფხაზი ელიტა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დაწინაურდა და აფხაზურმა ენამ ოფიციალური სტატუსი მიიღო განათლებასა და მმართველობაში (Martin, 2001). ლათინური ანბანი აფხაზებისთვის 1928 წელს შემოიღეს, რამაც გააძლიერა მოდერნიზაციის მცდელობები ადგილობრივ ჩარჩოებში.

1931 წელს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების დღიდან, აფხაზეთი ოფიციალურად მრავალენოვან ტერიტორიად გამოცხადდა, ხოლო აფხაზური, ქართული და რუსული ენები მმართველობისა და განათლების თანაოფიციალურ ენებად იყო დასახელდა (Suny, 1994). ეს მრავალფეროვანი ჩარჩო თავდაპირველად ასახავდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკას ნატივიზაციის მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავდა არარუსი ეროვნების ინტეგრაციას კონკრეტულ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობებში.

თუმცა, 1930-იანი წლების ბოლოდან სტალინისა და ბერიას ერთობლივი გავლენით, ეს პოლიტიკა შეიცვალა: 1938-1953 წლებში აფხაზურენოვანი ინსტიტუტები სისტემატურად დაიხურა, აფხაზური ენა მრავალი ოფიციალური სფეროდან ამოიღეს, ქართული ენა გახდა დომინანტური ენა სკოლასა და ადმინისტრაციაში. აფხაზური დამწერლობა იძულებით შეიცვალა ქართულზე დაფუძნებული ანბანით - სიმბოლური და პრაქტიკული ცვლილება, რამაც შეზღუდა წიგნიერება და დაარღვია ენობრივი უწყვეტობა. (Martin, 2001;Hewit, 1999.) ამ ზომებმა სწრაფი მარგინალიზაცია მოახდინა აფხაზური კულტურული წარმოებისა და ენის საზოგადოებრივი სტატუსის შესუსტების მიზეზი გახდა.

ეს პერიოდი ასევე ემთხვევა საბჭოთა კავშირის რეპრესიების პერიოდს, რომლის დროსაც დახვრიტეს გამოჩენილი აფხაზი ინტელექტუალები, მწერლები და მასწავლებლები, რამაც გამოიწვია ის, რასაც ჯორჯ ჰიუიტი მოგვიანებით აფხაზი ინტელიგენციის „კულტურული თავის

მოკვეთას“ უწოდებდა (Hewit, 1999). 1940-იანი წლების საგანმანათლებლო სტატისტიკა ადასტურებს აფხაზურენოვანი სწავლების შემცირებას და ქართული ენა საშუალო სკოლისა და აღმავალი მობილობის დე ფაქტო ენად იქცა.

სტალინის გარდაცვალების შემდგომ პერიოდს კულტურული დათბობა მოჰყვა: ენობრივად, აფხაზური კირილიცა 1954 წელს აღდგა და აფხაზური ენის საშუალო სკოლები, გაზეთები და რადიო გადაცემები თანდათან განახლდა, ხოლო რეგიონულ ინსტიტუტებში აფხაზური წარმომადგენლობა გაიზარდა (Hewit, 1999). მიუხედავად ამისა, ქართული ენის დომინანტური როლი უმაღლეს განათლებასა და მმართველობაში დიდწილად უდავო რჩებოდა.

როგორც გია ნოდია აღნიშნავდა, 1960–1970-იანი წლებში აფხაზური ინტელიგენცია წყვეტდა საჯარო პოლემიკას ქართული ენის დომინაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ ანიჭებდა უპირატესობას ადგილობრივი განათლების სისტემის გაძლიერების თანამედროვე პროგრამებს" (ნოდია, 1996).

1970-იანი წლების დასაწყისში, აფხაზი ინტელექტუალები და საზოგადოების ლიდერები სულ უფრო მეტად შეშფოთებულები იყვნენ იმით, რომ ფორმალური აღიარების მიუხედავად, ქართული ენა კვლავაც განსაზღვრავდა კარიერულ წინსვლასა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობებზე წვდომას, ხოლო ქართული ენის თავისუფლად ცოდნა ფაქტობრივ მოთხოვნას წარმოადგენდა (Jones, 2012). ამ აღქმულმა უთანასწორობამ სისტემური უთანასწორობის შესახებ დისკუსიები და ინსტიტუციური პარიტეტის განახლებული მოთხოვნები წამოწია წინ.

1970-იანი წლების შუა პერიოდში, აფხაზი ინტელექტუალები სულ უფრო მეტად შეშფოთებულნი იყვნენ საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში მათი ენობრივი ავტონომიის ნელ ეროზიით. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური ენა აფხაზეთის ასსრ- ის ოფიციალურ ენად რჩებოდა, პრაქტიკაში მისი ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო გამოყენება ქართულისა და რუსულის სასარგებლოდ მცირდებოდა. 1976 წლისთვის, სოფლად მხოლოდ რამდენიმე საშუალო სკოლა ასწავლიდა აფხაზურ ენაზე და ბევრი მშობელი პრაგმატული მიზეზების გამო რუსულენოვან სწავლებას ირჩევდა. (Jones, 2012).

დაძაბულობამ კრიტიკულ ზღვარს 1978 წელს მიაღწია, როდესაც საქართველოს სსრ- ის კონსტიტუციური რეფორმა ცდილობდა ქართული ენის რესპუბლიკის ერთადერთ ოფიციალურ ენად დადასტურებას; აფხაზეთის ხელმძღვანელობამ ეს ნაბიჯი პირდაპირ საფრთხედ აღიქვა, რადგან ასიმილაციის პოლიტიკის რეაქტივაციის შიშით არსებობდა (Suny, 1994;Martin, 2001). ამრიგად, შემოთავაზებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებამ შექმნა ცხელი წერტილი, რომელმაც ხელახლა გააღვიძა უფრო ფართო შფოთვა “კულტურული” გადარჩენის შესახებ.

შედეგად, ცნობილმა აფხაზმა მოღვაწეებმა მოსკოვის ცენტრალური კომიტეტისადმი პეტიცია მოამზადეს, რომლითაც მოითხოვდნენ ან უფრო ფართო ავტონომიას, ან აფხაზეთის ადმინისტრაციული კუთვნილების რუსეთის სფსრ-სთვის გადაცემას - მათი აზრით ეს ინსტიტუციური მიმართვა, მიზნად ისახავდა ქართული ჰეგემონიის დაბალანსებას (Cornell, 2001; Martin, 2001).

ეს წერილი საჯაროდ არ გამოქვეყნებულა, არამედ პარტიის შიდა არხებით გავრცელდა. მკვლევარ თომას დე ვაალის თქმით, მისი შინაარსი მკვეთრად იმეორებდა სხვა არარუსი უმცირესობების წინა მოწოდებებს, რომლებიც საბჭოთა ცენტრს ადგილობრივი დომინირების საპირწონედ მიიჩნევდნენ (De Waal, 2010). კრემლმა საჯაროდ არ უპასუხა, თუმცა საარქივო მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აფხაზეთის პეტიციამ დისკომფორტი გამოიწვია ცენტრალურ ხელისუფლებაში, რომლებსაც კავკასიაში შემდგომი დესტაბილიზაციის

ეშინოდათ. ადმინისტრაციული ცვლილებების ნაცვლად, ცენტრმა სიმბოლური დათმობები შესთავაზა: აფხაზურენოვანი გამოცემების, თეატრისა და განათლების დაფინანსების ზომიერი ზრდა (Suny, 1994).

ეს გამოზომილი რეაქცია ასახავდა საბჭოთა კავშირის ფართო ტენდენციას, ემართა ეთნიკური უთანხმოება თანდათანობითი ადაპტაციის გზით და არა სტრუქტურული რეფორმებით - რასაც ტერი მარტინი „მართვადი ნაციონალიზმის“ ფორმას უწოდებდა (Martin, 2001). ამრიგად, 1978 წლის მოვლენები ხაზს უსვამს საბჭოთა ეროვნების პოლიტიკის პარადოქსს: მიუხედავად იმისა, რომ ის ფორმალურად მხარს უჭერდა კულტურულ პლურალიზმს, იგი ამავდროულად, დომინანტურ ტიტულოვან ერებს საშუალებას აძლევდა, გაეძლიერებინათ კონტროლი რესპუბლიკურ დონეზე.

აფხაზეთის შემთხვევაში ეს ნიშნავდა, რომ ფორმალური კონსტიტუციური დაცვის მიუხედავად, ენა ფუნქციურად განზე იდგა. აფხაზური მხარე უნდა დაკმაყოფილებულიყო პოლიტიკური გადამისამართების (ძირითადი მოთხოვნით, კრემლის უარმა, კიდევ უფრო გაამწვავა უკმაყოფილება, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს კვლავ ძლიერად გამოვლინდა.

1978 წელს საქართველოს სსრ-ში ჩატარებულმა ენობრივმა რეფორმამ, რომლის შედეგადაც ქართული ენა კვლავ ერთადერთ ოფიციალურ სახელმწიფო ენად დარჩა, აფხაზ ინტელიგენციაში უპრეცედენტო ინსტიტუციური რეაქცია გამოიწვია. ამ რეაქციას არ მიუღია ქუჩის პროტესტების ან მასობრივი მობილიზაციის ფორმა, როგორც ეს თბილისში მოხდა; პირიქით, ის საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლებისადმი გაგზავნილი ოფიციალური პეტიციებისა და წერილების სახით გამოვლინდა. აფხაზი ელიტისთვის ენობრივ ცვლილებას არა მხოლოდ სიმბოლური ჟესტი, არამედ სტრუქტურული საფრთხეც ჰქონდა, რომელსაც შეეძლო ქართული ენის დომინირება საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ და კულტურულ სფეროებში განემტკიცებინა (Suny, 1994).

1978 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში შედიოდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც ქართული ენა ერთადერთ სახელმწიფო ენად ცხადდებოდა, ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში რუსული ენა გაუქმდებოდა და აფხაზურ ენაზე რამე კონკრეტული მითითება არ ვრცელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა ქართული ეროვნული იდენტობის განმტკიცებას, მრავალეთნიკური საბჭოთა ჩარჩოს კონტექსტში, მან უმცირესობებში შფოთვა გამოიწვია. კონსტიტუციური მუხლი აფხაზმა ელიტებმა ადრინდელი დადებითი პოლიტიკის უარყოფად და კულტურული უფლებების ასიმეტრიის გაღრმავების ნიშნად აღიქვეს. ამ პასუხის ერთ-ერთი მთავარი მომენტი იყო აფხაზური ლიტერატურული და აკადემიური საზოგადოების წამყვანი ფიგურების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი კოლექტიური წერილი, რომელშიც მოსკოვს მოუწოდებდნენ, გადაეხედა აფხაზეთის ავტონომიის ფუნდამენტური პრინციპებისთვის. 1978 წლის გაზაფხულზე შედგენილ წერილში მოუწოდებდნენ 1925 წლის აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის აღდგენისკენ, რომლის მიხედვითაც აფხაზეთს უფრო პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა ცენტრთან და მას უფრო ფართო ავტონომია მიენიჭა, ვიდრე 1931 წლის ასსრ სტატუსით. ხელმომწერებმა, რომელთაგან ბევრს ოფიციალური თანამდებობები ეკავა მწერალთა კავშირში, კვლევით დაწესებულებებსა და საგანმანათლებლო სექტორში, თავიანთი არგუმენტი არა სეპარატისტულ მოთხოვნად, არამედ საბჭოთა სისტემაში პარიტეტისა და დაცვის მოთხოვნად წარმოადგინეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართულის, როგორც რესპუბლიკის ექსკლუზიური ენის კონსოლიდაცია „აფხაზურ კულტურას საზოგადოებრივი ცხოვრებისგან გამოყოფდა“ და „სისტემური უთანასწორობის პირობებს შექმნიდა“(Kalichava, 2018).

ამ ეპიზოდის უნიკალური ასპექტი იყო მკვეთრი კონტრასტი ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის მიერ გამოყენებულ პროტესტის მეთოდებს შორის. 1978 წლის 14 აპრილს, ათიათასობით ქართველი გამოვიდა თბილისის ქუჩებში, რათა მასობრივი პროტესტით დაეცვათ საკუთარი ენა. ეს დემონსტრაცია, რომელმაც საბოლოოდ კრემლი აიძულა კომპრომისზე წასულიყო და კონსტიტუციაში ქართული ენა სახელმწიფო ენად აღედგინა, წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდის გვიანდელი სახალხო მობილიზაციის იშვიათ გამარჯვებას (Jones, 2012).

ამის საპირისპიროდ, აფხაზების რეაქცია მშვიდი იყო, თუმცა არანაკლებ პოლიტიკური. მასობრივი დემონსტრაციების მოწყობის ნაცვლად, აფხაზმა ინტელექტუალებმა პირდაპირ საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლებისთვის მიმართვა ამჯობინეს. ქართველი ისტორიკოსის(Kalichava, 2018). კახაბერ ყალიჩავას თქმით, წერილი მოსკოვის ცენტრალურ კომიტეტში გადაგზავნამდე როგორც აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობაში, ასევე საქართველოს კომუნისტური პარტიის აპარატში გავრცელდა.

წერილში პირდაპირ არ იყო საუბარი გამოყოფაზე ან არეულობაზე, თუმცა ხაზგასმული იყო აფხაზური ენის კუმულაციური მარგინალიზაცია განათლებასა და მმართველობაში. მასში აღნიშნული იყო, რომ 1950-იანი წლების ბოლოდან საშუალო სკოლების უმეტესობაში, ქართული ენა ცვლიდა აფხაზურ ენას, რომ უნივერსიტეტში სწავლება აფხაზურ ენაზე არ ტარდებოდა და რომ ადგილობრივმა რადიომ და ტელევიზიამ მკვეთრად შეამცირა მშობლიურ ენაზე ინფორმაციის გავრცელება (Kalichava, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ კრემლს ოფიციალური პასუხი არ გაუცია, საარქივო კვალი იმაზე მიუთითებს, რომ წერილმა ცენტრალურ კომიტეტში დისკუსია გამოიწვია. კონსტიტუციური გადახედვის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად, ცენტრმა მოკრძალებული რეფორმები დაამტკიცა: დამატებითი დაფინანსება აფხაზურენოვანი გამოცემებისთვის, ლიტერატურული ჟურნალის ხელახლა გახსნა და სახელმწიფო სუბსიდიები კულტურული ინსტიტუტებისთვის (Cornell, 2001)

ეს გათვლილი ორაზროვნება — სადაც სიმბოლური დათმობები შეთავაზებული იყო ძალაუფლების ძირითადი დისბალანსის მოგვარების გარეშე — ასახავდა საბჭოთა სტრატეგიას, რომელიც უმცირესობათა განსხვავებული აზრის შეკავებას რბილი პატერნალიზმის გზით ცდილობდა. როგორც რონალდ გრიგორი სანი ამტკიცებს, საბჭოთა ხელმძღვანელობა ერთგული რჩებოდა ისეთი რესპუბლიკური ტიტულარული ერების ავტორიტეტის შენარჩუნების, როგორიც ქართველები იყვნენ, მაშინ როცა მცირე უმცირესობებს შერჩევითი კულტურული გრანტების მეშვეობით ამშვიდებდა (Suny, 1994).

ამ კონტექსტში, 1978 წლის აფხაზეთის პეტიცია კრიტიკულ გარდამტეხ მომენტად გვევლინება: მან გამოავლინა უმცირესობათა ელიტების იმედგაცრუება, როგორც საქართველოს სსრ-ის, ასევე საბჭოთა ცენტრის მიმართ, ამავდროულად კი პრაქტიკაში გამოავლინა საბჭოთა მულტიკულტურალიზმის საზღვრები. მიუხედავად იმისა, რომ პეტიცია იურიდიული და ლოიალური ტერმინებით იყო ჩამოყალიბებული, ის წინააღმდეგობის პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა - ავტონომიის აღდგენის მცდელობას ერთადერთი დარჩენილი არხით: ცენტრალური კომიტეტით.

1978 წლის საკონსტიტუციო კრიზისის შემდეგ, როდესაც ქართული ენა რესპუბლიკის ერთადერთ ოფიციალურ ენად აღდგა, აფხაზმა ინტელექტუალებმა საბჭოთა ცენტრისადმი ოფიციალური პეტიციების კამპანია წამოიწყეს. პირდაპირი პოლიტიკის ან კონსტიტუციური პასუხის გაცემის ნაცვლად, კრემლმა გამოიყენა ის, რაც საუკეთესოდ შეიძლება შეფასდეს, როგორც გათვლილი დუმილის სტრატეგია. ღია ჩართულობის ეს არარსებობა არ მიუთითებდა

გულგრილობაზე; პირიქით, ეს ასახავდა მიზანმიმართულ ტაქტიკას, რათა შეენარჩუნებინა წონასწორობა საქართველოს სსრ-ის ხელისუფლებასა და მისი ავტონომიური რეგიონების მოთხოვნებს შორის (Suny, 1994).

საბჭოთა კავშირში ეთნო-პოლიტიკური არეულობის სხვა მომენტებისგან განსხვავებით, კრემლმა არ გაგზავნა ელჩები, არ დაიწყო ფედერალური გამოძიებები და არ გამოიძახა რესპუბლიკელი ლიდერები საგანგებო კონსულტაციებისთვის. სამაგიეროდ, საარქივო ჩანაწერები მიუთითებს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა უბრალოდ დაადასტურა აფხაზური პეტიციების მიღება და შიდა დონეზე დააფიქსირა მზარდი უკმაყოფილება (Kalichava, 2018). ბიუროკრატიული მინიმალიზმი ყურადღების მიპყრობას ემსახურებოდა, საჩივრების, როგორც სტრუქტურული ჩარევის საჭიროების გადაუდებელი საკითხების ლეგიტიმაციის გარეშე.

ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ბრეჟნევის ეპოქის „კადრების სტაბილურობის“ დოქტრინის იდეოლოგიური შეზღუდვებია, რომელიც რეგიონული ხელმძღვანელობის პოლიტიკურ უძრაობას ანიჭებდა უპირატესობას. აფხაზების სასარგებლოდ ზედმეტად გადამწყვეტი ჩარევა შესაძლოა თბილისში რესპუბლიკური სუვერენიტეტის დარღვევად ყოფილიყო განმარტებული, რასაც შესაძლოა უფრო ფართო წინააღმდეგობა გამოეწვია. პირიქით, პეტიციების იგნორირება უმცირესობათა ელიტების არაფორმალური ან ოპოზიციური ქსელებისკენ წაქეზების რისკს ქმნიდა. ამრიგად, კრემლის დუმილი კონტროლის მოქნილი ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებდა, რაც ცენტრს საშუალებას აძლევდა შეენარჩუნებინა უარყოფის უნარი და ამავდროულად, დახვეწილად შეეცვალა მოლოდინები (Martin, 2001).

აფხაზეთის შემთხვევა აჩვენებს, თუ როგორ იყენებდა საბჭოთა ცენტრი ორაზროვნებას არა მხოლოდ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, არამედ მის სამართავადაც. ეს სტრატეგიული გაუმჭვირვალობა მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა: ქართველი ჩინოვნიკებისთვის ეს სტატუს კვოს ფარულ მხარდაჭერას გამოხატავდა; აფხაზი პეტიციის ავტორებისთვის კი იმედის ადგილს ტოვებდა, რომ მოსკოვი ნეიტრალურ არბიტრად რჩებოდა. ცენტრისთვის ორმაგი მხარდაჭერა მისი ძლიერი მხარე იყო: თავისი პოზიციის გამოაშკარავებაზე და რომელიმე მხარის არჩევაზე უარის თქმით, კრემლი თავს არიდებდა ორივე მხარის გაუცხოებას (Hewit, 1999).

გარდა ამისა, მოსკოვის მიერ შეთავაზებული სიმბოლური დათმობები, მათ შორის კულტურის დაფინანსების მოკრძალებული ზრდა და გარკვეული აფხაზი მოღვაწეების შეზღუდული რეაბილიტაცია, ცენტრალური მედია არხებით არ გახმაურებულა. ეს ჟესტები პარტიული ქსელების მეშვეობით გავრცელდა, რამაც ცენტრსი კონტროლის იმიჯი შეუნარჩუნა და ამავდროულად, ლოკალური დამშვიდების საშუალება მისცა (Cornell, 2001).

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში კრემლის ქცევა აფხაზეთის შემთხვევაში ჯდება პრაქტიკის რეპერტუარში, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური ზეწოლის შთანთქმას ინსტიტუციური იერარქიების დარღვევის გარეშე. ტერი მარტინის „დადებითი მოქმედების იმპერიის“ ცნება განსაკუთრებით აქტუალურია აქ: მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-მ უმცირესობების უფლებების ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა, მან ამავდროულად შეზღუდა მათი პოლიტიკური აქტუალიზაცია კონტროლირებადი ორაზროვნების გზით (Martin, 2001).

ამ გაგებით, 1978 წლის ეს მოვლენა არ უნდა იქნას განმარტებული, როგორც რეაგირების უუნარობა, არამედ როგორც საბჭოთა მენეჯმენტის არქეტიპი: რეაგირება ვალდებულების გარეშე, ყურადღება ჩართულობის გარეშე. ცენტრის დუმილი, ფრთხილად ორგანიზებული, ინარჩუნებდა თავის ავტორიტეტს, ამავდროულად გადადებდა პრობლემის გადაჭრის საკითხს -

ტენდენცია, რომელიც მომდევნო ათწლეულში სულ უფრო და უფრო დაუსაბუთებელი აღმოჩნდა.

1978 წელს საბჭოთა საქართველოში მომხდარ „ენობრივ დავაში“ საბჭოთა ეთნოპოლიტიკური მართვის დინამიკის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნა შეიძლება, განსაკუთრებით ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში. ეს ეპიზოდი ლოკალიზებული ენობრივი დავის გარდა, კულტურის შენარჩუნების, პოლიტიკური წარმომადგენლობისა და ფედერალური ძალაუფლების განაწილების შესახებ ღრმა შფოთვას ავლენს. აფხაზი ელიტებისთვის ქართული ენის ერთადერთ ოფიციალურ ენად ხელახლა დადასტურება ავტონომიის ეროზიისა და საქართველოს სსრ-ში უფრო ფართო მარგინალიზაციის სიმბოლო იყო. ამრიგად, მოსკოვისადმი მათი კოლექტიური წერილები და პეტიციები არა მხოლოდ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს, არამედ უმაღლესი ხელისუფლებისადმი სტრატეგიულ მიმართვებს წარმოადგენდა - საბჭოთა ჩარჩოებში მათი სტატუსის ხელახალი მოლაპარაკების მცდელობას.

მოსკოვის რეაქცია, ან მისი არარსებობა შეიძლება ასეც ვუწოდოთ, უნდა იქნას განმარტებული არა როგორც ბიუროკრატიული ინერცია, არამედ როგორც გათვლილი ორაზროვნება. აშკარა ჩარევისგან თავის შეკავებით, კრემლმა შეინარჩუნა ბალანსი რესპუბლიკური სუვერენიტეტისა და უმცირესობების დამშვიდებას შორის. სიმბოლური დათმობების - მოკრძალებული კულტურული ინვესტიციების, რიტორიკული აღიარებისა და არაპირდაპირი მხარდაჭერის - მეშვეობით საბჭოთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოახერხა მზარდი დაძაბულობის შეკავება ინსტიტუციური იერარქიების შეცვლის გარეშე. ეს ორმხრივი სტრატეგია, რომელიც ხასიათდება რეაგირებით გადაწყვეტილების გარეშე, განასახიერებს ბრეჟნევის ეპოქის სტაბილურობის დოქტრინას.

საბოლოო ჯამში, 1978 წლის მოვლენები ასახავს, თუ როგორ ჩამოყალიბდა და შეიზღუდა საბჭოთა კავშირში უმცირესობების უკმაყოფილება „დადებითი მოქმედების იმპერიის“ სტრუქტურული დიზაინით. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის შემთხვევა დაუყოვნებლივი დაპირისპირებით არ დაგვირგვინებულა, მან საფუძველი ჩაუყარა 1980-იანი წლების ბოლოს უფრო აშკარა ნაციონალისტურ მობილიზაციას. საბჭოთა კავშირის უუნარობამ - ან სურვილის არქონამ - შეერწყა რეგიონული იდენტობის პრეტენზიები რესპუბლიკური დომინირების საკითხებთან, შექმნა ნაპრალები, რომლებიც მოგვიანებით ღია კონფლიქტში გადაიზარდა. ამრიგად, 1978 წლის კრიზისი არ იყო დახურული ეპიზოდი, არამედ ეს გახლდათ კავკასიაში საბჭოთა ფედერალიზმის დაშლის პროლოგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოდია, გ. (1996). Nationalism and democracy in post-communist transitions. თბილისი: ინტელექტი

2. Cornell, S. E. (2001). Small nations and great powers: A study of ethnopolitical conflict in the Caucasus. London: Routledge.

3. de Waal, T. (2010). The Caucasus: An introduction. Oxford: Oxford University Press Hewitt, G. B. (1999). The Abkhazians: A handbook. London: Curzon Press.

4. Jones, S. F. (2005). Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883–1917. Harvard University Press.

5. Jones, S. F. (2012). Georgia: A political history since independence. London: I.B. Tauris.

6. Kalichava, K. (2018). Kosovo, Abkhazia, and the Tskhinvali region: Ethnopolitical conflict and language policy in the post-Stalin period.

7. Martin, T. (2001). The affirmative action empire: Nations and nationalism in the Soviet Union, 1923–1939. Ithaca, NY: Cornell University Press.

8. Suny, R. G. (1994). The making of the Georgian nation (2nd ed.). Bloomington: Indiana University Press.

9. Zaslavsky, Victor. The Neo-Stalinist State: Class, Ethnicity, and Consensus in Soviet Society.

10. M.E. Sharpe, 1982.

ირანის სწრაფვა ბირთვული სახელმწიფოსაკენ და ირან ისრაელის კონფლიქტი
Iran's Pursuit of Nuclear Statehood and the Iran–Israel Conflict

ზურაბ კოპალეიშვილი
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ასისტენტ-დოქტორანტი
გიორგი ფუტკარაძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტი სეუ
ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრანტი
Zurab Kopaleishvili
Assistant Doctoral Student at the Georgian Aviation University.
Giorgi Futkaradze
Master's Student in Human Resource Management at the Georgian National University SEU

აბსტრაქტი. ირან-ისრაელის კონფლიქტი წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და დინამიკურად ცვალებად გამოწვევას. ნაშრომი განიხილავს კონფლიქტის ისტორიულ ფესვებს, რომელიც სათავეს იღებს 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციიდან და ქვეყნის საგარეო კურსის რადიკალური ცვლილებიდან. ყურადღება გამახვილებულია ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო წარმოქმნილ გეოპოლიტიკურ დაძაბულობაზე და მის გავლენაზე ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიულ ბალანსზე. ნაშრომში გაანალიზებულია 2025 წლის ე.წ. „12 დღიანი ომის" მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები, რომელშიც ჩართული იყვნენ ისრაელის და აშშ-ის შეიარაღებული ძალები, და რომელიც მიზნად ისახავდა ირანის ბირთვული შესაძლებლობების შეზღუდვას. განხილულია ირანისა და მისი პროქსი აქტორების პასუხი, სამხედრო ოპერაციების გავლენა რეგიონულ სტაბილურობაზე და საერთაშორისო რეაქცია. კვლევა მიუთითებს, რომ ბირთვული იარაღის ფლობის შესაძლებლობა ირანის მხრიდან ზრდის რეგიონული ძალთა ბალანსის რღვევის რისკს და აჩენს პრევენციული დიპლომატიისა და კონტროლის მექანიზმების მნიშვნელობას. დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაციები ბირთვული დეესკალაციისა და კონფლიქტის გრძელვადიანი პოლიტიკური გადაწყვეტის გზებზე.

საკვანძო სიტყვები: ირან–ისრაელის კონფლიქტი, ბირთვული პროგრამა, გეოპოლიტიკა, პროქსი ომი, საერთაშორისო უსაფრთხოება.

Abstract. The Iran–Israel conflict represents one of the most acute and dynamically evolving challenges in contemporary international relations. This paper examines the historical roots of the conflict, tracing them back to the 1979 Islamic Revolution in Iran and the country's subsequent shift in foreign policy. Particular emphasis is placed on the geopolitical tensions surrounding Iran's nuclear program and its impact on the strategic balance in the Middle East. The study analyzes the causes, course, and consequences of the so-called "12-Day War" of 2025, involving Israeli and U.S. military operations aimed at limiting Iran's nuclear capabilities. It also explores Iran's response, including the role of proxy actors, and assesses the military actions' implications for regional stability and the broader

international reaction. The research highlights that the potential for Iran to acquire nuclear weapons significantly increases the risk of destabilizing the regional power balance, emphasizing the importance of preventive diplomacy and robust control mechanisms. In conclusion, the paper offers recommendations for nuclear de-escalation and explores the pathways toward a long-term political resolution to the conflict.

Keywords: Iran–Israel Conflict, Nuclear Program, Geopolitics, Proxy War, International Security.

შესავალი. ირან – ისრაელის კონფლიქტი წარმოადგენს რეგიონული და გლობალური გავლენის მქონე დაპირისპირებას, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკა და ისრაელის სახელმწიფო. კონფლიქტის საფუძველი 1979 წლის ირანის რევოლუცია და ირანის შეცვლილი საგარეო პოლიტიკა გახდა. ირანში რევოლუციის შედეგად ირანის მმართველობა რუჰოლა ხომეინისა და მისი რელიგიური მიმდევრების ხელში გადავიდა. ირანის მმართველობამ შეცვალა საგარეო კურსი და არაბული ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება ისრაელთან თანამშრომლობის შეწყვეტითა და პალესტინის ტერიტორიების ოკუპაციისთვის ისრაელის დაგმობით სცადეს. 1979 წლიდან ირანი უარყოფდა ,,ჰოლოკოსტს“ და მკაცრ განცხადებებს აკეთებდა ისრაელის მიმართ, მათ შორის იმუქრება ისრაელის განადგურებითა და რუკიდან მისი წაშლით. შემდგომში განვითარდა ირან - ისრაელის პროქსი კონფლიქტი, სადაც ირანი მხარს უჭერდა და აფინანსებდა ისეთ დაჯგუფებებს, როგორიცაა ჰამასი, ჰეზბოლა და ჰუსიტები, ირანის მხარდაჭერილი პროქსი ძალები არაერთხელ იყვნენ ჩართულნი ისრაელთან შეიარაღებულ კონფლიქტში. ძირითადი მიზეზი ირან ისრაელის კონფლიქტში იყო და დღესაც არის ირანის ბირთვული პროგრამა, ურანის გამდიდრება და ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობა.

ირანი რევოლუციამდე ირანში შაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის მმართველობის დროს 1957 წლიდან მუშაობდა ბირთვულ ტექნოლოგიებზე. ეს იყო მშვიდობიანი ბირთვული ტექნოლოგიის გავრცელების გლობალური ინიციატივა, რომელსაც აშშ ხელმძღვანელობდა ცივი ომის პერიოდში. 1967 - 2000 წლამდე პერიოდში ირანი ავითარებდა თავის ბირთვულ ტექნოლოგიებს სამოქალაქო გამოყენებისათვის, 1970 წელს კი შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, თუმცა რევოლუციის შემდეგ 1979 წელს დასავლეთმა და აშშ - მ შეწყვიტა ირანთან ბირთვულ პროგრამებში თანამშრომლობა. 1980 იანი წლებიდან მოყოლებული ირანი განაგრძობს თავისი ბირთვული ტექნოლოგიების დამოუკიდებლად განვითარებას რაც ისრაელის მხრიდან უპრეცედენტო საფრთხედ აღიქმება. 2000 - იანი წლებიდან დასავლეთი და გაერო ირანს ადანაშაულებდა საიდუმლო ბირთვული პროგრამის შემუშავებაში, რასაც მოჰყვა სანქციები ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ. ბირთვული პროგრამიდან დასავლეთის ჩამოშორების შემდეგ ირანის მთავრობამ სამხედრო და ბირთვულ საკითხებში თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან დაიწყო. ამ თანამშრომლობით ირანმა რუსეთისაგან მიიღო საჭირო ცოდნა და ტექნოლოგია ურანის საჭირო დონემდე გამდიდრების პროცესების წარმართვისათვის.

ირანის მხრიდან ბირთვული იარაღის ფლობა გამოიწვევს ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკურ ცვლილებებს. ამით დაირღვევა არაერთი სამშვიდობო და ბირთვული შეთანხმებები და საჭირო გახდება ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილებება. ამ პროცესებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეგიონში არაერთი კონფლიქტი და ომი. ამის თავიდან ასაცილებლად ისრაელი (არა მარტო ისრაელი) მაქსიმალურად ცდილობს შეაჩეროს ან საგრძნობლად შეაფერხოს ირანის ბირთვული განვითარების პროგრამები.

1. კონფლიქტის თანამედროვე დინამიკა და რეგიონული განვითარება

ისრაელისა და ირანის ურთიერთობის გაუარესების შემდეგ ორ სახელმწიფოს შორის პირდაპირ სამხედრო კონფლიქტი 2025 წლამდე არ ყოფილა, მაგრამ ისრაელს უხდებოდა ირანის მიერ

მხარდაჭერილი პროქსი ძალების ბალისტიკური რაკეტების, უპილოტო კამიკაძე დრონებით თავდასხმებისა და დივერსიული ქმედებებისგან თავის დაცვა, რაც ისრაელის ახლო აღმოსავლეთში გაფართოვების ხელის შეშლას ისახავდა მიზანდ. თავის მხრივ ისრაელი ანხორციელებდა ირანის მიერ მხარდაჭერილ პროქსი ძალებზე ახლო აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედებებს საჰაერო იერიშების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელი ფლობს თანამედროვე სისტემებით აღჭურვილ შეიარაღებას და სარგებლობს აშკარა უპირატესობით სამხედრო დაზვერვაში, სწორედ ამიტომ ისრაელის შეიარაღებული ძალები ანხორციელებს ზუსტ და წერტილოვან დარტყმებს მოწინააღმდეგის სამხედრო ინფრასტრუქტურაზე.



ნახ:1. ირანის ბირთვული ლაბორატორიის მეცნიერი

2025 წლის გაზაფხულიდან აშშ -ს ჩართულობით მიდიოდა მოლაპარაკებები ირანის ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად, თუმცა ამ მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. ირანი გამოვიდა ყველა ბირთვული ხელშეკრულებიდან, გაეროს წარმომადგენლებს კი აუკრძალა ბირთვულ ლაბორატორიებში შესვლა და პროცესებზე დაკვირვება. აღნიშნული პროცესები რა თქმა უნდა არ დარჩენილა ისრაელის მხრიდან უყურადღებოდ და ისრაელის პრემიერ მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს გადაწყვეტილებით ისრაელის შეიარაღეულმა ძალებმა 2025 წლის 13 ივნისს დაიწყო, როგორც საჰაერო იერიშები ასევე დივერსიული მოქმედებები ირანის ბირთვული პროგრამების წინააღმდეგ. სამხედრო ოპერაცია, რომელსაც შემდგომში 12 დღიანი ომი ეწოდა, მოიცავდა ბირთვულ პროგრამებზე მომუშავე მეცნიერების და სამხედრო მაღალჩინოსნების განეიტრალებას, საჰაერო თავდაცვის და ბალისტიკური რაკეტების გამშვები დანადგარების განადგურებას და რაც მთავარია ბირთვულ ლაბორატორიების მწყობრიდან გამოყვანას, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობაც ემსხვერპლა. სამხედრო ოპერაციის ფარგლებში ისრაელმა განახორციელა საჰაერო დარტყმები ნატანზის, ფორდოუს და ფარსულის ბირთვული ლაბორატორიების კომპლექსზე, ასევე თეირანში ირანის რევულოციურ გუშაგთა კორპუსის (IRGC) მაღალი რანგის ოფიცრებზე. ირანმა საპასუხო დარტყმები განახორციელა ბალისტიკური რაკეტებისა და საბრძოლო დრონების გამოყენებით ისრაელის სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით ჰაიფასა და თელ-ავივში, რასაც მნიშვნელოვანი მატერიალური და ადამიანური დანაკარგები მოჰყვა სამოქალაქო სექტორში, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით ისრაელს განსაკუთრებული ზიანი და დანაკარგები არ ჰქონია. ომის პერიოდში დაშავდა ასობით, დაიღუპა ათობით ადამიანი, დაზიანდა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობას მოუწია იძულებით გადაადგილება. საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მოწოდებით გამოდიოდა

წამყვანი ქვეყნების უმრავლესობა მათ შორის გაერო და ევროკავშირი, რომლებიც მოუწოდებდნენ მხარეებს მოლაპარაკებებისა და ცეცხლის შეწყვეტისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ირან - ისრაელის კონფლიქტს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის გარეშე არ ჩაუვლია, რასაც რუსეთის, ჩინეთისა და მათი მოკავშირე ქვეყნებისგან კრიტიკა მოჰყვა. 12 დღიანი ომის დაწყებამდე ამერიკის შეერთებული შტატები პირდაპირ მოლაპარაკებებში იყო ჩართული და ცდილობდა ირანის ბირთვული პრგრამის შეჩერებას თუმცა როგორც ზემოთ ავღნიშნე მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდა. პროგრესის გარეშე მოლაპარაკებების საპასუხოდ 2025 წლის 22 ივნისს შეერთებულმა შტატებმა ირანის ბირთვული ობიექტების წინააღმდეგ დაიწყო სამხედრო ოპერაცია სახელწოდებით Midnight Hammer, რომელიც მიზნად ისახავდა ირანის ბირთვული პროგრამის მკვეთრად შეზღუდვას იმ ფონზე, როდესაც ირანის მიერ ურანის გამდიდრების შესაძლებლობები ბირთვული იარაღის შექმნის ზღვართან იყო მიყვანილი. აშშ - ს მიერ სამიზნეებად შეირჩა ფორდოუს, ნათანზისა და ისფაჰანის ლაბორატორიები, რომელიც ირანის ბირთვული პროექტის განხორციელების საფუძველს ქმნიდა. შეტევაში მონაწილეობა მიიღეს აშშ - ს ავიაციის F-35 ტიპის სტელს გამანადგურებლებმა და B-2 ტიპის სტელს ბომბდამშენებმა, რაც ოპერაციას მაღალი სიზუსტისა და საჰაერო უპირატესობის გარანტიას აძლევდა. განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა GBU-57 ბომბების გამოყენება, რომლებმაც ფორდოუს მიწისქვეშა კომპლექსებში 60 მეტრის სიღრმეზე ჩააღწია. ნათანზისა და ისფაჰანის საწარმოებზე განხორციელებულმა სარაკეტო იერიშებმა საგრძნობლად დააზიანა ურანის გამდიდრებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

ნახ: 2. იერიში ირანის ბირთვულ ლაბორატორიებზე



ოპერაციის შედეგად ირანის ბირთვული პროგრამა სერიოზულად შეფერხდა, თუმცა მთლიანად არ განადგურებულა. აშშ-ის დაზვერვის უწყებების შეფასებით, ინფრასტრუქტურის აღდგენა რამდენიმე თვეშია შესაძლებელი თუმცა ურანის გამდიდრების პროცესის გაგრძელებას შესაძლოა ათეულობით წელი დასჭირდეს. მიუხედავად იმისა რომ ოპერაცია წარმატებით დასრულდა მან ასევე წარმოშვა საერთაშორისო დაძაბულობა. წამყვანი ქვეყნების შეფასებები ორად გაიყო - ზოგიერთი ქვეყანა აღნიშნავდა რეგიონული საფრთხის განეიტრალების საჭიროებას , მაშინ როცა რუსეთი, ჩინეთი და ზოგიერთი არაბული სახელმწიფო ამ ქმედებას აღიქვამდა როგორც საერთაშორისო წესრიგის დარღვევას. აშშ - ს მიერ ირანზე განხორციელებული დარტყმების შემდეგ დასრულდა ირან - ისრაელის 12 დღიანი ომი. აშშ - მ

და ისრაელმა კიდევ ერთხელ განაცხადეს რომ ირანს არ მისცემენ ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობას. აშშ - ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპა არაერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ თუ საჭირო იქნება კვლავ გაიმეორებს საჰაერო დარტყმებს ირანის ბირთვული პროგრამების წინააღმდეგ და მკაფიოდ დაადასტურა აშშ - ს მხარდაჭერა ისრაელის მიმართ.

დასკვნა. აშშ - ს და ისრაელის დაზვერვის მონაცემებით ირანი მზად იყო რამდენიმე კვირაში შეექმნა ბირთვული იარაღი, რასაც მალევე მოჰყვა ისრაელის შეიარაღებული ძალებისა აშშ-ის ავიაციის მხრიდან მძლავრი საპასუხო ოპერაცია ირანის ბირთვულ ინფრასტრუქტურაზე. სტრატეგიული დანაკარგების მიუხედავად, ირანის ბირთვული განვითარების პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივ დასუსტდა. XXI - ე საუკუნეში ტექნოლოგიები ზედმეტად სწრაფად ვითარდება რაც ცხადყოფს დღეისათვის არსებული უსაფრთხოების მექანიზმების სისტემურ ხარვეზებს. სწორედ ამიტომ საჭიროა ახალი მიდგომებისა და უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავება რაც თავიდანვე გამორიცხავს ისეთი იარაღის შექმნის მცდელობას, როგორიც ბირთვული იარაღია.

ბოლო მოვლენების შემდეგ თეირანმა განაცხადა მზადყოფნა, განიხილოს ბირთვულ შეთანხმებაში დაბრუნება, რაც მიანიშნებს მის ინტერესზე დიპლომატიური რეაბილიტაციისა და ეკონომიკური შეღავათების მიღებისადმი. თუმცა, საერთაშორისო პარტნიორებისთვის მთავარი საკითხი რჩება ის, რამდენად სანდოა ირანის გაცხადებული მიზნები და რამდენად გამჭვირვალე იქნება მისი ბირთვული აქტივობა. იმ შემთხვევაში, თუ ირანი შეძლებს ბირთვული იარაღის ფლობას, ეს გამოიწვევს რეგიონში არსებული წამყვანი ქვეყნების სურვილს ფლობდეს ბირთვულ შეიარაღებას, როგორიცაა საუდის არაბეთი ან თურქეთი.

ამრიგად, კონფლიქტმა ნათლად გამოკვეთა, რომ სამხედრო საშუალებებით მიღწეული დროებითი მშვიდობა ვერ ჩაანაცვლებს გრძელვადიან პოლიტიკურ შეთანხმებებს. ირანის შესაძლო დაბრუნება ბირთვულ შეთანხმებაში, მკაცრი მონიტორინგის და საერთაშორისო ზედამხედველობის ფარგლებში, შესაძლოა გახდეს კრიზისის განმუხტვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარება ძალის დემონსტრირებით მხოლოდ დროებით ეფექტს ქმნის და აუცილებელია მშვიდობისათვის ყველა წამყვანმა ქვეყანამ გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.ft.com/content/30bad5a7-9e01-451c-9789-984ad447beba
2. https://www.understandingwar.org/backgrounder/iran-update-july-15-2025
3. https://thebulletin.org/premium/2025-07/will-israel-strike-irans-nuclear-facilities-with-us-support/
4. https://archive.org/details/treacherous-alliance-trita-parsi
5. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ia600205.us.archive.org/32/items/Sampson_Option/Sampson_Option.pdf
6. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.airuniversity.af.edu/Portals/10/AEtherJournal/Journals/Volume-2_Number-1/Dryden-Iran-Israel-and-the-Struggle.pdf

გაყინული კონფლიქტი თუ სამომავლო ომი? ინდოეთი პაკისტანი კაშმირში
Frozen Conflict or Future War? India and Pakistan in Kashmir

ზურაბ კოპალეიშვილი
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ასისტენტ-დოქტორანტი

თორნიკე მეტრეველი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოებს მაგისტრანტი
Zurab Kopaleishvili
Assistant Doctoral Student at the Georgian Aviation University.
Tornike Metreveli
Master's student of International Relations and International Security at
Caucasus International University.

აბსტრაქტი. კაშმირის კონფლიქტი სამხრეთ აზიაში ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ და ფეთქებად გეოპოლიტიკურ დავად რჩება. 1947 წელს ბრიტანეთის ინდოეთის გაყოფის შემდეგ, ინდოეთი და პაკისტანი არაერთ ომში და ათობით სამხედრო შეტაკებაში მონაწილეობდნენ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონზე კონტროლის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი ამჟამად ე.წ. "გაყინულ" მდგომარეობაშია, პერიოდული ესკალაციები, საზღვრისპირა შეტაკებები და პოლიტიკური ცვლილებები კვლავ ასუსტებს მყიფე სტაბილურობას. 2019 წელს ინდოეთის მიერ კონსტიტუციის 370-ე მუხლის გაუქმებამ კიდევ უფრო გაამძაფრა დაძაბულობა და უფრო გაართულა უკვე რთული ვითარება.

რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება რეგიონში, ისევე როგორც ორივე სახელმწიფოს ბირთვული შეიარაღება, კონფლიქტს განსაკუთრებულ საფრთხედ აქცევს როგორც რეგიონული, ისე გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ეს ნაშრომი მიმოიხილავს კაშმირის კონფლიქტის ისტორიულ განვითარებას, მის შიდა და გარე მამოძრავებელ ფაქტორებს და აფასებს, რამდენად მდგრადია არსებული სტატუს კვო ან არსებობს თუ არა პერსპექტივა მომავალი ფართომასშტაბიანი ომისთვის. პოლიტიკურ, სამხედრო და საერთაშორისო რეაქციებზე დაყრდნობით, ანალიზი მიზნად ისახავს მიაწოდოს მკითხველს დაბალანსებული ხედვა კონფლიქტის შესაძლო დასრულებასა თუ განახლებულ ესკალაციაზე.

საკვანძო სიტყვები: კაშმირი,ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობები, გაყინული კონფლიქტი, გეოპოლიტიკა, ბირთვული დაძაბულობა.

Abstract. The Kashmir conflict remains one of the most enduring and volatile geopolitical disputes in South Asia. Since the partition of British India in 1947, India and Pakistan have engaged in multiple wars and countless military skirmishes over this strategically significant region. Although the conflict currently exists in a so-called "frozen" state, periodic escalations, cross-border attacks, and shifting political dynamics continue to threaten the fragile balance. The revocation of Article 370 by India in 2019 intensified tensions, further complicating the already delicate situation. The religious and ethnic complexity of the region, coupled with the fact that both nations possess nuclear capabilities, makes this dispute particularly dangerous for regional and global security. This paper examines the historical evolution of the Kashmir conflict, the internal and external factors shaping its trajectory, and assesses whether the current status quo is sustainable or if it holds the potential for future full-scale war. By analyzing political developments, military activities, and international responses, this study aims to provide a balanced perspective on the prospects for lasting peace or renewed conflict in Kashmir.

Keywords: Kashmir, India-Pakistan Relations, Frozen Conflict, Geopolitics, Nuclear Tensions.

შესავალი. ინდოეთსა და პაკისტანს შორის დაპირისპირება კაშმირის რეგიონზე უკვე ათწლეულებია საერთაშორისო დღის წესრიგში ერთ-ერთი ყველაზე ფეთქებადი და გაურკვეველი საკითხია. 1947 წელს ბრიტანეთის იმპერიიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ორი ქვეყანა თითქმის დაუყოვნებლივ ჩაერთო შეიარაღებულ კონფლიქტში ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე კონტროლისათვის. მას შემდეგ კაშმირი გადაიქცა მუდმივ დაძაბულობის კერად — იურიდიულად დაუდგენელი სტატუსით, ეთნიკური და რელიგიური სენსიტიურობითა და სამხედრო თვალსაზრისით მაღალი ღირებულებით.

დღესაც კი, მიუხედავად სამჯერ ოფიციალურად გამოცხადებული ომისა და ათასობით დაღუპულისა, კონფლიქტი სრულად არ დასრულებულა. პირიქით — გარკვეულწილად "გაყინულ" მდგომარეობაში არსებული დაპირისპირება პერიოდულად გამწვავდება ხოლმე, ხან პოლიტიკურად, ხან კი სამხედრო შეტაკებების სახით საზღვარზე (ე.წ. *Line of Control*). ბირთვული შეიარაღებით აღჭურვილი ორივე ქვეყანა ზრდის რისკს იმისა, რომ ეს

გეოპოლიტიკური დაძაბულობა შესაძლოა მომავლის პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის მიზეზად იქცეს.

ამ სტატიაში მიმოვიხილავთ, რამდენად რეალურია კაშმირის კონფლიქტის "გაყინულად" დარჩენა, რა ძალები უწყობს ხელს და არსებობს თუ არა პირობები, რომლებიც რეგიონს ღია ომის საფრთხეს დაუბრუნებს.

1. კონფლიქტის ისტორიული ფონი.

კაშმირის კონფლიქტი სათავეს იღებს 1947 წლიდან, როდესაც ბრიტანეთმა ინდოეთის ქვეკონტინენტს კოლონიური მმართველობა შეწყვიტა და ტერიტორიები ორ ახალ სახელმწიფოდ — ინდოეთსა და პაკისტანად დაყო. ჰინდუისტურად მართული, მაგრამ მუსლიმური უმრავლესობის მქონე კაშმირის სამთავროს მმართველი, მაჰარაჯა ჰარიზე სინგჰი, არ ჩაერთო დაუყოვნებლივ არც ერთ სახელმწიფოში. თუმცა როდესაც პაკისტანიდან მხარდაჭერილმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა რეგიონში შეაღწიეს, მაჰარაჯამ ინდოეთთან მიერთებას მოითხოვა და ამით საფუძველი ჩაეყარა პირველ ინდოეთ-პაკისტანის ომს.



სურ.1: კაშმირის რეგიონის კონფლიქტის რუკა

1949 წლის ზავის თანახმად, კონფლიქტის შედეგად რეგიონი დროებით გაიყო *კონტროლის ხაზით* (Line of Control), თუმცა არცერთ მხარეს არ დაუკარგავს პრეტენზია მთელ ტერიტორიაზე. მეორე და მესამე ომები (1965, 1971) და მრავალჯერადი შეტაკებები ცხადყოფდა, რომ კონფლიქტი არ იყო დასრულებული, არამედ მხოლოდ დროებით მიჩქმალული.

1.რელიგიური და ეთნიკური ფაქტორები

კაშმირის პრობლემის ცენტრში დგას იდენტობის საკითხი — რელიგიური, ეთნიკური და ეროვნული. რეგიონში უმრავლესობა მუსლიმია, რაც ისტორიულად პაკისტანის პრეტენზიებს ამყარებდა. ინდოეთი კი სეკულარიზმის იდეით ამტკიცებს, რომ ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელი შეუძლია იყოს ინდოეთის მოქალაქე, და შესაბამისად, მუსლიმური უმრავლესობა არ ნიშნავს აუცილებელ პაკისტანთან მიერთებას.

ამავე დროს, კაშმირში ცხოვრობენ სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებიც — ინდოელი პანდიტები, ბუდისტები ლადახში და სხვა ეთნიკური უმცირესობები, რომელთა ინტერესები ასევე კომპლექსურ პრობლემას ქმნის.

1.2 ინდოეთის შიდა პოლიტიკა და 2019 წლის ცვლილებები

2019 წელს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნარენდრა მოდიმ და მისი პარტიამ, BJP-მ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: ინდოეთის კონსტიტუციიდან გააუქმა მუხლი 370, რომელიც ჯამუ-კაშმირს განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებდა. ამ მუხლის გაუქმებით ინდოეთმა რეგიონი პირდაპირი მმართველობის ქვეშ მოაქცია და ორი ფედერაციული ერთეულად დაყო — ჯამუ-კაშმირად და ლადახად.

პაკისტანმა აღნიშნული ქმედება აგრესიულ ანექსიად შეაფასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა, აღეკვეთათ ინდოეთის ქმედებები. მიუხედავად ამისა, რეაქცია ძირითადად სიტყვიერი აღმოჩნდა.

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ინდოეთის ეს ნაბიჯი მხოლოდ გაამძაფრებს ისედაც მყიფე მდგომარეობას რეგიონში, რადგან მაცხოვრებლების დიდი ნაწილი გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა და გამოხატავდა პროტესტს.

2. შეტაკებები და მილიტარიზაცია

კონტროლის ხაზთან რეგულარულად ფიქსირდება მცირე მასშტაბის, მაგრამ ფატალური სამხედრო შეტაკებები. ორივე ქვეყანა მრავალჯერ დაუდასტურებია საჰაერო ან სახმელეთო თავდასხმა მოწინააღმდეგეზე, რასაც მოჰყოლია დაღუპულები და დიპლომატიური კრიზისები.



სურ.2: ინდოეთი და პაკისტანი კაშმირში: დაძაბულობის სიმბოლო

ერთ-ერთი ყველაზე სენსაციური შემთხვევა 2019 წელს მოხდა, როდესაც ინდოეთის სამხედროებმა განახორციელეს საჰაერო თავდასხმა პაკისტანის ტერიტორიაზე — როგორც პასუხი თვითმკვლელ ტერორისტულ აქტზე, რომლისთვისაც ინდოეთმა პაკისტანში ბაზირებული დაჯგუფება პასუხისმგებლად მიიჩნია. საპასუხოდ პაკისტანმა ჩამოაგდო ინდოეთის საბრძოლო თვითმფრინავი. ეს ინციდენტი უმნიშვნელოდ არ განსხვავდებოდა ღია ომის დაწყებისგან, თუმცა საერთაშორისო ზეწოლის შედეგად მხარეებმა უკანდახევა არჩიეს.

2.2 ბირთვული საფრთხე და საერთაშორისო რეაქცია

კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ასპექტია ის, რომ ორივე მხარე ბირთვული იარაღით არის აღჭურვილი. ბირთვული დოქტრინები ოფიციალურად თავს იკავებენ პირველადი გამოყენებისგან, თუმცა ეს გარანტიები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს რეალურ კრიზისში.

საერთაშორისო თანამეგობრობა — განსაკუთრებით გაერო, აშშ, ჩინეთი და რუსეთი — ღიად უჭერს მხარს დიალოგის გზით კონფლიქტის მოგვარებას, თუმცა არავინ ჩაერევა ძალით კონფლიქტის გადაწყვეტაში. უმეტესობა არ აღიარებს არც ერთ მხარეს კაშმირის ერთადერთ ლეგიტიმურ მმართველად, თუმცა წლების მანძილზე არცერთი ძალისხმევა არ აღმოჩნდა რეალურად ეფექტური სტატუსის განსაზღვრის თვალსაზრისით.

2.3 გაყინული კონფლიქტი თუ მომავალი ომი?

კაშმირის კონფლიქტი ტიპიური „გაყინული კონფლიქტის“ მაგალითია, სადაც სამხედრო მოქმედებები ხანმოკლე და წერტილოვანია, მაგრამ ძირეული დავა არ წყდება. თუმცა განსხვავებით სხვა გაყინული კონფლიქტებისგან (მაგალითად, სამხრეთ ოსეთი ან მთიანი ყარაბაღი წარსულში), კაშმირი უკიდურესად მგრძნობიარე გეოპოლიტიკურ და ბირთვულ

კონტექსტში მდებარეობს, რაც ზრდის რისკს იმისა, რომ ერთმა პატარა ინციდენტმაც კი სრულმასშტაბიანი ომი გამოიწვიოს.

ამავდროულად, არც ინდოეთი და არც პაკისტანი არ არიან რეალურად დაინტერესებულნი სრულმასშტაბიანი კონფლიქტით, რადგან ეს ორივე სახელმწიფოსთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდება — ეკონომიკურად, პოლიტიკურად და ადამიანურად. ამის გამო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არსებული სტატუს კვო, მიუხედავად მისი დაძაბულობისა, გარკვეული სტაბილურობის გარანტიას მაინც იძლევა, თუმცა დროებით.

დასკვნა

კაშმირის კონფლიქტი ინდოეთსა და პაკისტანს შორის არ არის მხოლოდ ტერიტორიული დავა — ეს არის მრავალშრიანი, ისტორიულად გამჯდარი და პოლიტიკურად მუხტული კონფლიქტი, რომლის მოგვარებაც მარტივი ან ერთპიროვნული არ შეიძლება იყოს. რეგიონი წარმოადგენს სამივე ტიპის საფრთხეს — ეთნიკურ, რელიგიურსა და გეოპოლიტიკურს, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასში არიან ჩართულნი ორი ბირთვული სახელმწიფო. ეს ფაქტორი კონფლიქტს მთელს აზიურ კონტინენტზე და მის გარეთაც კი სტრატეგიულ მნიშვნელობას სძენს.

ისტორია აჩვენებს, რომ კონფლიქტის დროებითი მიჩქმალვა ვერ უზრუნველყოფს მყარ მშვიდობას. ყოველი სამხედრო ესკალაცია, ტერორისტული აქტი ან პოლიტიკური ცვლილება შიდა დონეზე ზრდის ომის რეალურ საშიშროებას. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მხარეს არ აქვს პოლიტიკური ინტერესი ღია ომის დაწყებაში, კონფლიქტის ღიად დაურეგულირებელი ბუნება მისაღებია მხოლოდ მანამ, სანამ მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება. მაგრამ კონტროლის მოშლა შეიძლება მოხდეს მოულოდნელად — საკმარისია ერთი გამწვავებული ინციდენტი.

ამ ეტაპზე კაშმირში რეალურად გვაქვს საქმე „გაყინულ კონფლიქტთან“, თუმცა ის არ არის უსაფრთხო, მდგრადი და მშვიდობიანი სტატუსი. იგი მუდმივად აჩენს რისკებს და არ იძლევა გრძელვადიან სტაბილურობას რეგიონში. თუ საერთაშორისო საზოგადოება, და განსაკუთრებით ინდოეთი და პაკისტანი, არ გადადგამენ ქმედით ნაბიჯებს დიალოგისა და კომპრომისისკენ, არსებობს რეალური საშიშროება, რომ ეს გაყინული კონფლიქტი მომავალში გადაიქცეს სრულმასშტაბიან ომად, რაც არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთლიანად მსოფლიო წესრიგსაც მძიმე გამოწვევების წინაშე დააყენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bose, S. (2003). *Kashmir: Roots of Conflict, Paths to Peace*. Harvard University Press.
2. Schofield, V. (2010). *Kashmir in Conflict: India, Pakistan and the Unending War*. I.B. Tauris.
3. Ganguly, S. (2001). *Conflict Unending: India-Pakistan Tensions Since 1947*. Columbia University Press.
4. Fair, C. C. (2014). *Fighting to the End: The Pakistan Army's Way of War*. Oxford University Press.
5. Wirsing, R. G. (2003). *India, Pakistan, and the Kashmir Dispute: On Regional Conflict and Its Resolution*. St. Martin's Press.
6. Grare, F. (2015). *India-Pakistan Relations: Toward a Regional Framework*. Carnegie Endowment for International Peace

ევკლიდური სივრცეები
Euclidean spaces

იოსებ ფოჩხუა
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ასოცირებული პროფესორი
Ioseb Pochkhua
Georgian National University SEU
Associate Professor

აბსტრაქტი. ევკლიდეს სივრცე გეომეტრიული სივრცის ერთ-ერთი ფუნდამენტური და ისტორიულად მნიშვნელოვანი მოდელია, რომელიც ევკლიდეს მიერ ჩამოყალიბებულ გეომეტრიულ აქსიომას ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მათემატიკა მოიცავს სივრცეების სხვა, უფრო ზოგად ტიპებს, ევკლიდეს მოდელი აქტუალური რჩება როგორც თეორიულ კვლევაში, ასევე პრაქტიკულ გამოყენებაში — ფიზიკაში, ინჟინერიაში, კომპიუტერულ გრაფიკასა და მრავალ სხვა სფეროში.

საკვანძო სიტყვები. ევკლიდური სივრცე. წრფივი ალგებრა. ჰილბერტის სივრცე. სკალარული ნამრავლ

Abstract. The Euclidean space is one of the fundamental and historically significant models of geometric space, based on the geometric axioms formulated by Euclid. Although modern mathematics includes other, more general types of spaces, the Euclidean model remains relevant both in theoretical research and in practical applications — in physics, engineering, computer graphics, and many other fields.

Key words. Euclidean space. Linear algebra. Hilbert space. Scalar product.

ევკლიდური სივრცეები წარმოადგენს წრფივი ალგებრის ფუნდამენტურ ცნებას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ანალიზში, ფიზიკაში, მათემატიკურ მოდელირებასა და გამოყენებით მეცნიერებებში. აღნიშნული სივრცეები ეფუძნება სკალარულ ნამრავლს, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ვექტორების სიგრძე და კუთხე მათ შორის.

ვთქვათ E წრფივი სივრცეა ნამდვილ რიცხვთა R ველის მიმართ, თუ არსებობს ფუნქცია რომელიც ნებისმიერ (x;y) წყვილს ExE დეკარტული ნამრავლიდან შეუსაბამებს ნამდვილ რიცხვს ისე, რომ სრულდება პირობა:

1. $(x;x)\geq 0 \quad \forall x \in E;$
2. $(\alpha x;y)=\alpha(x;y) \quad \forall x,y \in E, \forall \alpha \in R$
3. $(x+y;z)=(x;z)+(y;z) \quad \forall x,y,z \in E;$
4. $(x;y)=(y;x) \quad \forall x,y \in E$
5. $(x;x)=0 \Longleftrightarrow x=0$

მაშინ აღნიშნულ ფუნქციას ეწოდება სკალარული ნამრავლი და შესაბამისი ვექტორული სივრცე- ევკლიდური სივრცე.

სკალარული ნამრავლით შეიძლება განვსაზღვროთ ნორმა შემდეგი ფორმული:

$\|x\|=\sqrt{(x;x)}, x \in E.$

ეს ნორმა აკმაყოფილებს სამკუთხედის უტოლობას. შესაბამისად, სკალარული ნამრავლით აღჭურვილი ნებისმიერი ვექტორული სივრცე ავტომატურად ხდება ნორმირებული სივრცე. შევნიშნოთ, რომ სკალარული ნამრავლი არის ნორმის მიმართ უწყვეტი ფუნქცია.

ჰილბერტის სივრცე

თუ ევკლიდური სივრცე სრულია სკალარული ნამრავლით განსაზღვრული ნორმის მიმართ, მას ეწოდება ჰილბერტის სივრცე. ხშირად ჰილბერტის სივრცე უსასრულო განზომილებიან სივრცეებს აღნიშნავს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფუნქციურ ანალიზში.

მაგალითები:

- არითმეტიკული n განზომილებიანი ვექტორული R^n სივრცე წარმოადგენს ევკლიდურ სივრცეს, თუ სკალარულ ნამრავლს განვმარტავთ შემდეგნაირად; $(x,y)=x_1y_1+x_2y_2+\ldots+x_ny_n$, სადაც $x=(x_1, x_2,\ldots,x_n)$ და $y=(y_1, y_2, \ldots, y_n)$.
- l_2 წრფივ სივრცეში ფუნქცია $(x,y)=\sum_{j=1}^{\infty} x_j y_j$, სადაც $x=(x_1, x_2,\ldots,x_n,...)$ და $y=(y_1, y_2, \ldots, y_n,...)$ l_2 სივრცის ელემენტებია განსაზღვრავს სკალარულ ნამრავლს, როგორც ვიცით ნორმა l_2 სივრცეში განიმარტება $\|x\|_{l2}=\left(\sum_{n=1}^{\infty} x_n^2\right)^{1/2}$ და ის ემთხვევა სკალარულ ნამრავლით განმარტებულ ნორმას. რადგანაც l_2 სრული სივრცეა მაშასადამე ჰილბერტის სივრცეცაა.
- განვიხილოთ $\Delta=[a;b]$ სიმრავლეზე განსაზღვრული ყველა იმ ზომად ფუნქციათა ერთობლიობა $L_2(\Delta)$, რომელთათვისაც $\int_{\Delta}^{\square} |f(x)|^2 dx<\infty$. $L_2(\Delta)$ წრფივი სივრცეა, რომელშიც შეგვიძლია განვიხილოთ სკალარული ასე

$$(f,g)=\int_{\Delta}^{\square} f(x)g(x)dx$$

შესაბამის ნორმას აქვს სახე

$$\|f\|_2=\left(\int_{\Delta}^{\square} |f(x)|^2 dx\right)^{1/2}.$$

ამიტომ $L_2(\Delta)$ ჰილბერტის სივრცეა. ანალოგიურად განისაზღვრება $L_2(R)$ სივრცე.

თუ სივრცე განსაზღვრულია კომპლექსური ველის მიმართ, მაშინ სკალარული ნამრავლი იღებს მნიშვნელობას კომპლექსურ რიცხვებში და აკმაყოფილებს ანალოგიურ პირობას. ასეთ სივრცეებს ეწოდება უნიტარული სივრცეები, ხოლო სრულ უნიტარულ სივრცეებს ჰილბერტის სივრცეები კომპლექსური ველის მიმართ.

თუ ევკლიდურ სივრცეში მოცემულია წრფივად დამოუკიდებელი ვექტორთა სისტემა, მაშინ შესაძლებელია გრემ-შმიდტის ორთოგონალიზაციის პროცესით აიგოს ორთოგონალური სისტემა, რომელიც ინარჩუნებს არსებ ვექტორულ სივრცეს, რაც არის უმნიშვნოლოვანესი ანალიზსა და გამოყენებით მათემატიკაში.

ევკლიდური სივრცეები წარმოადგენს მათემატიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მოდელს, რომელიც სიმარტივით და ინტუიციურობით დღემდე ინარჩუნებს საკუთარ მნიშვნელობას.

ევკლიდური მოდელი რჩება როგორც თეორიული საფუძველი, ისე პრაქტიკული ინსტრუმენტი მრავალი დარგისთვის.

ლიტერატურა

1. Yuli Eidelman,Vitali Milman, Antonis Tsolomis, Functional Analisis (An introduction), Graduate studies in Mathematics, Vol. 66, American Mathematical Society,Providence, Rhode Inland, 2004.
2. Л. А. Люстерник. В.И. Соболев, Элементы Функционального анализа. Масква, Наука, 1965.
3. А.Н. Колмогоров, С. В. Фомин. Элементы теории Функций и Функционального анализа. Москва. наука, 1972.
4. Л. В. Канторович. Г. П. Акилов, Функциональный анализ. Москва. Наука. 1977.

ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორი

Generalized Laplace operator

იოსებ ფოჩხუა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ასოცირებული პროფესორი

Ioseb Pochkhua

Georgian National University SEU

Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში განიხილება ლაპლასის ოპერატორის ორი განსხვავებული განზოგადოება ერთეულოვან სფეროზე - ჩვეულებრივი და უფრო განზოგადოებული ოპერატორები. გამოთვლილია მათი განსაზღვრებები საშუალო ინტეგრალების მიხედვით, მოყვანილია მათ შორის არსებული კავშირი და დადგენილია პირობა , როცა ერთი ოპერატორის არსებობა გულისხმობს მეორის არსებობას. განხილულია ასევე ოპერატორთა არსებობის უკუპირობის შემთხვევა, რაც საინტერესოა თეორიული ანალიზისთვის.

საკვანძო სიტყვები: ლაპლასის ოპერატორი. ფუნქცია. სფერული წერტილი. სიმრავლე. ინტერგრალი.

Abstract. This paper explores two distinct generalizations of the Laplace operator on the unit sphere — the generalized and the more generalized Laplace operators. It provides definitions based on spherical mean value integrals and establishes the relationship between these two operators. A condition is given under which the existence of one operator implies the existence of the other. The article also presents an example demonstrating that the more generalized operator may exist even when the standard generalized operator does not, highlighting a subtle distinction with theoretical significance.

Key words: Laplace operator. Function. Spherical point. Set. Integral.

დაუშვათ, რომ f(x) ფუნქცია განსაზღვრულია $x_0 \in S^{k-1}$ სფერული წერტილის მიდამოში ანუ $D^{k-1}(x_0;\rho)$ სიმრავლეზე და ინტეგრებადია $C^{k-2}(x_0;h)$ სფეროზე ნებისმიერი $h<\rho$-სთვის. თუ x_0 წერტილის მიდამოში არსებობს $a_0, a_1,\ldots, a_r$ რიცხვთა მიმდევრობა ისეთი, რომ სრულდება პირობა

$$\frac{1}{\left|S^{k-2}\right|\sin^{k-2}h}\overset{\square}{\int\limits_{C^{k-2}(x_0;h)}} f(t)\,dS^{k-2}(t)=\frac{\Gamma\left(\frac{k-1}{2}\right)}{2\pi^{\frac{k-1}{2}}\sin^{k-2}h}\overset{\square}{\int\limits_{C^{k-2}(x_0;h)}} f(t)\,dS^{k-2}(t)=¿\sum_{v=0}^{r}\frac{\Gamma\left(\frac{k-1}{2}\right)a_v}{v!\,2^v\,\Gamma\left(\frac{k-1}{2}+v\right)}(1-\cosh)^v+o$$

, (1)

მაშინ ვიტყვით, რომ ერთეულოვან S^{k-1} სფეროზე f(x) ფუნქციას x_0 წრტილზე გააჩნია r რიგის ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორი და ავღნიშნავთ $\overline{\Delta^r} f(x_0)$-ით. (1)ტოლობით გასაზღვრული ლაპლასის ოპერატორი $a_v(v=0,r)$ რიცხვებთან დაკავშირებულია შემდეგი ტოლობით:

$$\overline{\Delta^0} f(x_0)=a_0=f(x_0),$$

$$\overline{\Delta^{\square}}\lceil\overline{\Delta}+(k-1)\rfloor\lceil\overline{\Delta}+2k\rfloor\cdots\lceil\lceil\overline{\Delta}+(v-1)(v+k-3)\rfloor\rfloor f(x_0)=a_v,\quad v=\overline{1,r}, \qquad (2)$$

სადაც $\overline{\Delta}\cdot\overline{\Delta}\cdot\overline{\Delta}\cdots\overline{\Delta}(i-ჯერ)=\overline{\Delta^i}$ და $\overline{\Delta^i}\cdot\overline{\Delta^j}=\overline{\Delta^{i+j}}$, როცა I,j≥0 და i+j≤r.

ასე, რომ (1) შეიძლება გადაიწეროს შემდეგი სახით

$$\frac{1}{\left|S^{k-2}\right|\sin^{k-2}h}\overset{\square}{\int\limits_{C^{k-2}(x_0;h)}} f(t)\,dS^{k-2}(t)=\overline{\Delta^0} f(x_0)+\sum_{v=1}^{r}\frac{\Gamma\left(\frac{k-1}{2}\right)\overline{\Delta^{\square}}\lceil\overline{\Delta}+(k-1)\rfloor\lceil\overline{\Delta}+2k\rfloor\cdots\lceil\lceil\overline{\Delta}+(v-1)(v+k-3)}{v!\,2^v\,\Gamma\left(\frac{k-1}{2}+v\right)}$$

$r=1,2,\ldots.$

მარტივად შეიძლება შევნიშნოთ, რომ

$$a_1=\overline{\Delta^1} f(x_0)=\overline{\Delta^{\square}} f(x_0)=\lim_{h\to 0}\frac{\frac{1}{\left|S^{k-2}\right|\sin^{k-2}h}\overset{\square}{\int\limits_{(x_0;t)=\cosh}} f(t)\,dS^{k-2}(t)-f(x_0)}{\frac{2}{k-1}\sin^2\frac{h}{2}}.$$

ახლა შემოვიტანოთ ერთეულოვან S^{k-1} სფეროზე უფრო განზოგადოებული ლაპლასის ოპერატორის ცნება.

ვიტყვით, $x_0 \in S^{k-1}$წერტილის სფერულ მიდამოში ინტეგრირებადი $f(x_0)$ ფუნქციას x_0 წერტილზე გააჩნია უფრო განზოგადოებული r რიგის ლაპლასის ოპერატორი $\check{\Delta}^r f(x_0)$, თუ სრულდება შემდეგი ტოლობა:

$$\frac{1}{\left|D^{k-1}(x_0;h)\right|}\int\limits_{D^{k-1}(x_0;h)}^{\square} f(t)\,dS^{k-1}(t)=\sum_{\nu=0}^{r}\frac{\Gamma\left(\frac{k+1}{2}\right)b_\nu}{\nu!\,2^\nu\,\Gamma\left(\frac{k+1}{2}+\nu\right)}(1-\cosh)^\nu+o(1-\cosh)^r,\qquad r\geq 0,$$

(3)

ასე განსაზღვრული ლაპლასის უფრო განზოგადოებული $\check{\Delta}^r$ ოპერატორის $b_\nu(\nu=\overline{0,r})$ კოეფიციენტებთა დამოკიდებულია ისევე როგორც (2) ტოლობაშია ნაჩვენები.

ცხადია, რომ $b_0=f(x_0)$და

$$b_1=\check{\Delta}^1 f(x_0)=\check{\Delta}^{\square} f(x_0)=\lim_{h\to 0}\frac{\frac{1}{\left|D^{k-1}(x_0;h)\right|}\int\limits_{D^{k-1}(x_0;h)}^{\square} f(t)\,dS^{k-1}(t)-f(x_0)}{\frac{2}{k+1}\sin^2\frac{h}{2}}.$$

ლაპლასის განზოგადოებული $\overline{\Delta^r} f(x_0)$ოპერატორსა და ლაპლასის უფრო განზოგადოებული $\check{\Delta}^r f(x_0)$ ოპერატორის შორის კავშირს ადგენს შემდეგი ლემა.

ლემა. ა)თუ x_0წერტილზე არსებობს $\overline{\Delta^r} f(x_0)$, მაშინ აგრეთვე არსებობს $\check{\Delta}^r f(x_0)$ და $\overline{\Delta^r} f(x_0)=\check{\Delta}^r f(x_0)$.

ბ) არსებობს ისეთი ფუნქცია $f(x_0)$, რომლისთვისაც $\check{\Delta}^r f(x_0)$ სასრულია, ხოლო $\overline{\Delta^r} f(x_0)$ოპერატორი კი არც არსებობს.

ლიტერატურა

Топурия С.Б. Граничные свойства продифференцированного интеграла Пуассона для различных областей и их некоторые примененииа. Тбилиси 2003

Summability C of series of surface spherical harmonics. Trans.Amer. Math. Soc., 104, N2 (1962), 284-307.